

11.13.1.09
15-97
12/2008

ციური ახვლედიანი

Tsiuri Akhveliani

ფრანგული ენის ისტორია

HISTOIRE DE LA LANGUE FRANÇAISE

გამომცემლობა "მეცნა"
თბილისი - 2008

Tsiuri Akhvlédiani

Histoire de la langue française

ნაშრომი შესრულებულია სახელგანთქმული დინგვისტების: ფ. ბრენოს, ა. დოზას, ლ. ფუდეს, პ. გიროს, კრ. ნიროპის, ნ. კატაგოშინას, ე. შიშარიოვის, ე. შნეტინკინის მიერ ჩატარებული ფრანგული ენის ისტორიის წყაროების საშუალებით კვლევათა მონაცემების მიხედვით.

ც. ახვლედიანი

რედაქტორი: ფილოლოგიის მეცნ. დოქტორი,
პროფესორი ია ფხაკაძე

რეცენზენტები: ასოცირებული პროფესორი ეთერ მელქაძე
ახისტენტ-პროფესორი მედეა კინწურაშვილი

ISBN 99928-73-02-12

© გამომცემლობა „მედეა“
2008

შესავალი

ფრანგული ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის რომანულ ენათა ჯგუფის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენელია. ფრანგულ ენაზე არსებული პირველი წერილობითი ძეგლი „სტრასბურგის ფიცები“ („Serments de Strasbourg“) IX საუკუნით თარიღდება. „სტრასბურგის ფიცები“ წარმოადგენს კარდოს დიდის (Charlemagne) შვილიშვილების – კარდოს მულოტის (Charles le Chauve) და ლუდრიკო გერმანელის (Louis le Germanique) ხელშეკრულებას მათი ძმის ლუთერიუსის (Lothaire) წინააღმდეგ. ეს ფიცები ერთდროულად წარმოითქვა (842 წლის თებერვალში) ფრანგულ და გერმანულ ენებზე და როგორც მნიშვნელოვანი ოფიციალური დოკუმენტი შემონახულია კაროლინგური პერიოდის სახელგანთქმული ისტორიკოსის – ნიჰარდის (Nithard) ლათინურ ქრონიკებში. ამგვარად, ფრანგული ენის დაბადების თარიღად 842 წელი ითვლება, მაგრამ მისი ფორმირების პროცესი რამოდენიმე საუკუნით ადრე დაიწყო და რთული გზა განვლო.

დღევანდელი საფრანგეთის ტერიტორიის თავდაპირველი მოსახლეობა კელტურ ენაზე მოლაპარაკე გალეები იყვნენ. ჩვენს წელთაღრიცხვამდე 58-51 წლებში რომაელებმა დაიპყრეს გალიის ტერიტორია და შეუერთეს იგი რომის იმპერიას. დაიწყო გალიის რომანიზაცია. რომაელთა ბატონობა 5 საუკუნე გაგრძელდა. სალაპარაკო ენები კელტური და ხალხური ლათინური იყო; ორი ენის თანაარსებობის ანუ ბილინგვიზმის შედეგად წარმოიქმნა გალო-რომანული ანუ კელტურისა და ლათინურის ნაჯვარი ენა. ფრანგული ენის ლექსიკაში დღემდე შემორჩენილია 300-ზე მეტი კელტური სიტყვა: alouette, bec, braie, boucau, boue, chemin, chemise, charrue, grève, javelle, jarret, mouton, lande, quai, tonneau და სხვ. ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი მრავალი სახელი კელტური წარმოშობისაა: Paris, Reims, Beauvais, Verdun, Lyon, Yverdon და სხვ. ასევე კელტური გავლენაა ცხვირისმიური ხმოვნების წარმოქმნა და [y] ხმოვანი ფრანგულ ენაში.

V საუკუნის დასაწყისში გალიის ტერიტორიას გერმანული ტომები შეესივნენ; სამხრეთი ნაწილი ვესტგოთებმა

ნორმანდიის სამხრეთით მდებარეობდნენ; სამხრეთ-აღმოსავლეთით კი - ბურგუნდიის სამერცოცო იყო. ჭყუენის სამხრეთი ეწ. „აქტიუბის მონარქიას“ ეკუთვნოდა. რომელიც ხაყებით დაპოუკადებელი იყო საფრანგეთის მეფისაგან; მის შემადგენლობაში შედიოდა საფრანგეთის ცენტრალური ოლქებიც. დაწყებული ბერიდახ, ბურბონგახ და ოვერნიდან - ვანდესა და ხენტონეს ნაპირებამდე.

სამეფო სამფლობელო მდებარეობდა საფრანგეთის ცენტრში და ზოიციკვდა მხოლოდ პარიზს, ორლეანს, პუასის, ხენდოსს, ეტამის, არსაკონს და ხეათა სამფლობელოების ცალკეულ პუნქტებს. სამეფო დომენი ყოველმხრივ შემოფარგლული იყო ფეოდალებით, რომლებიც მეფესუ ძღვევამოსილნი იყვნენ და მას (მეფეს) მხოლოდ ნომინალურად აღაარებდნენ. XI საუკუნის პოლოხათვის სამეფო სამფლობელოები ტერიტორიალურადაც უმნიშვნელონი იყვნენ და არც დიდი პოლიტიკური ხეუდრითი წონა გააჩნდათ.

ძველფრანგული ენის დიალექტები გეოგრაფიულად ასე იყვნენ განფენილნი: დასავლეთით - ნორმანდიული, ჩრდილოდასავლური დიალექტები (მენს, ანჟუს, ტურენის, ბრეტანის). სამხრეთ-დასავლური დიალექტები (პუატუს, ონისის, სენტონეს, ანგუშეას); ჩრდილოეთით - პიკარდული დიალექტი; აღმოსავლეთით - ვალონური, ლოტარინგიული, ბურგუნდიული დიალექტები; ცენტრში - ფრანსიული ანუ ოლ-დე-ფრანსის დიალექტი და მისგან აღმოსავლეთით - შამპანური დიალექტი.

ძველფრანგული ენის დიალექტებს შორის არ იყო დიდი სტრუქტურული განსხვავებანი, განსხვავებანი გრამატიკულ წყობასა და ლექსიკაში. მათში სჭარბობდა საერთო ნიშნები, რომლებიც ადასტურებდნენ მათი საერთო წყაროდან - ვალოს ხელხური ლათინურიდან წარმოშობას. წარმოიქმის ხფეროში, ძველფრანგული დიალექტები არა მხოლოდ განსხვავებებს, არამედ დამთხვევებსაც ამკლავებდნენ; დამთხვევები ტერიტორიულად დაშორებულ დიალექტებშიც კი შეინიშნებოდა; მაგ., ისეთი რეფლექსები, როგორიცაა ექ (< ლათ. ექ), იე (< ლათ. ექ), უქ (< ლათ. ბქ) გეხვედებოდა თითქმის ყველა ძველფრანგულ დიალექტში, მიუხედავად მათი სხვადასხვა დიალექტური უკუეუებისადმი კუთენილებისა. შორფოლოგიის ხფეროში, ძველფრანგულ დიალექტთა

განსხვავებანი არსებითი არ იყო: რიგ დიალექტებში დასკვიდრდა რომელიმე ფორმის ერთი ვარიანტი, სხვებში კი - მეორე ვარიანტი: მაგ., სოვიერთ დიალექტში ზმნების მრავლობითი სიტყვითს 1 პირში არსებობდა დაბოლოება -omes, სოვში კი - -om -ons.

ცნობილია ძველფრანგულ დიალექტთა კლასიფიკაციის სხვადასხვა სისტემები; თუმცა ფრანგული ენის ისტორიის სპეციალისტთა უმეტესობა აღიარებს ძველფრანგულ პერიოდში განსასჯელურ დიალექტურ ჯგუფთა არსებობას. ხამ დიალექტურ ჯგუფად დაყოფა ჯერ კიდევ პირველ დიალექტოლოგებთან გეხვება (ჟ. ფალო, ფ. დიცი, ე. მეიურ-ლუნიე, ფ. ბრუნო და სხვ.). ცალკეულ დიალექტთა დიალექტურ ჯგუფებში გაერთიანებასთან დაკავშირებული აზრთახევაობანი ძირითადად ეხება ფრანსიულ, ნორმანდიულ, პიკარდულ და წამპანურ დიალექტებს; ე.ი. ამ დიალექტებს, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეახრულეს ფრანგული ხამწერლობის აღმოცენებაში. სოვიერთი ავტორი ფრანსიულ დიალექტს ვახხაკუთრებულ ადგილს მიუჩხევს და არ აერთიანებს არცერთ დიალექტურ ჯგუფში; თუმცა ფრანსიული დიალექტის ფორმები, ფონეტიკური და მორფოლოგიური თავისებურებებით, ამკარად ემიხვევა დასავლეთ დიალექტთა ჯგუფის წევრების ფორმებს.

წარმოთქმის სფეროში რიგ სოვად ტენდენციათა არსებობა, ასევე საერთო ნიშანთა მთლიანი კომპლექსის არსებობა ფონეტიკისა და მორფოლოგიის სფეროებში, რაც აერთიანებს სოვ დიალექტს დანარჩენ დიალექტთა ხამპირისპიროდ, საშუალებას იძლევა, რომ ძველფრანგულში გამოიყოს ორი დიდი დიალექტური ჯგუფი: დასავლური დიალექტები (ნორმანდიული, ჩრდილო-დასავლური, ხამსრეთ-დასავლური და ფრანსიული) და ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტები (ვალონური, ლოტარინგიული, ბურგუნდიული). შუაღუდური პოზიცია ეკირათ - პიკარდულს, რომელიც მერყეობდა დასავლურ და ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებს შორის და წამპანურს, რომელშიც შერწყმული იყო მის მეხობულ დიალექტთა სხვადასხვა ნიშნები.

წრდილო-აღმოსავლური დიალექტების
ზოგადი მახასიათებლები

წრდილო-აღმოსავლური დიალექტებისათვის დამახასიათებელი იყო დამავალი დიფთონგების შენარჩუნებას ტენდენცია; ეს ტენდენცია განსაკუთრებით შეამჩნეოდა ვალონურ დიალექტში, რომელშიც ლათინური *é* გარდაიქმნა *ie* (*piet* „*piet*“, *fiel* „*fiel*“). *é* განვითარდა დიფთონგ *ie*-დ (*bûef*), ხოლო ტრიფთონგი *eau* წარმოიქმნა მახვილით *i* ელემენტზე – *béaus* (და არა *béaus*).

ამ ჯგუფის ყველა დიალექტისათვის დამახასიათებელი იყო წარმოთქმის ხერხით თავისებურებაში:

1. დაბოდვება *ae*-ს (<ლათ. პადატადური **ata*) წარმოთქმა *ie*-დ, ე.ა. დამავალი მახვილით: *redreie*, *lignie*, *chargie*, *chaucie* – თანამედ. *redressée*, *lignée*, *chargée*, *chaussée*.

2. დიფთონგ *ai*-ს (<ლათ. *a + i*) შენარჩუნება დამავალი ფორმით: *fâire*, *maître*, *mâis* და სხვ. ასეთი წარმოთქმა დღემდე შენარჩუნებულია ზოგიერთ წრდილო-აღმოსავლურ კილოში.

3. *a > e* დახურვა *-age* (<ლათ. *-aticu*) სუფიქსში, ასევე რბილი *l*-ს წინ: *usaige*, *coraige*, *visaige*, *traveil*, *fianceille* (ძველფრანგული წარმოთქმა): *ûzeddê*, *coreddê*, *vizeddê*, *travêl*, *fiantseil*).

4. დიფთონგ *ei*-ს (<ლათ. *ēi*) განვითარება *ie*-დ: *teile*>*toile*, *peire*>*poire*, *mei*>*moi*.

5. დიფთონგ *ai*-ს (<ლათ. *a + i*) დამავალ დიფთონგად შენარჩუნება: *frûit*, *liûre*, *condûiz*.

კონსონანტიზმის ხეობაში წრდილო-აღმოსავლური დიალექტები ამჟღავნებდნენ განვითარების რამდენიმე ხერხს:

1. უცვლელად ინარჩუნებდნენ მეორად რომაულ ჯგუფებს: *n'r*, *l'r*, *m'l*, *m'r*, *s'r*. მერყევი აღმოჩნდა მხოლოდ ჯგუფი *m'r*, რომელსაც ლიტარინგოულ და ბურგუნდულ დიალექტებში აქონდა მისწრაფება გარდასავალი ბგერა *h*-ს შექმნისაკენ. ამგვარად, სვეულფრივი იყო ასეთი ტიპის წარმოთქმები: *missent* (ახობოდეცია: *missent* > *missent*) „*ils mirent*“, *moare* „*moudre*“, *venrai* „*je viendrai*“, *venredi* „*vendredi*“ და ა.შ.

2. სუბტდებოდა ხ>v ინტერვოკალურ ჯგუფ -ბლ-ში. სოვიურთ დიალექტში შესუსტებას თან ახლდა ეოკალზაცია v>u: tavle, diavle, estavle ან taule, dianle, estaule.

3. ივარგებოდა [თახსმეონის წინ; როგორც ჩანს, რთვ დიალექტებში დაკარგვა ხდებოდა [ს ვოკალიზაციამდე. სხეებში კი – მის მერე; აქედან გამომდინარეა ფორმები: aitre „autre“, as „aux“, saveres „sauveur“ და სხვ.

4. გერმანული ბგერა w ახიშიღირდებოდა ჯჱ-დ გადაქცევის გარეშე: warden „garder“, wagner „gagner“, werpi „guépi“ და ა.შ.

მორფოლოგიის სფეროში, წრდილო-აღმოსავლური დიალექტები ხასიათდებოდნენ შემდეგი თავისებურებებით:

1. განსაზღვრული არტიკლის ხახელობითი ბრუნვის ფორმები ემთხვეოდნენ მაშრობითი და მდგდრობითი სქესის მხოლობით რიცხვში: li om და li vie.

2. პირის და უკუქცევითი ნაცვალსახელების მხოლობითი რიცხვის ირთი ბრუნვის მახედიანი ფორმების ხახით იხმარებოდა ფორმები: mi, ti, si.

3. Impartait de l'indicatif-ის და Conditionnel présent-ის მრავლობითი რიცხვის I პირის დაბოლოებად გავრცელებული იყო -iens.

4. Imparfait de l'indicatif ხათვის დაბოლოებების: -eie, -eies, -eit, -iens, -iez, -cient გეურდით არსებობდა დაბოლოებები: -eve, -eves, -evet, -iens, -iez, -event (და მათი ვარიანტები: -ieve და ა.შ.). შემდგომში ამ დაბოლოებების გამოყენებაში პოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები.

5. Passé simple-ის (იმ ტიპებს, რომლებიც წარმოიშენნ ლათინური ui-პერფექტისაგან) პქოხდა პარადიგმები: au, auis, aut, auimes, auistes, aurent (ზინა avoir-სგან) ან diu, deuis, diut, deuimes, deuistes, diurent.

სწორედ Passé simple-ის ეს ტიპები განახევაებდნენ წრდილო-აღმოსავლურ დიალექტებს დახველური დიალექტუბისაგან.

დასავლური დიალექტების ზოგადი მახასიათებლები

ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტების სამიოხაბიროდ, დასავლური დიალექტების ჯგუფს ამაველი დიფთონგების განვითარების ტენდენცია შეეხება (დამავალი დიფთონგები შეჩარხუნებული იყო მხოლოდ ჩრდილო ჩრმანსიაში). ამ ტენდენციამ შევეთი გამოსატყულება სიოვა თანამედროვე კოდოებში, რომლებშიც აგრინდელი დამავალი დიფთონგების უმეტესობა გარდაქმნა ამავე დიფთონგებად ან შეერთებდა: ჩასვეარსიოვანი + სიოვანი.

სიგავსი ნიშნები, რომლებიც აერთიანებდა დასავლურ დიალექტებს, თხადროულად მათ უპირობპირებდა ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებს. ეს ზოგადი მახასიათებლებია:

1. ჩრდილო-აღმოსავლური ჯგუფისაგან განსხვავებით, დაბოდოება *iee*-ს (< ლათ. პადატადური -ata) წარსიოქმა *e-ზე* მახვდით, ეი. *iee*: redreicie, ligniee, chargiee, chauciee.

2. დიფთონგ *ei*-ს (< ლათ. *e+i*) სწრაფი შემზიდროება *e-დ*, რომელსც დასრულდა XII სის ბოდოსი *ferre* "faire", *mestre* "maître", *mes* „mais“ და სხვ.

3. სიოვან *a*-ს უცვლელად შენარქუნება ძველურანველ სევიქს -*age*-ში (< ლათ. -*aticu*) და რბილი *l(l')*-ს წინ: *usage*, *image*, *heritage* ან *travail*, *françaille* და სხვ.

4. დიფთონ *ei*-ს (< ლათ. *e+i*) შენარქუნება *ei-დ* მისი გარდაქმნის გარეშე (ასეთ გარდაქმნას ადგილი პქონდა ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში): *peire* „poire“, *mei* „moi“ და სხვ. (შემდგომში *ei* იკუმშებოდა *e-დ*, საიდანაც მივიდეთ *aver*-ის ტიპის ფორმები).

5. დამავალ დიფთონგ *iu*-ს (< ლათ. *i+u*) ამავე დიფთონგ *iu-დ* ადრეული გარდაქმნა (XIII ს.).

კონსონანტიზმის ხვეროში, დასავლურ დიალექტებს ახასიათებდა ჩრდილო-აღმოსავლური ჯგუფის საწინააღმდეგო ტენდენციები:

1. დასავლურ დიალექტებში სისტემატიურად ვითარდებოდა გარდამავალი თანხმოვნები *t*, *d*, *b* მფორად რომანულ

ჯგუფებში s'r, n'r, l'r, m'l, m'r: nüstrent, vendrai, vendredi, moudre და ა.შ.

2. უცვლელად იქნა შესარჩუნებული თანხმოვანი ხ ინტერვოკალურ ჯგუფ -bl-ში: table, diable, estable და ა.შ.

3. l, თანხმოვნის წინ, ვოკალიზაციას განიცდიდა (l > y) და წინამდებარე ხმოვანთან ერთად დიფთონგს ქმნიდა: autre (< alter), aus „aux“, sauveres და სხვ.

4. ასიმილირებული გერმანული w გარდაიქმნებოდა gu-დ: guarder, guagner, guerpi და სხვ.

მორფოლოგიის სფეროში, ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტებისაგან განსხვავებით, დასავლურ ჯგუფს ახასიათებდა:

1. განსაზღვრული არტიკლის სახელობითი ბრუნვის სხვადასხვა ფორმები მხოლობით და მრავლობით რიცხვში მამრობით და მდედრობით სქესში: li om, la vie.

2. პირის და უკუქცევითი ნაცვალსახელების მხოლობითი რიცხვის ირიბი ბრუნვის მახვილიანი ფორმების ხაზით mei, tei, sei-ს გამოყენება.

3. Imparfait de l'indicatif-ისა და Conditionnel présent-ის მრავლობითი რიცხვის I პირში დაბოლოება -ions-ის ადრეული დამკვიდრება, რამაც შეაქოწროვა ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტებისაგან დამახასიათებელი -iens.

4. Imparfait de l'indicatif-ში დაბოლოებათა ორი რიგის არსებობა: -o(u)e, -o(u)es, -out, -iens, -iez, -ouent I უღლების 'სმნებისათვის და -eie, -eies, -eit და ა.შ. - დანარჩენ უღლებათა 'სმნებისათვის.

5. Passé simple-ის ფორმების (რომლებიც მომდინარეობდნენ ლათინური ui - პერყექტიდან) არსებობა: oi, oîs, out, oîmes, oîstes, ouent (avoir 'სმნიდან) ტიპისა ან ძმî, deûs, dûit, deûmes, deûstes, dûrent (devoir 'ზნნიდან).

პიკარდული დიალექტი

პიკარდულ დიალექტში შუთავსებული იყო ორგვარი ტენდენცია: ერთის მხრივ, მასში იქმნებოდა დამავალი დიფთონგები, რაც მას აახლოებდა ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებთან, მეორეს მხრივ კი - ამაველი დიფთონგების

ვახითარების ტენდენციასაც ამკვლავებდა (დასაყდურ დიალექტთა მსგავსად).

პიკარდული დიალექტის წარმოთქმის ცალკეული მახასიათებლები კმითხყოფა წრდილო-აღმოსავლურ დიალექტთა თავისებურებებს.

1. დაბოლსება iee-ს ie-ყ წარმოთქმა: lie, bantisie, sacie, ententie და სხვ.

2. დოფთონგ ai-ს (< ღაათ a + j) შენარჩუნება XIII ს-ის II ნახევრამდე, ანუ წარმოთქმა aire, traire, faire და სხვ.

3. დოფთონგ ei-ს (< ღაათ. é) ევოლუცია oi-ღ: teile > wile, peire > poire, moi > moi და სხვ.

ზოგიერთი მახასიათებელი პიკარდულ დიალექტს დასაყდურ დიალექტებთან აახლოებდა:

1. ევოლუცია ღაათ. é + პედატ. > i lit (< lecta), piz (< pectus) mi (< méju) და ა.შ.

2. ხშივან a-ს უცვლელად შენარჩუნება age (< ღაათ. + ager) სუფიქსში corage, lignage, usage და ა.შ.

თუმცა ზოგ მხარეში -aige წარმოთქმაც გვხვებოდა.

3. განსხვავება ai-ს (< a + ნა.ს. - თანხმ.) და ei-ს (< e + ნა.ს. + თანხმ.) შორის: grānt, avānt, მაგრამ mēt, vēt, cēt „cent“ და ა.შ.

მორფოლოგიის სფეროში ჭარბობდა წრდილო-აღმოსავლურ დიალექტებთან ხაერთო მახასიათებლები:

1. განსაზღვრული არტიკლის მხოლოდობითი რიცხვის ხახელობითი ბრუნვის ფორმების დამთხვევა მამრობით და მდედრობით სქესში.

2. ნაცვალხახელოვანი ფორმების მხოლოდობითი რიცხვის ორიბი ბრუნვისათვის ჲ დაბოლსების ხმარება: mi, ti (პირის ნაცვალხახელები), si (უკუკვითი ნაცვალხახელი).

3. Imparfait de l'indicatif-ის და Conditionnel présent-ის მრავლობითი რიცხვის 1 პირში ძირითად დაბოლსებად iens-ის გამოყენება.

4. Passé simple-ის ფორმებად 2 ტიპის გამოყენება: au, aus, aut და ა.შ., diu, deus, diut და ა.შ.

შამპანური დიალექტი

შამპანური დიალექტი სხვადასხვა მახასიათებლებს ამჟღავნებდა სხვადასხვა მხარეებში, უმეტესად ისეთ მახასიათებლებს, რაც მის მეზობელ დიალექტებს გააჩნდათ: ჩრდილოეთსა და ჩრდილო-დასავლეთში (თანამუდ. არდენისა და მარნის დეპარტამენტები) ის ამჟღავნებდა პიკარდულ მახასიათებლებს და ნაწილობრივ-ვალონურს; აღმოსავლეთით, ლოტარინგიის საზღვართან – ლოტარინგიულ თავისებურებებს; სამხრეთ-აღმოსავლეთით (თანამუდ. ზუდა მარნის დეპარტამენტი) – ბურგუნდიული დიალექტის მხგავს მახასიათებლებს. წინხდად შამპანური თავისებურების პოვნა ძნელია, ერთადერთი შეიძლება აღვნიშნოთ ევოლუცია: ღათ. $\text{[+ l + თანხმ. > jau, ე.ი. წარმოთქმა viant „il vent“}$, ნაცვლად გავრცელებული ძველფრანგული vuent-სი .

ასეთია ძველფრანგული პერიოდის დიალექტთა ჯგუფების ზოგადი მახასიათებლები; თითოეულ დიალექტს გააჩნდა ინდივიდუალური თავისებურებებიც, რაც მას განასხვავებდა მისი ჯგუფის სხვა დიალექტებისაგან.

მაგ., ვალონურ დიალექტს არ პქონდა პროტუბიკული $\text{[ჯგუფების ep, ex, ek-ს წინ}$, ჩრდილო-აღმოსავლური ჯგუფის სხვა დიალექტებისათვის კი (ლოტარინგიულისა და ბურგუნდიულისათვის) დამახასიათებელი იყო ეს მოვლენა; ვალონური ახსხვავებდა $\text{[u-სა (< e, \text{ } \varphi + \text{ ნა'საღ. + თანხმ.)}$ და $\text{[au-ს (< a + \text{ ნა'საღ. + თანხმ.)}$, ლოტარინგიული და ბურგუნდიული კი ერთნაირი ელერადობით წარმოთქვამდა მათ.

ძველფრანგულს, თანამედროვე ფრანგული ენისაგან განსხვავებით, გავრცელების განსაზღვრული სფერო პქონდა – უბირედეუს ვოვლისა, ის იყო ზეპირი ურთიერთობის ენა.

ფეოდალურ საფრანგეთში, ისევე როგორც შუასაუკუნეების ევროპის სხვა სახელმწიფოებში, საერთო სახელმწიფო ენა იყო ლათინური; ლათინური იყო ეკლესიის, კულტურისა და მეცნიერების ენა.

IX საუკუნიდან ძველფრანგული ენა გამოჩნდა კლერიკალურ-დიდაქტიკურ ლიტერატურაში: ამ ენაზე იწერებოდა წმინდანთა ცხოვრება, კალენდრები და სხვ. ამ ეპოქის

უძველესი ძეგლებია: „წმინდა ეულადიას კანტილენა“ („*Cantilène de sainte Eulalie*“, 884წ.), „ქრისტეს ვნებანი“ („*Passions du Christ*“, X ს.), „წმინდა ღვთისმშობლის ცხოვრება“ („*Vie de saint Léger*“, X ს.) და სხვ.

ეპიკურ პოეზიას ხელნაწერები შესრულებულია ფრანგულ ენაზე: კერტუაზულ ლიტერატურაში (ღირიკა, რომანი), ჭრონიკებში, მოკლედ ძველფრანგული პერიოდის საერო ლიტერატურის ყველა ჯანრში იხმარებოდა ფრანგული ენა. XI-XIII საუკუნეები ძველფრანგული ლიტერატურის აყვავების პერიოდი იყო: შეიქმნა ეპიკური პოემები (*chansens de geste*), მათ შორის ცნობილი „ხიმურა როლანდზე“ („*Chanson de Roland*“).

XII საუკუნიდან იბადება კერტუაზული ლიტერატურა. ამ ეპოქის სახელგანთქმული პოეტები და მწერლებია: მარი ფრანსუი (*Marie de France*), გარნიე პონტ-სენტ-მაქსანსი (*Garnier de Pont-Sainte-Maxence*), კონონ დე ბეტუნი: (*Conon de Béthune*), კრესტიენ ტრუაელი (*Chrestien de Troyes*), გას ბრიულე (*Gace Brulé*), ბლონდელ დე ნელი (*Blondel de Nesle*) და შრაველი სხვ.

XIII ს-ის დასაწყისიდან, განსაკუთრებით ღრდილოეთში, ვითარდება ქალაქური ლიტერატურა დრამატული და კომედიური განხილვით, ასევე ფაბლიო (*fabliaux*); ამ პერიოდის მოგოთვლება ქალაქური ლიტერატურის ერთ-ერთი უმნიშვნელოფანესი ნაწარმოები „მელის რომანი“ („*Roman de Renart*“). ქალაქური ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლები არიან როსტებუფი (*Rusticueil*), ადამ დე ლა ალი (*Adam de la Halle*) და ჟან ბოდელი (*Jean Bodel*).

XIII ს-ში ჩნდება ფრანგული პროზის პირველი ნიმუშები: შამპანელი ვოფრუა ვილარდუენს (*Jeoffroi Villehardouin*) და პიკარდელი რობერ კლარელის (*Robert de Clari*) მიერ აღწერილი მეთასე ჯვაროსნული დაშქრობა, რომელიც კონსტანტინეპოლის დაპყრობით დამთავრდა.

თანდათანობით ძველფრანგული ენის ფუნქციები, როგორც სამწერლო ენისა, ფართოვდება და XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დასაწყისში აღწევს ადმინისტრაციულ-საქმიან მიმღწერასა და იურიდიულ დოკუმენტებში, ვ.ი. იქცევა საქმიან ენად ღლათინურთან ერთად. ეს ხდება, უპირველეს ყოვლისა,

ზრდილო ოლქებში (პიკარდიაში) და ჩრდილო-აღმოსავლეთით (ლოტარინგიაში). მოგვიანებით, XIII-ის II ნახევრიდან, ფრანგული ენა გამოიყენება აღმინისტრაციულ-საქმიანი მიმოწერის ფუნქციით ილ-დე-ფრანსშიც. ფრანგული ენა, როგორც საქმიანი ენა, საბოლოოდ შეკვიდრება მხოლოდ XVI საუკუნეში.

ამგვარად, ძველფრანგული ენა წარმოდგენილი იყო დამწერლობით, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა საფუძველს, რომ ვიღაპარაკოთ საერთო ფრანგული სამწერლოსალიტერატურო ენის არსებობის შესახებ, ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობით. თანამედროვე ფრანგული ენისათვის, ისევე როგორც ნაციონალური პერიოდის ენა საწერლო-სალიტერატურო ენისათვის, დამახასიათებელია ერთიანი, მკაცრად ფიქსირებული საწარმოთქმო, გრამატიკული და ლექსიკური ნორმების არსებობა, რაც სავალდებულოა ამ ენაზე ყველა მოდაპარაკეთათვის, ფუნქციონა მრავალფეროვნება (მეცნიერების, ხელოვნების, სკოლის, ეკლესიის, ლიტერატურის, საერთო სახელმწიფოებრივი ენისა), გაფრცხვლდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, დიალექტებთან მიმართებით მთავარი როლი და რიგი სხვა ნიშნები. ეს მახასიათებლები, ბუნებრივია, აკლდა ძველფრანგულ ენას, რადგან იმდროინდელი ფეოდალური საფრანგეთი ჯერ კიდევ არ იყო ტერიტორიულად, ეკონომიკურად და პოლიტიკურად ცენტრალიზებული სახელმწიფო.

XI-XII საუკუნეებში საერთო ფრანგული სამწერლოსალიტერატურო ენის ფორმირების მხოლოდ ჩასახვა ხდებოდა. ამ პერიოდის ტექსტები, ძირითადად, არ წარმოადგენდნენ რომელიმე განსაზღვრული დიალექტის ყველა თავისებურებათა მარტივ ფიქსაციას; მათში ხშირადაა ასახული ერთიმეორის მსგავსი რამოდენიმე დიალექტის საერთო ნიშნები, ან შეხამებულია სხვადასხვა დიალექტურ ჯგუფთა დამახასიათებელი ნიშნები (თუ ტექსტები შექმნილია სასაზღვრო რეგიონებში). ამიტომაც, ხშირად მნელა ძველფრანგული ტექსტის დოკალიზება, ანუ ნაწარმოების შექმნის ადგილის განსაზღვრა და იმ დიალექტის მითითება, რომელზეც ის არის დაწერილი. დიალექტოლოგები, რომლებიც ყველა ძველფრანგულ ტექსტს მიიხსენებენ დიალექტურად, დაიბენ

„სტრასბურგის ფიცების“, „წმ. ეულადიას კანტაღენისა“ და სხვა ტექსტების დიალექტების შესახებ. ამასობაზე, ე.წ. საერთოფრანგული ტექსტები, როგორებიცაა „წმ. ალექსის ცხოვრება“, „სიმღერა როდანდზე“, „კარლოს დიდის მომლოცველობა იერუსალიმში“, გარნიე პონტ-სენტ-მაქსანსულისა და მარია ფრანგის საწარმოებები, ანუ ის ტექსტები, რომელთა ენობრივმა თავისებურებებმა შემდგომი განვითარება მხოვეს თანამედროვე საერთოფრანგულ სამწერლო-ხალიტერატურო ენაში, ამჟღავნებენ დახვედურთ ჯგუფის დიალექტებისათვის დამახასიათებელ ნიშნებს; ეს კი საფუძველს იძლევა ვივარადით, რომ ფრანგული სამწერლო-ხალიტერატურო ენის ფორმირების საწყის ეტაპზე (XI-XII ს.) დიალექტური საყრდენი იყო დახვედური ჯგუფის დიალექტები, ზედა-ნორმანდიული კლასი ჭარბი გავლენით.

მრავალი მკვლევარი ადასტურებს, რომ ფრანგული სამწერლო-ხალიტერატურო ენის პირველადი დიალექტური საფუძველი არის ფრანსიული დიალექტი; მაგრამ ცნობილია, რომ XIII ს-ის II ნახევარზე, სამეფო დომენში, არც ერთი დიტერატურული და საქმიანი ტექსტი არ დაწერილა იმ დე ფრანსის დიალექტზე; ფრანგულ ლიტერატურულ ტექსტთა უმეტესობა დაწერილი ან გადაწერილი იყო ნორმანდიასი ან ანგლო-ნორმანდულ-ანჟუური სამეფოს იხგლისურ სამფლობელოებში; მხოლოდ XIII საუკუნიდან, როდესაც სამეფო ხელისუფლება გადამწყვეტ როლს ასრულებს საფრანგეთის გაერთიანებაში, ხდება დიალექტური საფუძველს ცვლა; ამგვარ საფუძველად ფრანსიული დიალექტი (ანუ პარიზის დიალექტი) წარმოიკეთდება.

ეს პროცესი ახახვას პოელობს XIII ს-ის ზოგი პოეტისა და მწერლის (კონონ დე ჰეტიუნის, ჰერტრან დე ბარ სიურ თბის/Bertran de Bar sur Aube/, ეისონ დე ვარენის /Aimon de Varenne/ და ადენე დე რუას /Adenet le Roi/) გამოხატუებაში, რომელთა მიხედვითაც ისინი ისწრაფვიან წერონ „ფრანგულად“. პარიზულ დიალექტზე ორიენტირებით. თუმცე ყოველივე ამას არ გამოუწყევია არსებითი ცვლილებები სამწერლო-ხალიტერატურო ენის ფორმირების ნორმებში, რადგან ფრანსიული დიალექტი, როგორც უკვე ზემოთ მივუთითეთ, დახვედური ჯგუფის ერთ-ერთი დიალექტი იყო და

მან უკვე არსებულ ნორმებში სოკურათა თავისებურება შეიტანა: *m* (< *m*), *oi* (< *ei*) და *ān* (< *ēn*), არე წარმოიქმნა *flour* > *mör*, *moi* > *moi*, *vēnt* > *vānt*, ამასთანავე არ არის ნათელი, ეს თავისებურებანი ახასიათებდა თვით ურანსიულ დიალექტს აუ მისი საშუალებით შემოადწივს ზეზობელი დიალექტებიდან - პიკარდულიდან ან ჩრდილო-აღმოსავლურიდან.

საინტერესოა როგორ წარმოიშვა სამწერდო-საღვთა-ტრატურო ტრადიცია ფრანგულ ენაზე. VI საუკუნიდან მოყოლებული გაღის ტერიტორიაზე, ეკლესიებსა და მონასტრებში არსებობდა წიგნების გადაწერის სახელოსნოები, ე.წ. „სკრიპტორიუმები“; მათში მუშაობდნენ მხოლოდ სასულიერო პირები, ისინი დაკავებულნი იყვნენ დიპლომების, ხიგელების, საეკლესიო დოკუმენტების წიგნების, სამეცნიერო, ისტორიული ტრაქტატების გადაწერით და ასევე უძველეს ავტორთა ნაწარმოებების გადაწერით ლათინურ ენაზე. იმავედროულად ეს სახელოსნოები ლათინური განათლების გაგრძელების ცენტრებსაც წარმოადგენდნენ. ასეთი სახელოსნოები საფრანგეთის ყველა ოლქში არსებობდა (პროვანსში, აქვიტანიაში, ლოტარინგიაში, ბურგუნდიაში და სხვ.) და მრავალი მათგანი ინტენსიურად მუშაობდა VIII-XII საუკუნეებში. ამ სახელოსნოებში წარმოიშვა და განვითარდა სამწერდო-საღვთა-ტრატურო ტრადიცია ფრანგულ ენაზე-ლიმოუქში, სენტ-მარსიადის (Saint Martial) ეკლესიის იბლი-ოთეკაში; შემონახულია ხელნაწერი, რომელიც თარიღდება XII ს-ის დასაწყისით და წარმოადგენს ერთ-ერთ უძველეს ტექსტს ფრანგულ ენაზე - *Sponsus*; ეს არის დიალოგიზირებული სიმღერა ლათინურ და ფრანგულ ენებზე (იგავი ბრძენ და უკუნურ ქალწულთა შესახებ); ასეთი ხელნაწერის არსებობა ვარაუდობს, რომ სახელოსნოებში ექმნებოდა ტექსტები არა მარტო ლათინურ, არამედ ფრანგულ ენაზეც.

ფონეტიკა

ყოკალიზმი. ადრეულ ძველფრანგულ პერიოდში (X-XII ს.) ფრანგული ეოკალიზმი წარმოდგენილი იყო ხმოვანთა ორი რიგით: წინა რიგის ხმოვნებით და უკანა რიგის ხმოვნებით. გარდა ამისა, კიდევ იყო ერთი წინა რიგის ხმოვანი - დაბიალიზებული ი. არსებობს სხვადასხვა

1459

ფონეტიკა
საქართველო
თბილისი

როგორ წარმოიშვა ი მისი თანამედროვე ელემენტობით, ერთი რამ კი უდავოა: უძველესი ძველებიდან მოყოლებული ეს ბგერა ისევე ეღერდა, როგორც დღეს.

ხმოვნები განსხვავდებოდნენ ღიაობის ხარისხის მიხედვით, ამასთანავე, ამ მხრივ, არ იყო სრული შესაბამისობა წინა და უკანა რიგის ხმოვნებს შორის. წინა რიგის 5 ხმოვანი იყო: i, e (< á |), é (< ē, ī, œ), ê (< ē, æ), a. ხმოვე e ახრულებდა ახრთავანმასხვეჯბულ ფუნქციას და ქმნიდნენ დაპირისპირებებს, მაგ: set (< sapit) ~ set (sēptem); pœt (< pœt) ~ pœt (< pœrdit); prœz (< prœus) ~ prœz (< prœustus) ან ele (< ala) - êle (< illa); clers (< clarus) ~ clers (clēricus); mes (< mēsem) ~ mēs (< mīssum); ver (< vērem) ~ ver (< vēr); chevêl (chavē + el) ~ chevêl (capflum) და სხვ. ევლახე ხესხი იყო ფუნქციონალური დატვირთვა e-ს, რომელიც განვითარდა ხალხურ-ღათინური მახვილიანი e-საგან დახურულ მარცვალში. ამიტომ ძველფრანგულში დაპირისპირება e (< á |) ~ e, ასევე é ~ ê წარმოდგენილია გაცილებით სუსტად. ვიდრე დაპირისპირება e (< á |) - é, ê (< ლათ. e |) იშვიათად გვხვდება ძველფრანგულ ტექსტთა ასონანსებსა და რითმებში; მაგ. „ქარლოს დედის მომლოცველობაში“ (შედგება 870 ხაღეკხო სტრიქონისაგან) არც ერთი სტროფი არ არის é (< e |)-საგან, იმ დროს როდესაც სხვა ტომები სშირად გვხვდება. „სიმღერა როლანდზე“-ში (4002 ხაღეკხო სტრიქონისაგან შედგება) მხოლოდ ერთი სტროფი (CXXI) ეკერს é (< e |)-ზე. იგივე შეიძლება ითქვას „ღუღაფიკოს კურთხევაზე“, რომელიც 2695 ხაღეკხო სტრიქონს ითვლის.

უკანა რიგის ხმოვნები მხოლოდ 2 იყო - o და ô; მათი ფუნქციონალური დატვირთვა ძალიან დიდი იყო და ხშირად ქმნიდნენ დაპირისპირებებს; მაგ: sœrt (< sœrtit) ~ sœrt (< sœrgit); tœr (< taurnum) - tœr (< tœrem); rœte (< crott) ~ rœte (< rœpta); cœrs (< cœrpus) ~ cœrs (< cœrsum) და მრავალი სხვა.

ამგვარად, უკანა რიგის ხმოვანთა ხერხას აკლდა დაბალი აწეულობის ევლახე უკიდურესი ხმოვანი a და მაღალი აწეულობის ევლახე უკიდურესი ხმოვანი u.

ცხვირისმიერი თანხმოვნების თ, n-ს წინ (მოუხედავად იმისა, იმყოფებოდნენ თუ არა ეს თანხმოვნები აბსოლუტურ ბოლოში, თანხმოვნის წინ თუ ინტერვოკალურ მდებარეობაში)

წინა რიგის ხმოვნები წარმოდგენილი იყვნენ თავიანთი ვარიანტებით – ნაზალიზებული ხმოვნებით: $\bar{i}(n)$, $\bar{e}(n)$, $\bar{a}(n)$, $\bar{m}(n)$. ამგვარად, ცხვირისმიერი თანხმოვნის წინ ხდებოდა ნეიტრალიზაცია და e -ს სამივე ტიპი ერთი ვარიანტით – $\bar{e}(n)$ -ით წარმოვედგებოდა; ივარაუდება, რომ იგი დახურული იყო.


უკანა რიგის ხმოვნები – o და o და ცხვირისმიერი თანხმოვნების წინ, წარმოიქმნის თვალსაზრისით, ერთმანეთს ემთხვეოდნენ: წარმოითქმოდნენ დახურულ ნაზალიზებულ $\bar{o}(n)$ -ად. „სიმღერა როლანზე“-ში ფორმები *hom, conte, honte, rencontre, somont, front, respons* და სხვ. სისტემატურად ეღერენ \bar{o} -ად და \bar{o} -ად.

ადრეულ-ძველფრანგული პერიოდის ვოკალიზმიანათვის დამახასიათებელი იყო დიფთონგთა სიუხვე და მამკვრივი დიფთონგთა განსახდერული სიჭარბით: უხეი იყო დიფთონგები მთორე უმახილო i ან u ელემენტით: ai ($> ei$), ei ($[\bar{e}]$), oi , oi , ui ; ou ($[\bar{u}]$), au , eu , ou , ou .

IX საუკუნის დასასრულიდან იწყება i -ს ვოკალიზაცია თანხმოვნის წინ, რის შედეგადაც დიფთონგ ou ($[\bar{u}]$)-ს გვერდით წარმოიშვა დიფთონგთა მთელი სერია II ელემენტით u : au , eu , ou , ou . ვოკალიზაციამ გამოიწვია არა მარტო დიფთონგების, არამედ ტრიფთონგების წარმოქმნაც. ასე წარმოიშვნენ ტრიფთონგები: eau ($< e + i +$ თანხმოვ.), ieu ($< ie + i +$ თანხმოვ.), ueu ($< ue + i +$ თანხმოვ.), მაგ., $ciels > cicus$ (წარმოითქმის $tsicus$), $vuel$ $>$ $vueut$ (წარმოითქმის $vueut$); ვოკალიზებული i -ს გავლენით e (ღია) დიფთონგს ქმნის $e\bar{a}$ -დ, ანუ $e\bar{a}$ $>$ $e\bar{a}u$ $>$ $e\bar{a}u$).

i -იანი დიფთონგები და ამაველი დიფთონგები ცხვირისმიერი თანხმოვნების წინ წარმოდგენილი იყვნენ ვარიანტებით – ნაზალიზებული დიფთონგებით \bar{ai} , \bar{ei} , \bar{oi} , \bar{ui} , \bar{iu} .

ადრეულ-ძველფრანგული პერიოდის (X-XI ს.) ვოკალური სისტემა:



დიფთონგები: დასავალი ai (> ei), ei, ei, oi, uj, au, eu, ou.

ou (< o + i + თანხმ.), ou (< ó |) (ეს უკანასკნელი დიფთონგი, როგორც ჩანს, ელერადობით განსხვავდებოდა მოვლენებით, i-ს ვოკალიზაციის შედეგად წარმოქმნილი ანალოგიური დიფთონგის ou-საგან).

ამჟამად jé, yé.

ტრიფთონგები: éay, iéy, yéy.

გარდა ამისა, ვოკალურ სისტემაში არსებობდა განსაკუთრებული ბგურა, რომელიც წარმოიშვა უმახვილო ხმოვნების, განსაკუთრებით a-ს შეზუსტების შედეგად: ეს იყო éy. რეაქტირებული e (é); ის არ ეყო არც და და არც დახურული, მივიღო, როგორც ჩანს, მ-დ გარდაქმნის ხაზით და ყველაზე ხშირად ვხვდებოდა ბოლსკოდურ მდებარეობაში.

XII-XIII საუკუნეების მანძილზე ძველფრანგულის ვოკალურ სისტემაში არებოდა (ეკლიფები მოხდა):

1. წინა და უკანა რიგის ხმოვნების შორის მყარდება რემპრული შესატყვისობა:

1. უკანა რიგის ხმოვანთა სერია იცემა მაღალი აწეულობის ახალი ხმოვანთა უ, რომელიც შეესაბამება წინა რიგის ხმოვან i-ს ეს ხდება შემდეგი გარდაქმნების შედეგად:

ა) XII-XIII საუკუნეებში ხმოვანი o მახვილიან მდგომარეობაში, დახურულ მარცვალში, ასევე პიატუსში და პრეტონიკურ მდებარეობაში გარდაიქმნება u-დ (o > u): jor > jur (წარმოითქ. dzur); tot > tut, cot > cur(t), tornent > turnent; loer > luer (წარმოითქ. luér); moter > dater და სხვ.

XIII ს-ში ჩნდება ხმოვან u-ს წარმოქმნის ახალი წყარო: ხმოვანი o პიატუსში იქცევა o-დ და შემდეგ u-დ: oir > uir > uir (თანამედ. ouir), dzoir > dzuir > dzuir (თანამედ. jouir) და სხვ.

ბ) XIII ს-ში, რიგ დიფთონგთა (როგორც მახვილიან, ასევე უმახვილო მდგომარეობაში) გარდაქმნის შედეგად ჩნდება ხმოვან u-ს შესყდრადობის გაზრდა:

ou (ლით. a + y) —————
eu (ძველფრანგ. e + i + თანხმ.) —————
ou (ძველფრანგ. o + i + თანხმ.) ————— u


მაგ: *tragu* (<ლათ. *tragu*) > *რუ*; *clavu* (<ლათ. *clavu*) > *ჩუ*; *felis* > *რუ(ა)*; *cupu* > *ცუ*; *chiquis* > *ჩუს* (თანამედ. *choux*); *duys* > *დუს* (თანამედ. *doux*, -ცე) და სხვ.

2. წინა რიგის ხმოვნები კარგავერს *ე-ბ* (<ლათ. *ē, ī, oe*), რომლის ფუნქციონალური დატვირთვა მინიმალური იყო. ეს დახურული *ე*, XII ს-ის II ნახევრიდან, ღია ხდება და ქვევრს რიგორც *ე* (<ლათ. *ē, ae*); მაგ: *veta* > *ვეტ*; *messe* > *მესე*; *metre* > *მეტრე* და სხვ.

ე-ს შეხვედრადობა იზრდება იმის გამო, რომ XII ს-ში, დიფთონგი *აი*, *ეი* ვრტაბს გაველით, იკუმშება *ე-დ* ყველა მდებარეობაში, გარდა აბსოლუტური ბოლოსა. აბსოლუტურ ბოლოში *აი* > *ე*; *საი* > *სე* (თანამედ. *je sais*); *amaï* > *ამე* (თანამედ. *j'aimai*).

აღწერა ცვლილებათა შედეგად თითქმის სრული შესაბამისობა მყარდება წინა და უკანა რიგის ხმოვნებს შორის: წინა რიგის თითოეულ ხმოვანს შეესაბამება იმავე აწვეულობის უკანა რიგის ხმოვანი. სრულ შესაბამისობას აკლავს მხოლოდ უკანა რიგის *ა* ხმოვანი, რომელიც ვაცვილებით ვეიან წარმოიქმნა.


II. ხსდება წინა რიგის ასალი დაბიალიზებული ხმოვანი *ე*; და საერთოდ, ფრანგულ ვოკალურ სისტემაში შეიმჩნევა წინა რიგის დაბიალიზებულ ხმოვანთა სერიის წარმოქმნის ტენდენცია; წინა რიგის მაღალი აწვეულობის დაბიალიზებულ ხმოვან *ე-ბ* უერთდება საშუალო აწვეულობის ხმოვანი *ე*. ეს ხმოვანი წარმოიშვა რიგ ძველფრანგულ დიფთონგთა და ერთი ტრიფთონგის შეკუმშვის შედეგად, XII ს-ის ბოლოსა და XIII ს-ის დამდეგს:



მაგ. *nuel* > *ნე*; *seul* > *სე* (თანამედ. *seul*); *duys* > *დეს* (თანამედ. *deux*); *tseveys* > *ტესე* (თანამედ. *cheveux*); *vuet* > *ვე* (თანამედ. *il vent*).

ბ-ს განვითარების პრაველრიცხოვანმა წყარომ განაპირობა ამ ხმოების ხშირი შეხვედრადობა; მისი ხარისხობრივი დიფერენციაცია (ანუ დაყოფა ღია და დახურულ ბ-დ) გაცილებით გვიან მოხდა.

III. დამატალ დიფთონგთა რაგი გარდაიქმნება ამჟღად, შემდგომ კი - შეერთებად - ნახევარხმოვანი + ხმოვანი:




მაგ: mei > moi > moy (<ორთ. moi>), dzoie > dzoie (<ორთ. joie>); voits > voits > vêts (<ორთ. voiz>).

ბ) ზოგიერთი დიფთონგი მხოლოდ თავის ბუნებას იცვლის - დამატალიდან გარდაიქმნება ამჟღად: $\begin{matrix} \ddot{u} \\ \ddot{y} \end{matrix} > \begin{matrix} \ddot{u} \\ \ddot{y} \end{matrix}$. ტრიფთონგებიც მსგავს ცვლილებებს განიცდიან: $\begin{matrix} i\ddot{e} \\ i\ddot{y} \end{matrix} > \begin{matrix} i\ddot{e} \\ i\ddot{y} \end{matrix}$.

IV. ვრძელდება ჩსოვანთა ნახალიზაციის თანდათანობითი პროცესი, რაც დასტურდება ასონანსებით: ადრეულ ძველფრანგულ ტექსტებში $\begin{matrix} \ddot{a}(n) \\ \ddot{e}(n) \\ \ddot{a}(n) \\ \ddot{y}(n) \end{matrix}$ ასონირდებოდნენ მხოლოდ შესაბამის ნახალიზებულ ხმოვებთან ან დიფთონგებთან. დანარჩენი ნახალიზებული ხმოვნები და დიფთონგები თავისუფლად ასონირდებოდნენ შესაბამის სუფთა ხმოვნებთან: $\begin{matrix} \ddot{o} (n) \\ \ddot{y} (n) \end{matrix}$ - o-სთან; $\begin{matrix} \ddot{u} (n) \\ \ddot{y} (n) \end{matrix}$ - u-სთან; $\begin{matrix} \ddot{i} (n) \\ \ddot{y} (n) \end{matrix}$ - i-სთან; $\begin{matrix} \ddot{e} (n) \\ \ddot{y} (n) \end{matrix}$ - e-სთან და ა.შ.

XIII ს-ის შუა პერიოდიდან, ნახალიზებული $\ddot{e}(n)$ -ს უღერადობა უმთხვევა $\ddot{a}(n)$ -ს უღერადობას.

XIII ს-ის დახასრულს ხმოვანთა სისტემა ასეთ სურათს ქმნის:



დიფთონგები: $\begin{matrix} \ddot{y} i \\ yé (< qi) \\ ié, ay (< a + I + თანხმ.) \end{matrix}$

ტრიფთონგი: $\begin{matrix} e\ddot{a}y \\ \ddot{y} \end{matrix}$.

ნახალიზებული დიფთონგები: $\begin{matrix} \ddot{a}(n) \\ \ddot{e}(n) \\ \ddot{y}(n) \\ \ddot{u}(n) \\ \ddot{y}(n) \end{matrix}$,

$\begin{matrix} \ddot{e} (n) \\ \ddot{y} (n) \end{matrix}$ (გვხვდებოდა იშვიათად),

რედუცირებული $\begin{matrix} \ddot{e} \\ \ddot{y} \end{matrix}$.

კონსონანტიზმი. ადრეულ ძველფრანგულ პერიოდში (X-XI) თანხმოვანთა სისტემა ასეთი იყო:

თანხმოვნები	ხშულები	ნაპრა- ლო- ვნები	ცხე- რის- მი- რება	ბმერ- დი- თება	მორთო- ლები	ნახე- ვარ- ხმო- ვნები
პატივსმირები	p b		m			w(y)
კბილ-ბაგისმი- რები		f v				
კბილისმიერები	t d	s z	n	l		
კბილთაშორისები		[ʃ] d]				
აღუკოლარულები	ts, dz				r, r	
წინაენისმიერები	ts, dz ¹⁾					
შუაენისმიერები		j	n'	l'		i
უკანაენისმიერები	k g					
უკანაენისმიერი ლაბიალთაშუბულები	kw, gw					
ველარულები				[l(ɔ)j]		
ხორხასმიერები		h				

როგორც ცხრილიდან ჩანს, ყველაზე მეტად სრულად წარმოდგენილი იყო ხშულები და ნაპრალოვნები, ძველფრანგულს გააჩნდა 4 ხშული თანხმოვანი (უფრო ზუსტად, ნახევრადხშული), რომლებიც უცნობი იყო გალიის ხაფხური ღლათინურისათვის; ესენი იყო აფრიკატები: ts, dz და ts, dz.

კბილთაშორისი ნაპრალოვანი თანხმოვნები p, d წარმოადგენდნენ კბილისმიერ ხშულთა ვარიანტებს: p იყო თანხმოვანი t-ის ვარიანტი ბოლოკადურ მდებარეობაში, ხოლო d - d-ის ვარიანტი ინტერვოკალურ მდებარეობაში. ძველფრანგულში თანხმოვანი d ინტერვოკალურ მდებარეობაში მკვიდრ დექსიკურ ფონდში არ გვხვდებოდა, ეს ხდებოდა მხოლოდ ნასესხობებში.

კბილთაშორისი თანხმოვნების არსებობა დასტურდება ადრეულ ძველფრანგულ ტექსტებში, ვახსაკუთრებით დაწერი-

¹⁾ ეს აფრიკატი ეროვნულ შემოხვევებში გვხვდებოდა: andze (ორთ. orze), dozde (ორთ. doze), tredze (ორთ. treze).

ღობით: შავ. *ajudha, cadhuna, Luther* (Serments de Strasbourg); *cuntretha, vithe, mustrethe, s'espelhe* (Vie de st. Alexis).

ნახევარხმოვანი *w(y)* თანხმოვნის წინ წარმოადგენდა ხმოვნების *i-*სა და *i-*ს (რბილის) ვარიანტს. იგი წარმოიშვა *i-*ს ევკავალიზაციის შედეგად ამ პოზიციაში (ევკავალიზაციის პროცესი მიმდინარეობდა IX-XII საუკუნეებში).

ზოგიერთ თანხმოვანთა შეხვედრადობა შეზღუდული იყო; დაბიადაზებულ უკანანისმიერ *kw* ს სიტყვის თავში მცირე ფუნქციონალური დატვირთვა მქონდა – გვხვდებოდა მხოლოდ *a-*ს წინ (*qwant, qwar*). თანხმოვანი *gw* კი – მხოლოდ გერმანული წარმოშობის სიტყვებში: *gwant, gwise* და სხვ.

ძველფრანგულ პერიოდში თანხმოვანთა სისტემაში მოხდა ცვლილებები, მაგრამ არა ისეთი მრავალრიცხოვანი და არსებითი, როგორც ხმოვანთა სისტემაში.

ეს ცვლილებებია:

1. ნაპრაღოვან თანხმოვანთა რიგი შეესო ხშულთა რაოდენობის შემცირების ხარჯზე. XIII ს.-ის ბოლოს აფრიკატებმა (ანუ ნახევრადხშულმა თანხმოვნებმა) დაკარგეს კბილისმიერი ელემენტი და გარდაიქმნენ ნაპრაღოვნებად: *č, ž, š, ž*. ძველფრანგული კონსონანტიზმის სისტემაში წარმოიქმნა ახალი წინანისმიერი ნაპრაღოვნები *š* და *ž*, იმედროულად უთხარდა ენაში უკვე არსებული ნაპრაღოვნების *s-*სა და *z-*ს შესხვედრადობა. ამგვარად, XIII ს.-ის ბოლიდან: *tšar>šar* (ორთ. *char*), *tšanter>šanter* (ორთ. *chanter*); *džambe>žambe* (ორთ. *jambe*), *džant>žant* (ორთ. *gen*); *tšent>šant* (ორთ. *cent*), *tsinc>šinc* (ორთ. *cinc*).

2. დაიკარგა კბილთაშორისი ნაპრაღოვნები / *P* და *č*, რომელთაც არ გააჩნდათ შეხატვისები ძველფრანგულ თანხმოვანთა სისტემაში. კბილთაშორისმა *č-*მ წარმოითქმიდან გაქრობა დაიწყო XI ს.-ის შუა ხანებიდან; იგი უკვე კიდევ არსებობდა „Vie de st. Alexis“ ტექსტის ორთოგრაფიაში, მაგრამ თითქმის არ გვხვდება „Chanson de Roland“-ის ოქსფორდულ ხელნაწერში. თანხმოვანი *P* დაიკარგა მოგვიანებით; უფრო ხანგრძლივად შენარჩუნდა ისეთ ვითარებაში, რომელიც მომდინარეობდა თანხმ. + ღდათ. *i* პოზიციიდან, ანუ ისეთ

ხიტყვებში, როგორებიცაა: *diem>მდ>მძ, scriptum>ესკრ>ესკრ* და სხვ.

3. მოხდა ასევე რიგი ცვლილებები, რომელიც არ შეეხო ძველფორანგულ თანხმოვანთა სისტემას, ნაკრამ აისახა მხოლოდ თანხმოვანთა თანაფარდობასა და მათ შესხვედრადობაზე:

ა) ხიტყვის თავიჯდურში, უკახაქვისძიურმა ლაბიალიზებულმა *kw, gw*-მ დაკარგეს ლაბიალიზაცია. თავდაპირველად, *X ს.-ში*, თანხმოვანმა *kw*-მ დაკარგა ლაბიალიზაცია: *kwar>kar, kwant>kant, kwas>kas* (ორთ. *cas*) და სხვ. ცოტა მოგვიანებით, *gw*-მაც განიცადა დელაბიალიზაცია. მაგ., *gwant>gant, gwarit>garit* და სხვ. ამგვარად, *k* გამოჩნდა ხმოვან *a*-ს წინ, *g* კი – ხმოვნების *a, e, i*-ს წინ, ანუ ისეთ პოზიციაში, რომელშიც ისინი ადრეულ ძველფორანგულში არ შეიძლებოდა შეგვხვედროდა.

ბ) თანხმოვნები *l* და *l'* (რბილი), *IX*-დან *XIII*-მდე, ვოკალიზაციას განიცდიდნენ თანხმოვნის წინ და ხმოვნის შემდეგ, ანუ წარმოიქმებოდა ნახევარხმოვანი *y*, როგორც *l*-სა და *l'*-ს ვარიანტი განსაზღვრულ პოზიციაში.

გ) მთელი ძველფორანგული პერიოდის მანძილზე მიმდინარეობდა *s*-ს შესუსტება თანხმოვნის წინ, რაც, *XIII* ს.-ის ბოლოს, მისი დაკარგვით დასრულდა: *espec>ēpec, teste>tētc, forest>forēl, estruī>ētruīl* და ა.შ. *s*-ს დაკარგვას, თითქოს დანაკარგის ასანახლაურებლად, თან ახლდა წინაშეკალი ხმოვნის დაგრძელება და გახდა გრძლიობა, როგორც ხმოვნის თანმხლები ნიშანი.

ზემოთ აღწერილმა ცვლილებამ გამორიცხა *s*-ს შესხვედრადობა თანხმოვნის წინ; მხოლოდ გაცილებით მოგვიანებით, ლათინური და იტალიური ენებიდან მრავალრიცხოვანი ნახესობების გაყდენით *s* აღდგა ამ პოზიციაში.

ისეთ ცვლილებებში, როგორიცაა *s*-ს გაქრობა და *l*-ს ვოკალიზაცია თანხმოვნის წინ, შეიძლება დაეინახათ იმავე ტენდენციის გამოყენება, რომელიც თავდაპირველ იყო კადირომანულ პერიოდში – მარცვლის ღიაობის ტენდენცია. მარცვლის დამხურავი თანხმოვანთა ჯგუფის აღმოფხვრის ტენდენცია.

ძველფრანგული პერიოდის პოლის კონსონანტურმა სისტემამ ასეთი სახე მიიღო:

თანხმოვნები	სშუალები	ნაპრადლოვნები	ცხვირის-შივრები	გმურდითები	მორთოდები	ნახევარ-ხმოვნები
ბაგისმოერები	p b		m			ა(ა)
კბილბაგისმოერები		f v				
კბილისშივრები	t d	s z	n	l		
კბილთაშორისები		-				
აღყოფიარულები		-			r, r'	
წინაენისმოერები	-	ʒ ʒ'				
შუაენისმოერები		j	n'	l'		l
უკანაენისმოერები	k g					
ცვლარულები						
ხორხისმოერები		h				

მახვილი. თანამედროვე ენისაგან განსხვავებით, ძველფრანგულ ენაში სიტყვის მახვილი იყო, ანუ ყოველი სიტყვა მახვილიანი იყო.

სიტყვის მახვილის ორხეობაიხთან ჰჰიდროდაა დიკავშირებული ენკლიტიკური ფორმების ფართო გამოყენება; ანუ, იმ შემთხვევებში, როდესაც რეაქციონერულ ფ-ზე დაბალთებული მამრობითი და საშუალო სქესის ნაცვალსახელები, ზოგიერთი სხვა სიტყვა და ნაწილაკი (მაგ., me, te, se, le, en, les) მოხდევდნენ ja, je, lui, si ტიპის ერთსიტყვიან სიტყვებსა და ნაწილაკებს, ისინი უერთდებოდნენ წინამავალ სიტყვას, ქმნიდნენ რა ერთ აქცენტურ ერთეულს; მაგ.: si me>sim; ne le>ncl; lui en>luiin; ço est>çost; si est>sist; si en>sin; si se>sis; lui les>luiis; ne les>nes; ki les>kis და სხვ.

ამგვარად, ძველფრანგულ პერიოდში შეინიშნება წარმოთქმის სფეროს ევოლუციის ზოგიერთი ზოგადი ტენდენცია:

1. წინა და უკანა რიგის ხმოვნებს შორის თანდათანობით ჰყარდება შესაბამისობა – თითოეულ ჯგუფში ჩნდება მთლიან, საშუალო და დაბალი აწვეულობის ერთმანეთის შესაბამისი ხმოვნების ერთნაირი რაოდენობა. წინა რიგის – i, e,

ფ, ა უკანა რიგის - u, o, e. უკანა რიგის აკლია მხოლოდ ერთი შესაბამისი ხმოვანი - a.

2. ყალიბდება წინა რიგის ღაბიაღ-ისებულ ხმოვანთა ხერია (რაც ახასიათებს თანამედროვე ფრანგულ ენას): XIII-ში ხმოვანი მ-ს გვერდით ჩნდება ხმოვანი ა.

3. თვალსაჩინოა დიფთონგების და ტრიფთონგების აღმოყვების ტენდენცია; დამავალი დიფთონგები გარდაიქმნებიან ამაველებად, შემდგომ კი იკუმშებიან მონოფთონგებად ან კმნიან შეერთებებს: ნახევარხმოვანი - ხმოვანი; მაგ., *ui*, *oi*, *oi*. დიფთონგთა ევოლუციის ასეთი გზა მიიჩნევა მარცვლის დიაოზისაკენ ტენდენციის გამოყვანად ეოკალიზის სფეროში.

4. თანხმოვანთა სფეროში ხდება ნაპრაღოვან თანხმოვანთა სერიის განმტკიცება ნახევარხმოვანთა (აფრიკატების) ხარჯზე.

5. თანხმოვნები, რომელთაც არ გააჩნიათ მყარი შესაბამისობები ძველფრანგული კონსონანტიზმის სისტემაში, ქრებიან ან გარდაიქმნებიან: *b*, *d* გაქრა; მოხდა გარდაქმნა - *kw* > *k*, *gw* > *g*.

6. მოქმედებს ტენდენცია მარცვლის დიაოზისაკენ; ამ პლანში შეიძლება განვიხილოთ *l*(*r*)-ის ეოკალიზაცია თანხმოვნის წინ, *s*-ს თანდათანობითი შესუსტება, შემდგომი მისი დაკარგვით, უკუფში *s* + თანხმოვანი.

ორთოგრაფია. ადრეულ ძველფრანგულ პერიოდში ჭარბობს ფონეტიკური ორთოგრაფია, ანუ თვალსაჩინოა სიტყვის დაწერილობის მის წარმოთქმასთან მიახლოების ტენდენცია: *vint* „vingt“, *set* „sept“, *piel* „piet“, *povre* „pauvre“ და სხვ.

მისწრაფება, რომ ხუსტად გადმოიცეს რედუცირებული *ç*-ს წარმოთქმა, ვლინდება „La vie de st. Alexis“-ში (XI ს.) მერყევი დაწერილობით: *contreth* და *contrethe*, *cambr* და *cambre* ტიპისა.

რიგ შემთხვევებში დაწერილობა უშუალოდ ასახავდა წარმოთქმაში მიმდინარე ცვლილებებს; მაგ., „Chanson de Roland“-ში დიფთონგი *ai* დაწერილობაში გადმოიცემა არა მხოლოდ

ასომეგრებში ai-თი. არამედ ასევე ci-თი და e-თიც; graisle, rcpairet, aimet-ის გვერდით გვხვდება grastc, repeiret, cimet და ა.შ.

როგორც შ. ბოლიე (Beaulieux Ch., „Histoire de l'orthographe française“, Paris, Champion, 1937, ტ. I) აღნიშნავს, ორთოგრაფია, მნიშვნელოვანწილად, ეონგლასორების მიერ იქმნებოდა; მათ შორე შუახუელი ნაწარმოებები ვამისნული იყო მღერისათვის ან თხრობისათვის; ბუნებრივია, რომ chansons de geste-ში დონინარებდა ფონეტიკური, წარმოთქმის ამსახველი ორ-თოგრაფია.

მოგვიანებით, განსაკუთრებით XIII ს-ის შუა ხანებში, ორთოგრაფიის ფონეტიკური პრინციპი გზას უთმობს დასახიჩხრებულ ორთოგრაფიას.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა არსებითი სახელი

ძველფრანგულ პერიოდში არსებით სახელს ჰქონდა ბრუნვის, რიცხვის, სქესის კატეგორიები და ასევე განსაზღვრულობა — განუსაზღვრულობის კატეგორია, რომელიც ნამოყალიბების პროცესში იყო; თანამედროვე ფრანგული ენისაგან ძირითადი განმასხვავებელი იყო ბრუნვის კატეგორიის არსებობა.

ბრუნვის კატეგორია. ძველფრანგულ ენაში ბრუნება 2 ბრუნვით იყო წარმოდგენილი: სახელობითი (cas sujet) და ირბი (cas régime) ბრუნვებით მსოფობითსა და მრავლობით რიცხვში; ბრუნება არ იყო ცალხადო, განვითარებადი მოვლენა, იგი ღათინური ბრუნების ნარჩენების სახით წარმოდგენილი გადმოსაში იყო.

არსებით სახელთა მსოფოდ ერთი ჯგუფი განსასხვავებდა ბრუნვით ფორმებს მსოფობით და მრავლობით რიცხვში; ეს აყო მამრობათი სქესის არსებითი სახელები, რომლებიც ბოლოდებობდნენ ა-ზე (ან ფა-ზე) და აფრიკატ ს-ზე (დაწერილობით ასო 2); ეს არსებითი სახელები შეესაბამებოდნენ დიათხური II, III და IV ბრუნების არსებით სახელებს.

მხ. რ.

მრ. რ.

სახელ. ბრ. li chevaliers (s)

li chevalier (-)

ირიბი ბრ. le chevalier (-)

les chevaliers (s)

ბრუნებას ქმნიდა -s ფლექსიის მონაცვლეობა ნულოვან ფლექსიასთან. როგორც ჩანს, არტიკლის გარეშე არსებითი სახელის ბრუნვითი ფორმა მხოლოდ კონტექსტით შეიძლება განსაზღვრულიყო.

ამავე ჯგუფს შეეკუთვნება ზოგი მამრობითი და მდედრობითი სქესის საკუთარი სახელი (ძირითადად გერმანული წარმოშობის); ესენი იყო მამრობითი სქესის საკუთარი სახელები, რომელთაც სახელობით ბრუნვაში (მხ. რ.) კჭინდათ დაბსლოება -s და ირიბ ბრუნვაში (მხ. რ.) -on:

Otes - Oton

Miles - Milon

Charles - Charlan და სხვ.

ახევე მდედრობითი სქესის საკუთარი სახელები, დაბოლოებული სახელობით ბრუნვაში (მხ. რ.) -e-ზე და ირიბ ბრუნვაში (მხ. რ.) -ain-ზე:

Berte - Bertain

Alde - Aldain

Eve - Evain და სხვ.

არსებით სახელთა მეორე ჯგუფში (მამრ. სქესის არსებითი სახელები, დაბოლოებულები რედუცირებულ e-ზე; მაგ.: pere, frere, gendre და სხვ., დათინური II(-er) და III ბრუნვის ამსახველი) ბრუნვის კატეგორია ხაკლებად ნათლად იყო გამოჩატული:

მხ. რიცხვი

მრ. რიცხვი

li gendre

li gendre

le gendre

les gendres

გარდა ამისა, არსებობდა მამრობითი და მდედრობითი არსებით სახელთა მცირე ჯგუფი, რომელთა სახელობითი ბრუნვის (მხ. რ.) ფორმა ამკარად განსხვავებულია ირიბი (მხ. რ.) ფორმისაგან და მრავლობითი რიცხვის სახელობითი და ირიბი ფორმებისაგან.

ბრუნება	მამრობითი სქესი		მდედრობითი სქესი	
	მხ.რიცხვი	მრ. რიცხვი	მხ.რიცხვი	მრ.რიცხვი
სახელდობითი ირიბი	seur seigneur	seigneur seigneurs	suer sours	sours
სახელდობითი ირიბი	nies nevout	nevout nevouz	niece necien	neciers
სახელდობითი ირიბი	enfes enfant	enfant enfants	ante antain	antains

ეს არსებითი სახელები მომდინარეობდნენ ლათინური III ბრუნების არსებითებისაგან, რომლებიც ლათინურში ქმნიდნენ არათანამარცვლიან ბრუნებას მოძრავი და მუდმივი ნახვილით.

თანამედროვე ფრანგულ ენაში შენარჩუნებულია ზოგიერთი ამ არსებითი სახელდობანი, მაგრამ ისინი ენაში ფუნქციონირებენ როგორც განსხვავებული სიტყვები განსხვავებული მნიშვნელობებით; მაგ.: on – homme, chanteur – chanteur, garç – garçon, copain – compaignon და სოფი სხვა.

რაც შეეხება მდედრობითი სქესის არსებით სახელებს (გარდა ზემოთ მოხსენიებულებისა), ბრუნვის კატეგორიას მათში ფორმალური გამთხატელება არ გააჩნდა: როგორი ფუნქციაც არ უნდა შეესრულებინათ წინადადებაში terre, mere, citez, vertuz ტიპის არსებით სახელებს, მხოლოდით რიცხვში ქობხდათ ფორმა (la) terre, (la) mere, (la) citez, (la) vertuz, ხოლო მრავლობითში – (les) terres, (les) meres, (les) citez (-ts), (ies) vertuz (=ts).

მედღფრანგული წარმოთქმის ზოგიერთი თავისებურება ხელს უწყობდა არსებით სახელთა (და ასევე ზედსართავ სახელთა) ფორმების მორფოლოგიური დანაწევრების დარღვევას. ასეთი თავისებურება იყო ბოლო -s-ს გავეღება წინამაჲად თანხმოვანზე -s-ს გავეღება:

1. წარმოთქმიდან ქრებოდა სახელის ფუძის ბოლო თანხმოვნები, თუ ესენი იყვნენ k, f, p ბგერები:

სახელობ. მხ. რიცხვი	ირიბ. მხ. რიცხვი
cos (= coc + s)	coc
clers (= clerc + s)	clerc
sers (= serf + s)	serf
cers (= cerf + s)	cerf
chans (= champ + s)	champ
dras (= drap + s)	drap

2. არ წარმოითქმოდა თანხმოვნება n, m, თუ მათ წინ უხვრებდა თანხმოვანი r:

სახელობ. მხ. რიცხვი	ირიბ. მხ. რიცხვი
enfers (= enferm + s)	enferm
enfers (= enferm + s)	enferm
chars (= cham - s)	cham
cors (= corn + s)	corn

3. თანხმოვანი t და თანხმოვანთა ჯგუფი st ქმნიდნენ -s- სთან ერთად აფრიკატ ts-ს (ორთ. 2):

სახელობ. მხ. რიცხვი	ირიბ. მხ. რიცხვი
oz (= ost + s)	ost
fuz (= fust + s)	fust
paz (= past + s)	past
barnes (= barnet + s)	barnet
deduiz (= deduit + s)	dedit

4. I და P (რბილი) ვოკალიზაციას განიცდიდნენ s-ს წინ. ისევე როგორც ვოველი თანხმოვნის წინ:

სახელობ. მხ. რიცხვი	ირიბ. მხ. რიცხვი
aigueus (= aignel + s)	aignel
chevus (= chevel + s)	chevel
conseuz (= conseil + s)	conseil
travaus (= travail + s)	travail

5. l, i-ს შემდეგ, ქრებოდა:

სახელობ. მხ. რიცხვი	ირიბ. მხ. რიცხვი
fiz (= fil + s)	fil
goupiz (= goupil + s)	goupil

ასეთ პირობებში, ფუძესა და დაბოლოებას შორის საზღვარი იმდებოდა, რაც, მნიშვნელოვანწილად, ხელს უწყობდა ისედაც არამდგრადი ბრუნების ხასტრის შესუბტებას.

XIV ს-ში ირიბი ბრუნვის ფორმებმა შეაეწიროეს სახელობითი ბრუნვის ფორმები და ბრუნებამ საბოლოოდ შეწყვიტა არსებობა ფრანგულ ენაში.

საპირისპირი მოხაზრება აქვს დ. ფულეს (Foulet L., „Les noms féminins et la déclinaison en ancien français“, Cambridge, 1932); იგი მიიხვევს, რომ ძველფრანგული ბრუნების სისტემა საკმაოდ მყარი იყო XII-XIII საუკუნეებში; მისი აზრით, XIV ს-ში ბრუნების გაქრობა გამოწვეული იყო არა შინაგანი მიზეზებით, ანუ თვით ბრუნვითი სისტემის ხისუსტით ან არამდგრადობით, არამედ გარეგანი მიზეზებით – წარმოთქმიდან ბოლო -s-ის გაქრობით. ხულოვან ფლექსიიანი ანუ ირიბი ბრუნვის ფორმების გამოყენებას -იანი ფორმების (ანუ სახელობითი ბრუნვის) ნაცვლად, დ- ფულე მხოლოდ ფონეტიკური მიზეზებით ხსნის.

რიცხვის კატეგორია არსებით სახელთა რიცხვის კატეგორია გამოხატუბოდა იმავე საშუალებებით, რითაც ბრუნვის კატეგორია – არტიკლის შეერთებით ბრუნვის განხაზღვრულ ფორმასთან. ამახთანვე დაბოლოება -s არ წარმოადგენდა რიცხვის სპეციალურ მანვენებელს, რადგან ის ურანაირად ახახათუბდა მხოლობითი რიცხვის ფორმასაც და მრავლობითი რიცხვის ფორმასაც: (li) chevaliers – მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა, (les) chevaliers – მრავლობითი რიცხვის ირიბი ბრუნვა; არ წარმოადგენდა არტიკლის რიცხვისა და ფორმის სპეციალურ მანვენებელს; მხოლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა li (chevaliers), მრავლობითი რიცხვის სახელობითი ბრუნვა li (chevaliers), მხოლოდ მდედრობითი სქესის არსებითი სახელებისათვის იყო -s რიცხვის მანვენებელი; მაგ: la terre (-s ვარქუე) – მხრ., les terres (-s-ით) – მრავლობითი რიცხვი.

სქესის კატეგორია. სქესის კატეგორია უპირატესად არტიკლის ფორმით გამოიხატუბოდა მამრობითი სქესის არსებით სახელებში. მდედრობითი სქესის არსებით სახელებში – არტიკლით სქესი გამოიხატუბოდა მხოლობითი რიცხვში, მრავლობით რიცხვში კი მამრობითი და მდედრობითი სქესის არტიკლს ფორმები ურამანეთს ემთხვეოდა: la terre les terres,

შდრ. მამრობითი სქესის მრავლობითი რიცხვის ირიბი ბრუნვა – les chevaliers.

ნაწილობრივ, სქესის კატეგორია გამოხატებულია დექსიკური საშუალებებითაც – განსაზღვრულ სუფიქსითა დახმარებით; მაგ.: *lecheur – lecheresse, mire – miresse* და სხვ.

არტიკლი

განსაზღვრული არტიკლი. განსაზღვრულ არტიკლს მამრობით სქესში შემდეგი ბრუნვითი ფორმები ჰქონდა:

ბრუნვა	მხ. რ.	მრ. რ.
სახელობ.	li	li
ირიბ.	le	les

შერწყმული არტიკლის ფორმები

მხოლობითი რიცხვი	მრავლობითი რიცხვი
del (< de - le)	del (< de + les)
al (< a + le)	as (< a + les)
el, ზოგჯერ enl (< en + le)	es (< en + les)

როგორც ცხრილიდან ჩანს, ძველფრანგულ ენაში, შერწყმული ფორმები იქმნებოდა არა მარტო a და de წინდებულებთან, არამედ en წინდებულთანაც, რომელიც dans-ის მნიშვნელობით იხმარებოდა.

მედრობით სქესში განსაზღვრული არტიკლის მხოლოდ 2 ფორმა იყო: la – მხოლობით რიცხვში და les – მრავლობითი რიცხვში. ისევე როგორც თანამედროვე ფრანგულ ენაში, მდედრობითი სქესის განსაზღვრულ არტიკლს შერწყმული ფორმები არ ჰქონდა.

წრიდლო-აღმოსავლურ დიალექტებში (ვალონურში, ლოტარინგიულში, ბურგუნდიულში), ასევე პიკარდულში, არტიკლს ფორმები მხოლობითი რიცხვის მამრობითისა და მდედრობით სქესში ერომანეთს ემთხვეოდნენ. ძველვალონურ დიალექტში განსაზღვრულ არტიკლს ორივე სქესისათვის ჰქონდა ფორმები: li – მხოლობით რიცხვის სახელობით ბრუნვაში, le – მხოლობითი რიცხვის ირიბ ბრუნვაში. ძველ-ლოტარინგიულს მამრობით სქესში, მხ. რიცხვის სახელობით

ბრუნვაში *li* ფორმა *ჰქონდა*, *მხ.* რიცხვის ირიბ ბრუნვაში – *lo(a)*; მდებრობით სქესში *მხ.* რიცხვის სახელობით ბრუნვაში *li* ფორმა *ჰქონდა*, *მხ.* რიცხვის ირიბ ბრუნვაში *კი* – *la*, მოგვიანებით *li* ძველბურგუნდიულ დიალექტში, მამრობით სქესში, *მხ.* რიცხვის სახელობით ბრუნვის არტიკლის ფორმა იყო – *li*, *მხ.* რიცხვის ირიბი ბრუნვა – *loa*, მდებრობით სქესში *კი*, *მხ.* რიცხვის სახელობითი და ირიბი ბრუნვების ფორმა იყო *li*.

განსაზღვრული არტიკლი თან ახლდა არსებით სახელებს ქვემდებარის ფუნქციაში; ეს ბუნებრივია, რადგან, ყველაზე ხშირად, სწორედ ამ ფუნქციით იხარჩუნებს არსებითი სახელი თავის საგნობრივ მნიშვნელობას; მაგრამ, თანამედროვე ფრანგული ენისაგან განსხვავებით, გენერალიზაცია (ცნების გამოხატვა მთელი მისი მოცულობით) ჯერ კიდევ არ იყო არტიკლის ფუნქცია; ამიტომაც, აბსტრაქტული ცნების აღმნიშვნელ და საგნობრივი თანაფარდობის არმქონე არსებით სახელებს, როგორც წესი, განსაზღვრული არტიკლი არ ახლდა:

Ço'st grant merveile que pitiel ne l'en prist. (Al. 88)

Melz voeill murir que huntinge me venget. (Rol. LXXXVI)

მაგრამ, როდესაც აბსტრაქტული ცნება კონკრეტულდება, გამოხატული ცნების მოცულობა შემოისაზღვრებოდა, განსაზღვრული არტიკლი იხმარებოდა აბსტრაქტული ცნების გამოხატველ არსებით სახელებთანაც, მაგ.:

Asez est miez qu'il i perdent les testes

Que nus perduns clere Espagne, la bele

Ne nus ains les mals ne les suffraites (Rol. IV).

ამ არსებით სახელებს „უბედურება“, „გატორება“ ახლავს განსაზღვრული არტიკლი, რადგან ბლანკანდრინის მხედველობაში აქვს საეხებით კონკრეტული მოვლენება – ესპანეთის დამარცხება, ქვეყნის განადგურება კარლოს დიდის მიერ. ეს კონკრეტიზაცია გამომდინარეობს მთელი წინამოყვადი კონტექსტიდან; შდრ.:

Nes poet garder que mals ne l'i ataignet (Rol. I)

ამ წინადადებაში არსებითი სახელი „უბედურება“ აღნიშნავს ცნებას მთელი მოცულობით, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე და ამიტომაც არტიკლი არ ახლავს.

აბსტრაქტული ცნება შეიძლება შემოიფარგლოს, და-
კონკრეტდეს, თუ არსებითი სახელი ანტრეკუდენტს წამოადგენს
დანოუკიდებელ წინადადების მიმართ:

Prest' est la glorie qued il li volt duner (Al. 59)

(ახლდა დიდება, რომელიც მას (ე.ა. დმეროს) სურს
მისთვის გარდმოსაუღლენად).

Granz est li dolz (= duels) qui sor mei est vertiz (Al. 93)

(უდიდესია მწუხარება, რომელიც თავს დამატყდა).

განსაზღვრული არტიკლი, ისევე როგორც თანამედროვე
ენაში, ახლდა აბსტრაქტული ცნების გამოშხატველ არსებით
სახელს იმ შემთხვევაში, როდესაც იგი მნიშვნელობით
უახლოვებოდა კუთვნილებით ნაცვალსახელს:

Ço sent Rollant que la (= sua) mort li tresprent (Rol. CLXXIV).

ასევე არ არის გამორიცხული არტიკლის სმარება
კუთვნილებით ნაცვალსახელიან აბსტრაქტულ არსებით სა-
ხელოან:

La sue mort l'i valt mult angoissant (Rol. CLXV)

კუთვნილებითი ნაცვალსახელი სახედრავს, ავიწროებს
აბსტრაქტულ ცნებას, ამიტომაც შესაძლებელია არტიკლის
გამოყენება.

ერთეული ცნებების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან
(soleil, ciel, Dieu და სხვ.) განსაზღვრული არტიკლის სმარება
იმავე კანონზომიერებებს ექვემდებარებოდა, რასაც მისი
გამოყენება აბსტრაქტულ არსებით სახელებთან:

leele tere, ço dit, dun il esteit

Soleill n'i luist ne blet n'i puet pas creistre (Rol. LXXVIII)

აქ არსებითი სახელი „მზე“ აღებულია ზოგადი
მნიშვნელობით. შდრ.:

Bels fut li vespres e li soleilz fut cler. (Rol. XI).

Clers est li jurs e li soleilz luisant. (Rol. CXCII).

ამ წინადადებებში არსებითი სახელი soleil იხმარება
განსაზღვრული, კონკრეტული მნიშვნელობით: არა ზოგადად
„მზე“, არამედ მზე იმ სადამოს ან იმ დღეს.

არსებითი სახელები მრავლობით რიცხვში, რომელიც
შეიძლება ქქონოდით მრავლობითობის ზოგადი მნიშვნელობა,
როგორცაა, მაგალითად, ხელის სახელწოდება – Franceis,
Franc, ასევე ისეთი არსებითები, როგორცაა païen, chrestien,

angele და მათი მსგავსნი, როგორც ჩანს, ქველფრანგულ კერძოდში აღიქმებოდა აბსტრაქტულ არსებით სახელებთან ახლომდგომ კატეგორიად; ისინი თითქმის ყოველთვის უარტიკლოდ იხმარებოდნენ.

Dient Franceis: harun, tant marc fus. (Rol. CXX)

Jo vos plevis ja retournerunt Franc. (Rol. CXXIX)

Païen unt tort e chrestiens unt dreit. (Rol. XXIX)

არსებით სახელთა იტავე კატეგორია განსაზღვრულ არტიკლს დაირთავს მხოლოდით რიცხვში:

Desur s'asiet li païen Baligant. (Rol. CXCH)

Franceis, païen ტაძის არსებით სახელებს ახლდა განსაზღვრული არტიკლი, როდესაც მათ მიერ გამოხატული ცნება კონკრეტიზდებოდა (კონტექსტით, დამოკიდებული წინადადებით ან რაიმე სხვა საშუალებით):

Deus! quel dular que li Franceis nel sevent! (Rol. LV)

ხასი ესმევა, რომ არა საერთოდ „ფრანგები“, არამედ ავანგარდი კარლოს დიდის მეთაურობით.

vint as (= a + les) Franceis, tut lur ad acuntet. (Rol. LXXI).

მხედველობაშია არიერგარდი როდნხვის მეთაურობით, რომელიც დატოვა კარლოს დიდმა.

Li empereres cevalchet par irur

E li Franceis (ე.ი. მისი ამაღლა) dolentz e curous.

(Rol. CXXXIII)

როდესაც კონკრეტული ცნების გამოხატველი არსებითი სახელები აღებულია განუსაზღვრელი, აბსტრაქტული მნიშვნელობით, მათ არტიკლი არ ახლავს:

Pur sun: se:gnor deit hom susfrir destreiz. . .

(Rol. LXXIX)

სახელდობრ, არსებით სახელ hom (= homme)-ის ასეთი ხმარებიდან განვითარდა განუსაზღვრელი პირის ნაცვალ-სახელი on.

პირდაპირი დამატების ფუნქციური არსებითი სახელები გაცილებით ხშირად იხმარებოდნენ არტიკლის გარეშე, ვიდრე ქვეშეღებარის ფუნქციური.

განსაზღვრული არტიკლი არ იხმარებოდა:

1. თუ არსებითი სახელი გამოხატავდა აბსტრაქტულ ცნებას:

Ed en cel altre nos achiat pais e glorie. (Al. 125)

Respont Rollant: Orgoill oi e folage. (Rol. XX)

აბსტრაქტული არსებითი სახელის მნიშვნელობის კონკრეტისავეის შემთხვევაში არტიკლი იხმარებოდა:

Planums ansemlle le doel de nostre ami. (Al.30)

არსებითი სახელი „doel“ გამოხატავს მწუხარებას, მიეწებულს აღექვის სახლიდან წასვლის გამო.

2. აუ არსებითი სახელი (როგორც აბსტრაქტული, ასევე კონკრეტული მნიშვნელობით) შედიოდა ზმნური შესიტყვების შემადგენლობაში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი იყო ზმნა avoir:

Carles li velz avrat e deol e hurte. (Rol. LXXIV)

3. თუ არსებითი სახელი მყარი ზმნური შეერთების კომპონენტს წარმოადგენდა, ძველფრანგულ პერიოდში ასეთი მყარი შეერთებები ბევრს იყო, ისინი იქმნებოდნენ არა მხოლოდ ფართო მნიშვნელობის მქონე ზმნებთან (prendre, faire და სხვ. ტიპისა), არამედ გაცილებით ვიწრო მნიშვნელობის ზმნებთანაც:

Dunc li acchet filie ad un noble Franc. (Al. 8)

Pecchet fereit qui dunc li fesist plus. (Rol. XVI)

4. არტიკლი არ ერთვის კონკრეტულ არსებით სახელებს, როდესაც ისინი იხმარებიან განუსაზღვრელი სიმრავლის მნიშვნელობით, ანუ, უმთავრესად, არსებით სახელებს მრავლობით რიცხვში:

Enz en les mains portent branches d'olive. (Rol. VII)

როგორც თანამედროვე ფრანგულ ენაში, არსებითი სახელი, გარეშობითი დამატების როლში, მაშინ იხმარება არტიკლით, როდესაც იგი სრულად ინარჩუნებს თავის საგნობრივ მნიშვნელობას. მოქმედების ნიშნის აღმნიშვნელი არსებითი სახელი, ძველფრანგულ პერიოდში, არტიკლის გარეშე იხმარება:

Dunc vint errant dreitemen a la mer. (Al. 16)

არსებითი სახელი „mer“ ინარჩუნებს საგნობრივ მნიშვნელობას. შდრ.:

Drecent lur sigle laissent curre par mer (Al. 16)

Jamais en tere ne porterat curone. (Rol. LXXIV)

სმხის უარყოფითფორმის წინადადებებში არსებითი სახელი - პირდაპირი დამატება, როგორც წესი, უარტიკლოდ იხმარება; ამასთანავე უარყოფა არ ფორმდება თანდებული ძე-თი:

Jo nen ai ost qui bataille li dunne. (Rol. II)

განუსახდერელი არტიკლი, განუსახდერელ არტიკლს ბრუნვითი ფორმები მხოლოდ მაშრობითი სქესის მხოლოდით რიცხვში ჰქონდა:

ბრუნვა	მამრ. სქ. მხოლ. რიცხვი	მდედრ. სქ. მხოლ. რიცხვი
სახელობითი ირიბი	Uns (chevaliers) Un (chevalier)	Une (mere)

მრავლობითი რიცხვის ფორმები იხმარებოდნენ იმ არსებით სახელებთან, რომლებიც წარმოადგენდნენ pluralia tantum-ს (ე.ი. ისეთებთან, რომელთაც პქონდათ მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ფორმა) და ასევე წყვილი საგნების აღმნიშვნელ არსებით სახელებთან. მაგ.:

... et avoit unes grandes joes et un grandisme nes plat et unes grans narines lees, et unes grosses levres. . . et uns grans dens. . . et estoit caucies d'un housiax. . .

(Auc. et Nic. 24, 16-22)

განუსახდერელი არტიკლის გამოყენების ხევრო გაცილებით ვიწრო იყო, ვიდრე განსახდერელის; იგი იხმარებოდა:

1. რიცხვითი სახელი „ერთის“ მნიშვნელობით:

Puroc vos di d' un son filz voil parler. (Al. 3)

Sin ai un filz, ja plus bels n'en estoet. (Rol. XXIII)

2. „რომელიღაც“, „რაღაც“, „ნებისმიერი“, „ხოვთ“-ს მნიშვნელობით:

Suz tun degret me fei un grabatum. (Al. 44)

Suz mun degret gist uns morz pelerins. (Al. 71)

3. იმ საგნს აღსანიშნავად, რომელიც უროგვაროვან საგანთა კლასის ერთ-ერთ საგანს წარმოადგენდა:

Si fut un sire de Rome la cite. (Al. 3)

Un faldestoel out suz l'ombre d'un pin. (Rol. XXXI)

გამოყოფის, ინდივიდუალიზაციის, კონკრეტიზაციის უკონქცია, რაც ნვეულებრივია თანამედროვე ფრანგულ ენაში, ჯერ კიდევ არ იყო დამახასიათებელი ძველფრანგული განუსაზღვრელი არტიკლისათვის.

პარტიტიული (ნაწილობრივი) არტიკლის უქონლობა, ძველფრანგულ ენაში პარტიტიული არტიკლი (*du, de la*) არ არსებობდა. განუსაზღვრელი რაოდენობის აღნიშვნა ხშირად ხდებოდა რაოდენობის ზმნიშვლებისა და წინდებული *de-ს* საშუალებით (*mult de, poi de, assez de, tant de* და სხვ.):

De sun avoir vos voeit assez duner. (Rol. IX)

წინადადების სხვა წევრების მიერ რაოდენობის ზმნიშვლის წინდებულ *de-სა*გან განცალკევების შესაძლებლობამ ხელი შეუწყო იმას, რომ დაიწეს წინდებულ *de-ს* გამოყენება განუსაზღვრელი რაოდენობის აღხანიშნავად მაგ:

De ses meilleurs que il pout recuvrer. (Rol. XXVII)

უარყოფის გამოსატყვევ წინადადებებში, წინდებული *de* პარტიტიული მნიშვნელობით იშეუათად გვხვდებოდა.

იმ შემთხვევებში, როდესაც თანდებული *de*, გამოყენებული განუსაზღვრელი რაოდენობის აღხანიშნავად, აღმოჩნდებოდა განსაზღვრულ არტიკლიან არსებით სახედებთან, წარმოიშებოდა შერწყმული ფორმა, რომელიც გარეგნულად ემთხვეოდა თანამედროვე პარტიტიული არტიკლის ფორმას; მაგრამ ეს დამთხვევა იყო წმინდად გარეგნული, პარტიტიულობის მნიშვნელობა გადმოივმოდა მხოლოდ თანდებული *de-ით*, ანუ ფორმა *del* გამოხატავდა განსაზღვრული საგნის განუსაზღვრელ რაოდენობას:

Sin deit hom perdre del sanc e de la char

(= de son sang et de sa chair). (Rol. LXXXVIII)

ამგვარად, განსაზღვრული არტიკლი *de-სთან* შეერთებით გამოხატავდა განსაზღვრული ნივთიერების განუსაზღვრელ ნაწილს.

პარტიტიული მნიშვნელობით გამოყენებული აბსტრაქტული არსებითი სახელებიც, როგორც წესი, უარტიკლოდ იხმარებოდნენ; მაგ.:

Savoir i ad, mais qu'il seit entendut (= elle [უ.ი. la réponse]

a du sens, il n'y a cu'à là suivre). (Rol. XVI)

ძველფრანგულ ენაში, ჯერ კიდევ არ არის საფუძველი იმისა, რომ ყუდაპარაკოთ პარტიციული არტიკლის არსებობაზე. ის მხოლოდ ფორმირების პროცესშია. მის გამოსჩენაზე მხოლოდ შაშინ შეიძლება ვილაპარაკოთ, როდესაც de წინდებულთან შერწყმული განსახდერული არტიკლი აღარ აღნიშნავს განუსახდერულ რაოდენობას და შეიძებს პარტიციულ მნიშვნელობას. შერწყმება რა de-სთან ერთიან ფორმას მნიშვნელობითაც, და როდესაც დაიწყება ფორმების du, de la გამოყენება ხხვადასხვა წინდებულებთან: avec, par და სხვ.

ამგვარად, ძველფრანგულ პერიოდში არსებითი სახელის განსახდერულობა – განუსახდერულობის კატეგორია ნამოყალიბების პროცესში იყო. განსახდერული არტიკლი ხაკმაოდ სშირად იხმარებოდა; თანამედროვე ენისაგან განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ განსახდერულ არტიკლს არ გააჩნდა განმაზოგადებელი ფუნქცია; ამ ფუნქციის ევოლუცია ჯერ კიდევ XVI საუკუნეში არ იყო დასრულებული. გაცილებით იშვიათად იხმარებოდა განუსახდერული არტიკლი; ეყუდაზე მეტად სისტემატიურად ის იხმარებოდა რიცხვითი სახელის „ერთის“ მნიშვნელობით, ასევე იხეთი საგნის ან პირის აღსანიშნავად, რომელიც იყო ერთგვაროვან საგანთა რომელიმე განსახდერული კლასის წარმომადგენელი; მაგრამ განუსახდერულ არტიკლს არ გააჩნდა თანამედროვე ენის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია – გამოყოფის, ინდიკატულიზაციის ფუნქცია.

ზედსართავი სახელი

ძველფრანგულში ზედსართავი სახელები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მდებრობითი სქესის წარმოების საშუალებების მიხედვით:

1) ზედსართავი სახელები, რომელთაც მდებრობით სქესში დაბოლოებად პქონდათ რეაუციონებული e(e), მამრობითიში კო – ნულოვანი დაბოლოება (მხოლოდითი რიცხვის ირბ ბრუნეაში): cler-clere, neir-neire, chier-chiere, plein-pleine, dūr-dūre, fier-fiere, bel-bele და სხვ.

2) ზედსართავეები, რომელთაც სხვადასხვა ფორმები ქჷონდათ მამრობით და მდედრობითი სქესში *vif-vive, lone-longe, larc-large, lois-loische, frais-fresche, sec-seche* და სხვ.

ამ კატეგორიის ზედსართავეებს, მამრობით სქესში, ქჷონდათ (li) *chevaliers* ტიპის ბრუნვითი ფორმები, მდედრობითში კი, ისევე როგორც მდედრობითი სქესის არსებით სახელებს, ბრუნება არ გააჩნდათ.

3) ზედსართავეები, რომელთაც ერთნაირი დაბოლოება – ქჷონდათ მამრობით და მდედრობითი სქესში: *triste, tendre, destre, senestre, povre, aspre* და სხვ. ეს ზედსართავეები მდედრობითი სქესში არ იბრუნებოდნენ, მამრობითში კი (li) *gendre*-ს ტიპის ბრუნვითი ფორმები ქჷონდათ.

4) ზედსართავეები, რომელთაც მხოლოდით რიცხვში ქჷონდათ მდედრობითი სქესის ფორმა, რომელიც ემთხვეოდა მამრობითი სქესის მხოლოდით რიცხვის არიბი ბრუნვის ფორმას; მაგ. *grant* (მდედრობითი სქესის მხოლოდითი რიცხვი) და *grant* (მამრობითი სქესის მხოლოდითი რიცხვი, არიბი ბრუნვა); ამ კატეგორიას ეკუთვნოდნენ: *vert, fort, gentil, cruel, mortel, charnel* და ასევე -ant-იანი ზედსართავეები: *vallant, puissant, ardant, present* და სხვ. (ამასვე განეკუთვნება აწმყო დროის მიმდევობა, გამოყენებული ზედსართავის ფუნქციით). მამრობითი სქესში მათ ქჷონდათ (li) *chevaliers* ტიპის ბრუნვითი ფორმები, მდედრობითში კი არ იბრუნებოდნენ.

შედარების ხარისხები იწარმოებოდა აღწერილობითი კონსტრუქციების მეშვეობით, შედარებითი ხარისხი გამოიხატებოდა *plus, meins* (თანამ. *moins*)-ის დახმარებით. შედარების II კომპონენტი შემოდიოდა *que*-თი, თუ ის მთელ წინადადებას წარმოადგენდა; მაგ.:

Quan Rollant veit la contredite gent

Ki plus sunt neirs que nen est arrement. (Rol. CXLIV)

და წინდებული *de*-თი, თუ ეს იყო არსებითი სახელი ან ნაცვალსახელი;

მაგ.:

Plus fel de lui n'out en sa cumpaignie. (Rol. CXIII)

აღმატებთი ხარისხის საწარმოებლად ხშირადს ერთეოდა განსაზღვრული არტიკლი *li, la, les* (მაგრამ.

თანამედროვე ენისაგან განსხვავებით, არტიკლი შეიძლება არც უწყვილოდ იყოს; მაგ.:

Sur palie blancs (წარმოითქ. blans) sident
(წარმოითქ. sident) cil chevalier

As tables juent pur els esbaneier

E as eschees li plus saive e li veill. (Rol. VIII)

შერ.:

Par cele lei que vos tenez plus saive (= par cette loi que vous tenez pour la plus sainte)

Gardez de nos ne tenez le curage, (Rol. LII)

თანამედროვე ენისაგან განსხვავებით, მიმართებით ზედსართავეებს, რომდებშიც გამოხატავენ ნიშანს, დაკავშირებულს განსაზღვრულ საგანთან (მასაღასთან), ერთოვდა სპეციალური სუფიქსი -in, -ine:

acierin(e) (d'acier), marbrin(e) (-de marbre), fraisnin(e)
(=de frêne), verrin(e) (=de verre) და სხვ.

ნაცვალსახელი

პირის ნაცვალსახელები. III პირის ნაცვალსახელს, I და II პირის ნაცვალსახელებისგან განსხვავებით, ირიბი დამატების ფორმისათვის (მხოლოდით და მრავლობით რიცხვებში) კჰონდა არა ორი, არამედ სამი ვარიანტი. გარდა ამისა, მისთვის დამახასიათებელი იყო მამრობითი და მდედრობითი ხეცის ფორმების არსებობა.

ძველფრანგულში განახსვავებდნენ პირის ნაცვალსახელთა მახვილიან და უმახვილო ფორმებს. ეს სახელწოდება, ძირითადად, მიუთითებს ამ ფორმათა წარმოშობას და არა მათ ხმარებას ძველფრანგულ პერიოდში (მაგ., ფორმა me-ს ეწოდება „უმახვილო“ იმიტომ, რომ იგი მომდინარეობს დათ. me-დან (accus. sing. ego-დან) უმახვილო პოზიციაში; ფორმა moi-ს ეწოდება „მახვილიანი“ იმის გამო, რომ ის განვითარდა იმავე დათინური me ფორმისაგან, მაგრამ მახვილიან პოზიციაში.

პირის ნაცვალსახელთა ძველფორანგული
ფორმები

	შოლ. რიცხვი				მრავლ. რიცხვი			
	სახელ. ბრუნვა		ირიბა ბრუნვა		სახელ. ბრუნვა		ირიბა ბრუნვა	
	უმახვილო და	მახვილიანი	უმახვილო და	მახვილიანი	უმახვილო და	მახვილიანი	უმახვილო და	მახვილიანი
I პ	je	me	moi (> moi)	nous	nous			
II პ.	tu	te	toi (> toi)	vous	vous			
III პ. მამრ. სქ.	il	le li	lui	il	les lor	els	lour	
III პმდედრ. სქ.	ele	la li	li	eles	les	els	lour	

საშუალო სქესის ფორმები იყო: lo, le, el.

უკუჩვევით ნაცვალსახელებს 2 ფორმა ჰქონდათ: უმახვილო – se და მახვილიანი sei (> soi).

ობიექტის (დამატების) ფორმები me, moi, te, toi ფუნქციონირებდნენ როგორც ბრალდებითი და მიცემის ბრუნვების ფორმები, ხოლო nous, vous წარმოადგენდნენ ერთდროულად სახელობითი და ირიბი ბრუნვების ფორმებს. le, la; les, els, eles ფორმები იხმარებოდნენ ბრალდებითი ბრუნვის მნიშვნელობით, ხოლო li (მახვილიანი და უმახვილო), lui, leur – მიცემითი ბრუნვის მნიშვნელობით. je, tu, il, ele; il, eles ასრულებდნენ სახელობითი ბრუნვის ფუნქციას.

ენის ევოლუციის პროცესში ფორმა li მდებარებითი სქესის მიცემითი ბრუნვის ფუნქციით შევიწროვდა lui-საგან – მამრობითი სქესის ფორმისაგან.

ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტებისათვის (ვალონური-სათვის, ლოტარინგიული-სათვის, ბურგუნდიული-სათვის) დამახასიათებელია დამატება-ნაცვალსახელების მახვილიანი ფორმების I და II პირისათვის ფორმების moi, si და უკუჩვევითი si-ს ხმარება (ნაცვლად moi, toi, sei-სა). სუბიექტური ნაცვალსახელი je ბურგუნდიულ და შამპანურ დიალექტებში წარმოადგენილია ენის ფორმით. პიკარდულში je – jou (jo)-თი. ჩრდილო-დასავლურ დიალექტებში, ასევე ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტთა ჯგუფში (ვალონურში, ლოტარინგიულში, ბურგუნდიულში) დამატება-ნაცვალსახელის მახვილიანი ფორმის მდებარებითი

სქესის III პირში იხმარებოდა *lei* (ნაცვლად *li-ის*), რომსაწინიუღში – *lic, lei*.

განსაკუთრებით მრავალფეროვანი იყო დამატებო-ნაცვალსახელის *eis (> eus)*-ის დიალექტური ფორმები: ჩრდილო-დასავლურ დიალექტებში იხმარებოდა ფორმა *eaus*, პიკარდულსა და შამპანურში – *aus*, ლოტარინგიულში – *ois (eus)*.

კუთვნილებითი ნაცვალსახელები, ჰეველფრანგულ ენაში კუთვნილებითი ნაცვალსახელთა ფორმების 2 კატეგორია არსებობდა – უმახვილო და მახვილიანი:

		უმახვილოები			მახვილიანები		
შაბრბითი სქესი	მხოლოდობითი რიცხვი						
	ბრუნვა	I პირი	II პირი	III პირი	I პირი	II პირი	III პირი
	სახელებ.	<i>mes</i>	<i>tes</i>	<i>ses</i>	<i>miens</i>	<i>tuens</i>	<i>suens</i>
	ირბ.	<i>ton</i>	<i>ton</i>	<i>son</i>	<i>nien</i>	<i>uen</i>	<i>suen</i>
	მრავლობითი რიცხვი						
სახელებ.	<i>mi</i>	<i>ti</i>	<i>si</i>	<i>mien</i>	<i>tuen</i>	<i>suen</i>	
ირბ.	<i>mes</i>	<i>tes</i>	<i>ses</i>	<i>miens</i>	<i>tuens</i>	<i>suens</i>	
შეგვრბითი სქესი	მხოლოდობითი რიცხვი						
	ბრუნვა	I პირი	II პირი	III პირი	I პირი	II პირი	III პირი
	სახელებ.	<i>ma, m'</i>	<i>ta, t'</i>	<i>sa, s'</i>	<i>meie</i>	<i>ti(u)e</i>	<i>so(u)z</i>
	ირბ.				(< moie)	(> teue)	(< seue)
	მრავლობითი რიცხვი						
სახელებ.	<i>mes</i>	<i>tes</i>	<i>ses</i>	<i>meis</i>	<i>to(u)s</i>	<i>so(u)s</i>	
ირბ.							
მაძრ. სქ.	მხოლოდობითი რიცხვი			მრავლობითი რიცხვი			
	ბრუნვა	I პირი	II პირი	III პირი	I პირი	II პირი	III პირი
	სახელებ.	<i>nostre(s), nos</i>	<i>vosire(s), vos</i>	<i>leur</i>	<i>nestre, no nostres, nos</i>	<i>vostre, vn vostres, vos</i>	<i>leur</i>
ირბ.	<i>nostre, lo</i>	<i>vostre, vo</i>	(> leur)			(> leur)	
შეგვრ. სქ.	სახელებ.	<i>nostre, no</i>	<i>vostre, vo</i>	<i>leur</i>	<i>nostres, nos</i>	<i>vostres, vos</i>	<i>leur</i>
ირბ.			(> leur)			(> leur)	

XII ს-ის ბოლოს, მამრობითი სქესის (შხ. რ.) II და III პირის მახვილიანი ფორმები გარდაიქმნენ I პირთან ანალოგიით: tiens (ნაცვლად tuens-ისა), siens (ნაცვლად suens-ისა). მდებრობით სქესში შეიმჩნეოდა ახალი მახვილიანი ფორმების წარმოქმნის ტენდენცია I პირის მიხედვით: teie (toute-ს ნაცვლად) და seie (soute-ს ნაცვლად); XIII ს-ში კი – ეს ფორმები გარდაიქმნა მამრობითი სქესის ფორმების ტიპის ანალოგიურად, ანუ წარმოიქმნა ფორმები – mienne, tienne, sienne.

პიკარდულ და ვალონურ დიალექტებში, კუთვნილებით უმახვილო ნაცვალსახელებს მამრობითი სქესის მხოლოდით რიცხვში (ირაბ ბრუნვაში) მქონდათ ფორმები: meū, teū, seū, მდებრობითი კი – me, te, se. პიკარდულ დიალექტში I და II პირის ფორმები იყო: შხ. რიცხვში nos, toi; vos, voi, მრავლობითში – no, nos; vo, vos. მდებრობით სქესში – no, vo (შხ. რიცხვში), nos, vos (მრავლ. რიცხვში).

ლოტარინგიულ დიალექტში მამრობითი სქესის მრავლობითი რიცხვის სახელობით ბრუნვაში moi, ti, si-ს ნაცვლად იყო ფორმები: moi, tei, sei (ახევე mūi tūi, sūi).

ნორმანდიულში, ჩრდილო-დასავლურ, სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში, ახევე ბურგუნდიულში მამრობითი სქესის მხოლოდით რიცხვში სახელობით ბრუნვაში იყო ფორმები mis, tis, sis (როგორც ჩანს, შრ. რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმების moi, ti, si-ს ანალოგიურად).

მიუხედავად მახვილიანი და უმახვილო ფორმების არსებობისა, ძველფრანკულ პერიოდში ჯერ კიდევ არ ჩანს ნაცვალსახელებისა და ნაცვალსახელოებასი ზედსართავების ფუნქციონალურად მკვეთრად განსხვავებულ კატეგორიებად ჩამოყალიბება. როგორც უმახვილო, ახევე მახვილიანი ფორმები წინადადებაში ატრიბუტულ ფუნქციას ასრულებდნენ:

E! reis celeste, par ton cumandement

Amfant nus donc. . . (Al. 5)

De meie part ma muiller saluez. (Rol. XXVII)

ატრიბუტული ფუნქციით მახვილიანი და უმახვილო ფორმების ხმარების დროს შეიმჩნევა განსახელებული სხვაობა. უმახვილო ფორმები გამოიყენებოდა, ატრიბუტული ფუნქციით, არსებით სახელთან, როდესაც ამ უკანასკნელს არ ახლდა

არტიკლი ან სხვა რაიმე მსახვერული, ვარდა ზედსართავისა. მახვილიანი ფორმები კი უპირატესად იხმარებოდნენ მასში, როდესაც არსებით სახელს ახლდა არტიკლი (ვანსახვერული ან განუსახვერული), ხვენიებითი ან განუსახვერული ნაცვალსახელი, მკვ.

Mult li angreget la *sue* anfermetet. (Al. 56)

Que jo n'esclair ceste meie grant ire. (Rol. XXI)

ხვენიებითი ნაცვალსახელები. ძველფრანკულ ენაში ხვენიებით ნაცვალსახელთა 2 ტიპი იყო: *cil* და *cist*. *Cil* მიუთითებდა სიშორეს, *cist* კი – სიახლოვეს (დროსა და ხივრცეში). შემდგომში ეს განსხვავება თანდათანობით იშლება და კრეტიენ დე ტრუასთან (XII ს-ის II ნახ.) გვხვდება *cil*-ისა და *cist*-ის გამოყენება გამაძლიერებელი ნაწილაკებით: *ci* და *la*-თი.

ხვერებით ნაცვალსახელებს სამი ბრუნვითი ფორმა ჰქონდათ მამრობითი სქესის მსოფლობით რიცხვში:

მსოფლობითი რიცხვი				
ბრუნვა	მამრ. სქ.	მდედრ. სქ.	მამრ. სქ.	მდედრ. სქ.
სახელობ. ირიბ.	<i>cil</i> (ან <i>icil</i>) <i>celui</i> (<i>icelui</i>), <i>cel</i> (<i>icel</i>)	<i>cele</i> (<i>icele</i>) <i>celi</i> (<i>iceli</i>), <i>cele</i> (<i>icele</i>)	<i>cist</i> (<i>icist</i>) <i>cestui</i> (<i>icestui</i>), <i>cest</i> (<i>icest</i>)	<i>ceste</i> (<i>iceste</i>) <i>cesti</i> (<i>icesti</i>), <i>ceste</i> (<i>iceste</i>)
მრავლობითი რიცხვი				
სახელობ. ირიბ.	<i>cil</i> (<i>icil</i>)	<i>celes</i> (<i>iceles</i>)	<i>cist</i> (<i>icist</i>)	<i>cestes</i> (<i>icestes</i>) <i>cez</i> (<i>icez</i>)

საშუალო სქესის ფორმები: *ço* (*iço*), *ce*.

დიალექტური სხვაობანი, ძირითადად, მკვანდლება ფორმა (*i*)*cels*-თან დაკავშირებით. ეს იმით აიხსნება, რომ ლათინური შეერთება *c + l +* თანხმოვ. სხვადასხვა რეფლექსებს იძლეოდა სხვადასხვა დიალექტებში; შამპანურში უღერდა როგორც *ciaus* და *caus*; ლოტარინგიულში – ფორმა (*i*) *ceos* და უფრო ძველი ფორმა (*i*) *caz*; ბურგუნდიულში, ასევე ჩრდილო-დასავლურ და სამხრეთ-დასავლურ დიალექტებში – ფორმა (*i*) *ceaus*.

პიკარდულში, იმასთან დაკავშირებით, რომ ამ დიალექტში დათინურ k-ს i, e-ს წინ შეესაბამებოდა აფრიკატი tš, ჩვენებით ნაცვალსახელთა სისტემა შემდეგი სახის იყო: მამრ. სქესის მხ. რ. - chil (chicus), chelui, chel; მრავლ. რიცხვი - chil, chiaus; მდედრ. სქესის მხ. რ. - chele, cheli, chele; მრავლ. რიცხვი - cheles; საშუალო სქესის ფორმები - che, chou, chel.

Cist-ის ფორმებს შეესაბამებოდა შემდეგი ფორმები: chist (chis), chestui, chest; მრავლ. რიცხვი - chist, ches; მდედრ. სქ. მხოლ. რ. - cheste, chesti, cheste, მრავლ. რიცხვი - ches.

მიმართებითი ნაცვალსახელები. მიმართებითი ნაცვალსახელები წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმებით: qui, que, dont, quels, liqueis. ფორმა qui-ს არ გაიწნა სხვაობა არც სქესში, არც რიცხვში. ჩვენებით ნაცვალსახელთა მხგავსად, მასაც 3 ბრუნვათა ფორმა ჰქონდა:

მამრ. და მდედრ. სქესი

სახელ. qui

ირიბ. que (ორთიფრაფ. ვარიანტები - qued, quiet)
cui (წარმოითქ. კში)

ფორმა cui მიცემითი ბრუნვის ურთიერთობას გამოხატავდა, ფორმა que კი - ბრალდებითისას.

ტველფრანგულში იყო კიდევ საშუალო სქესის მიმართებითი ნაცვალსახელი, რომელსაც ჰქონდა მახვილიანი და უმახილო ფორმები;

მახვილიანი: quei (> quoi), უმახილო: que.

ამ ნაცვალსახელს ბრუნვითი ფორმები არ ჰქონდა.

მიმართებითი ნაცვალსახელი dont, ისევე როგორც თანამედროვე ენაში, უცვლელი იყო, შეუფარდებოდა პირისა და საგნის აღმნიშვნელ არსებით სახელებს და გუხვდებოდა ირიბი დამატების ფუნქციით „de qui, duquel, de laquelle, desquels“-ის მნიშვნელობით:

Si ert creance dunt (= de laquelle) ore n'i at nul prut.

(Al. 1)

Vait par les rucs dunt (= desquelles) il ja bien fut cointe.

(Al. 43)

ნაცვალსახელები *quels, liquels* ფლობდნენ პირდაპირი და ირიბი ბრუნვების ფორმებს. ისინი წამრობით სქესში აბრუნებოდნენ არსებით სახელ *chevaliers*-ს ტიპისებურად:

	ბრუნვა	მამრ. სქ.	მდედრ. სქ.
მხ. რ.	სახელობ. ირიბ.	<i>quels</i> <i>quel</i>	<i>quel</i>
მრ. რ.	სახელობ. ირიბ.	<i>quels</i> <i>quels</i>	<i>quels</i>

კითხვით ნაცვალსახელთა სახით გამოიყენებოდა მიმართებით ნაცვალსახელთა ყველა ფორმა, გარდა *dont*-ისა.

ზმნა

ძველფრანგულ ენაში ზმნას ჰქონდა ოთხი გრამატიკული კატეგორია.

კილოს კატეგორია. ზმნას ჰქონდა ოთხი კილო: თხრობითი (*Indicatif*), პირობითი (*Conditionnel*), კავშირებითი (*Subjonctif*) და ბრძანებითი (*Impératif*). თითოეულ კილოს (*Impératif*-ის გარდა) ჰქონდა დროთა განსაკუთრებული ხისტიკვა.

დროის კატეგორია. ძველფრანგულში იყო დროთა ის ხისტიკვა, რომელიც ახასიათებს თანამედროვე ფრანგულ ენას.

თხრობით კილოს ჰქონდა ოთხი მარტივი (ფლექსიური) დროითი ფორმა: *Présent, Imparfait, Passé simple* და *Futur simple* და ოთხი რთული (ანაღლებიერი) ფორმა: *Passé composé, Passé antérieur, Plus-que-parfait* და *Futur antérieur*. კავშირებით კილოს ორი მარტივი დროითი ფორმა ჰქონდა: *Présent* და *Imparfait*, ორიც – რთული: *Passé* და *Plus-que-parfait*. პირობით კილოს ერთი მარტივი: *Présent* და ერთი რთული: *Passé*, ბრძანებით კილო კი ერთ მარტივ ფორმას ფლობდა – *Présent*-ს.

ზეურთული დროები (*temps surcomposés*) მოგვიანებით ვითარდებიან, XVI-ში.

პირის კატეგორია გამოიხატებოდა როგორც დაბოლოებების განსაზღვრული სისტემის მეშვეობით, ასევე სუბიექტური ნაცვაღსახედების საშუალებით, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ახლდნენ ზმნას.

გვარის კატეგორია. ძველფორანული ორ გვარს განასხვავებდა: მოქმედების (voix active) და ვნების (voix passive).

გარდა უღლებადი ფორმებისა, ე.ი. იმ ფორმებისა, რომლებიც იცვლებიან გვარის, კილოს, დროის, პირისა და რიცხვის მიხედვით, ზმნას ქონდა კიდევ არაუღლებადი, ანუ უპირო ფორმები: გახუსახდვრედი ფორმა (Infinitif), აწმყოს მიმდგობა (Participe présent), ნამყოს მიმდგობა (Participe passé) და გერუნდივი (Gérondif).

ძველფორანულ ზმნას ქონდა სამი ტიპის უღლება:

I უღლების ზმნები, რომელთაც ინფინიტევში (გახუსახდვრელ ფორმაში) აქვთ დაბოლოება: -er, -ier (წარმოითქ. -ჲრ და -იერ დიფთონგით).

II უღლება - ინფინიტევში - ir-ზე დაბოლოებული ზმნები.

III უღლება - ინფინიტევში - eir (>oir), -re-ზე დაბოლოებული ზმნები და ზნნათა მცირე ჯგუფი, რომლებიც ინფინიტევში -ir-ზე ბოლოვდებიან, მაგრამ არ განეკუთვნებიან II უღლების ტიპს.

მარტივი დროება

I უღლება

ზმნა porter

თხრობითი კილო (Indicatif)

დროითი ფორმები ძირეული ფუძით		
Présent	Imparfait	Passé simple
(je) port -	(je) port o(u)e, -eie ⁵	(je) port-ai, (-ai) ⁵
(tu) port-e-s	(tu) port -o(u)es, -eie-s	(tu) port-a-s
(il, ele) port-e-t	(il, ele) port -o(u)t ei-t	(il, ele) port-a-t
(nos) port-ons ¹	(nos) port-ions ¹	(nos) port-u-mes
(vos) port-ez ²	(vos) port-iez	(vos) port-a-stes
(il, eles) port-ent	(il, eles) port-o(u)ent ³ ei-ent	(il, eles) port-er-ent

¹ ორთოგრაფიული ვარიანტები – ons, urns.

² დაბოლოება -ez ეწევა დროში წარმოთქმული რიცხვრც -ეხ. გარდა ამისა, ზმნესი, რომელიც ეწეო დათხურში პოლიციებოა პადატალურ თანხმობანზე. ურანეულ ენაში მრავლობითი რიცხვის I პირში პქინდათ დაბოლოება -iez (წარმოთქ. [e]ჟ, მხგ., chevalchiez, chargiez (დათ caballicare, caricare).

³ ეწევა უღლების ზმნებს, გარდა I უღლებისა, Imparfait-ში პქინდათ დაბოლოებები: -eie, -eies, -eif, -ions, -iez, -ient. XII ს-ის შუა ხანებიდან ეს დაბოლოებები გაგრეულა I უღლების ზმნებზეც, ანუ სერით გახდა ეწევა უღლებისათვის. სრული-აღმოსავლეთ დაღუქტებში Imparfait-ს ხევა ტობის დაბოლოებები პქინდა: -eie, -eie-s, -eie-t, -iens, -iez, -ient.

⁴ -ions, რიცხვრც Imparfait indicatif-ისა და Conditionnel présent-ის მრავლობითი რიცხვის I პირის დაბოლოება, უართოჟ იყო გაგრეცვლებული სრული-აღმოსავლურ დაღუქტებში (კაღანურში, დიჭარანგიულში, ხერგუნდიულში).

⁵ ძველურანგული პერთადის განმავლობაში წარმოთქმა იცვლებოდა: XII ს-მდე porta, XIII ს. დასაწყისში porta (ei ეტაბის გავლით).

დროითი ფორმები რეგულირებულ ფ-იანი ფუძით			
Futur		Futur dans le passé	
(je)	porte-r-ai	(je)	porte-reie
(tu)	porte-ra-s	(tu)	porte-reie-s
(il, elle)	porte-ra-t	(il, elle)	porte-rei(e)-t
(nos)	porte-r-ons	(nos)	porte-r-ions
(vous)	porte-r-ez	(vous)	porte-r-iez
(il, elles)	porte-r-ont	(il, elles)	porte-rei-ent

როგორც ცხრილიდან ჩანს, ძველფრანგულში არსებობდა პირის დაბოლოებათა ურთიანი და მყარი ხისტიკა:
მხ. რ. მრ. რ.

I პირი - (ნულოვანი დაბ.)

II პირი - -s

III პირი - -t

I პ. - -ons

II პ. - -ez

III პ. - -ent

სისტემიდან გადახვევა შეიქმნოდა Imparfait-ში და Futur dans le passé-ში (Conditionnel) - I პ. მრ. რ. -ions და II პ. მრავლ. რ. -iez, Passé simple-ში - I პ. მრ. რ. -mes, II პ. -tes, Futur-ში - III პ. მრ. რ. -ont. გარდა ამისა, Passé simple-სა და Futur-ში I პ. მხ. რ. დაბოლოება -ai განვითარდა ფ-დ (ai დარჩა მხოლოდ ართოგრაფიულად).

დასაყლურ დიალექტებში (ნორმანდიულში, ჩრდილო-დასავლურსა და სამხრეთ-დასავლურში) Présent-სა და Futur-ში I პ. მრ. რ., -ons-ის გარდა, იხმარებოდა -on დაბოლოებაც (ორთოგრაფ. ვარიანტები un, -un); ამავე დიალექტებში უძველესი პერიოდიდან Imparfait-სა და Futur dans le passé-ში უპირატესად დაბოლოება -ions იხმარებოდა მრ. რ. I პირში, -iens იშვიათად გამოიყენებოდა და დამახასიათებელი იყო ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებისათვის.

ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტებში, ჩახელდობრ ვალონურსა და ლოტარინგიულში, Présent-სა და Futur-ში მრ. რ. II პირში, -ez-ის გარდა, გვხვდებოდა დაბოლოება -eiz (>oiz). ეს დაბოლოება ნორმანდიულსაც ახასიათებდა იმ დროისათვის.

პიკარდულ დიალექტს Présent-სა და Futur-ში მრ. რ. I პირში, ყველა უღლებაში, მქონდა დაბოლოება -omes (ორთოგ.

ვარდანიტი -ommes), მღვ., avomes, disomes, faisomes, Imparfait-სა და Futur dans le passé-ს) კონკურსიკებდნენ დაბოლოებები -iens, iemes (aviemes, estiemes). იგივე დაბოლოებები ტიპურია ვალონურისთვისაც, მაგრამ დამატებით მსხვილით: -iens, -iemes. წმინდა პიკარდულთა მახასიათებელია დაბოლოება -es -ez-ის ნაცვლად (s ნაცვლად უ-ის).

კავშირებითი კვლე (Subjonctif)

Présent		Imparfait	
(je)	port -	(je)	port-asse-
(tu)	port - ¹	(tu)	port-asse-s
(il, ele)	port -	(il, ele)	port-as-t
(nos)	port-ons	(nos)	port-isse-ons
(vos)	port-ez	(vos)	port-isse-ez
(il, eles)	port-ent	(il, eles)	port-ass-ent

ნაწილაკი que, რომელიც, თანამედროვე ფრანგულ ენაში, კავშირებითი კვლეს (Subjonctif) ფორმალურ მანიერებელს წარმოადგენს და იხმარება ამ კვლეს ფორმებში, ძველფრანგულ პერიოდში არ იყო აუცილებელი.

პირობითი კვლე (Conditionnel)

Présent

(je) porte-reie

(tu) porte-reie-s და ა.შ.

Conditionnel présent-ის ფორმა ობრობითი კვლეს Futur dans le passé-ს ფორმის ომონიშური იყო.

ბრძანებითი კვლე (Impératif)

ამ კვლეს ჰქონდა მხოლოდ Présent-ის ფორმა, რომელიც იწარმოებოდა ძირეული ფუძიდან და ემთხვეოდა Présent indicatif-ის ფორმებს: port-e, port-ons, port-ez.

¹ იგი უზნური ფუძე ბოლოდებოდა -e-ზე ან -d-ზე, მაშინ, პირის დაბოლოება -s-სთან შეერთებით, შედეგობა აუტრიკატი უ, დაწერილობაში ასე: z-ით გამოხატული.

უბირო ფორმები
განუსახვერელი ფორმა (Infinitif)
Infinitif présent: porter
შიმდეობა (Participe)

Participe présent	Participe passé
მამრ. სქ. port-ant (წარმოითქვ. ტ) (ირიბ. port-ant)	მამრ. სქ. port-é ირიბ. port-é
მდე. სქ. port-ant	მდე. სქ. port-ée

Participe présent-ს მამრ. სქესში პქონდა არსებითი სახელის chevaliers-ს ტიპის ბრუნვითი ფორმები. მდგდროებითი სქესის ფორმა იყო portant, რომელიც ემთხვეოდა მამრ. სქ. ირიბი ბრუნვის ფორმას; მას პქონდა მხოლოდ რიცხვის კატეგორია: მხ. portant – მრ. portant.

II უღვლები

(-ir-ზე დაბთავიერებული ზმნები finir-ის ტიპისა, **Présent indicatif**-ში -is-იანი ფუძის მქონენი)

ამ უღვლელებით იუღვლებოდა მრავალნი ზმნა, რომლებიც შეადგენდნენ ისეთივე პროდუქტიულ ჯგუფს, როგორსაც I უღვლების ზმნები.

თხრობითი კელი (Indicatif)

Présent		Imparfait		Passé simple	
(je)	fini - s	(je)	fini-ss-ais	(je)	fini -
(tu)	fini - s	(tu)	fini-ss-ais-s	(tu)	fini-s
(il, etc)	fini - s-t	(il, etc)	fini-ss-ai-t	(il, etc)	fini-t
(nos)	fini-ss-ons	(nos)	fini-ss-ions	(nos)	fini-mes
(vos)	fini-ss-ez	(vos)	fini-ss-iez	(vos)	fini-stes
(il, eles)	fini-ss-ent	(il, eles)	fini-ss-ai-ent	(il, eles)	fini-r-ent
Futur			Futur dans le passé		
(je)	fini - r-ai	(je)	fini - reie		
(tu)	fini - ra-s	(tu)	fini - reie-s		
(il, etc)	fini - ra-t	(il, etc)	fini - rei-t		
(nos)	fini-r-ons	(nos)	fini-r-ions		
(vos)	fini-r-ez	(vos)	fini-r-iez		
(il, eles)	fini-r-ont	(il, eles)	fini-rei-ent		

კავშირებითი კელი (Subjonctif)

Présent		Imparfait	
(je)	finiss-e	(je)	finiss-e
(tu)	finiss-e-s	(tu)	finiss-e-s
(il, ele)	finiss-e-t	(il, ele)	finiss-t
(nos)	finiss-ons	(nos)	finiss-ons
(vos)	finiss-ez	(vos)	finiss-ez
(il, eles)	finiss-ent	(il, eles)	finiss-ent

კავშირებითი კელის Présent-სა და Imparfait-ს ერთხარის ფორმები პქონდა. პირის დაბოლოებები უერთდებოდნენ Présent indicatif-ის ფუძეს: მხ. რიცხვში შემაერთებელი ხმოვნის -ე-ს საშუალებით (გარდა Imparfait-ს მხ. რ. III პირისა), მრავლობით რიცხვში კი – უშუალოდ.

აქედან გამომდინარე, Présent და Imparfait subjonctif-ის ფორმები თითქმის ემთხვეოდა Présent indicatif-ის ფორმებს. მათ ანსხვავებდა მხოლოდ შემაერთებელი ხმოვნის (-ე-ს) არსებობა მხოლოდობით რიცხვში.

პარაბოთი კელი (Conditionnel)

Présent			
(je)	fini-raie	(nos)	fini-r-ions
(tu)	fini-raie-s	(vos)	fini-r-iez
(il, ele)	fini-rai-t	(il, eles)	fini-rai-ent

ბრძანებითი კელი (Impératif)

რთგორც I უღველიდებაში, აქაც მხოლოდ Présent არსებობდა: finis, finiss-ons, finiss-ez.

უპირო ფორმები
განუხაზღერელი ფორმა (Infinitif)
Infinitif Présent: finir
მიმღეობა (Participe)

Participe présent	Participe passé
მამრ. სქ. finissant (ირიბ. finissant)	მამრ. სქ. finiz (ირიბ. finit)
მდ. სქ. finissant	მდ. სქ. finie

III უღლება

(ზმნები, რომლებიც ბოლოვდებიან **-eir-ზე (>oir)**, **-re-ზე** და ასევე **ir-ზე [Indicatif présent-ში -x-იანი ფუძის არმქონენი]**)

III უღლება აერთიანებდა სხვადასხვაგვარი ვგუფების ზმნებს; ეს უღლება არაპროდუქტიული იყო და ფრანგული ენის არსებობის უძველესი პერიოდებიდანვე არ ივსებოდა ახალი წარმონაქმნებით.

ზმნებს, რომელთაც ჰქონდათ ერთნაირი დაბოლოება ინფინიტევში, შესაძლებელია არ ჰქონოდათ ერთნაირი ტიპის დაბოლოებები ეველა დროში, ასევე ურთგვარივნებს არ ამჟღავნებდნენ უპირო ფორმების წარმოების დროსაც. ამიტომაც III უღლება არქაულად, გადზონაშთურად ითვლება.

თხრობითი კელო (Indicatif)

recevoir (> recevoir)	rendre	sentir
(je) receif - ⁰	(je) rent -	(je) sent -
(tu) recei - s	(tu) reanz (=rent-s)	(tu) senz (= sent-s)
(il, etc) recei - t	(il, etc) rent (= rent-t)	(il, etc) sent (= sent-t)
(nos) recev-ons	(nos) rend - ons	(nos) sent-ons
(vos) recev-ez	(vos) rend - ez	(vos) sent-ez
(il, eles) receiv-ent	(il, eles) rend-ent	(il, eles) sent-ent

⁰ [წარმოადგენს ძირული v იახსილენის დაკრეფულ ვარიანტს; ძველფრანგულში ბოლო v, ასევე რიცხიც ბოლო b, d, g, ურუკდებოდა.

Imparfait					
(je)	recev- <i>ais</i>	(je)	rend- <i>ais</i>	(je)	sent- <i>ais</i>
(tu)	recev- <i>ais</i> -s	(tu)	rend- <i>ais</i> -s	(tu)	sent- <i>ais</i> -s
(il, elle)	recev- <i>ait</i>	(il, elle)	rend- <i>ait</i>	(il, elle)	sent- <i>ait</i>
(nos)	recev- <i>ions</i>	(nos)	rend- <i>ions</i>	(nos)	sent- <i>ions</i>
(vos)	recev- <i>iez</i>	(vos)	rend- <i>iez</i>	(vos)	sent- <i>iez</i>
(il, elles)	recev- <i>aient</i>	(il, elles)	rend- <i>aient</i>	(il, elles)	sent- <i>aient</i>
Passé simple					
(je)	reç <u>u</u>	(je)	rend <u>i</u>	(je)	sent <u>i</u>
(tu)	reç <u>us</u>	(tu)	rend <u>is</u>	(tu)	sent <u>is</u>
(il, elle)	reç <u>ut</u>	(il, elle)	rend <u>it</u>	(il, elle)	sent <u>it</u>
(nos)	reç <u>ûmes</u>	(nos)	rend <u>îmes</u>	(nos)	sent <u>îmes</u>
(vos)	reç <u>ûtes</u>	(vos)	rend <u>îtes</u>	(vos)	sent <u>îtes</u>
(il, elles)	reç <u>urent</u>	(il, elles)	rend <u>irent</u>	(il, elles)	sent <u>irent</u>
Futur					
(je)	recev- <i>rai</i> (>e)	(je)	rend- <i>rai</i> (>e)	(je)	sent- <i>irai</i> (>e)
(tu)	recev- <i>ras</i>	(tu)	rend- <i>ras</i>	(tu)	sent- <i>iras</i>
(il, elle)	recev- <i>ra</i> -t	(il, elle)	rend- <i>ra</i> -t	(il, elle)	sent- <i>ira</i> -t
(nos)	recev- <i>rons</i>	(nos)	rend- <i>rons</i>	(nos)	sent- <i>irons</i>
(vos)	recev- <i>rez</i>	(vos)	rend- <i>rez</i>	(vos)	sent- <i>irez</i>
(il, elles)	recev- <i>ront</i>	(il, elles)	rend- <i>ront</i>	(il, elles)	sent- <i>iront</i>
Futur dans le passé					
(je)	recev- <i>rais</i>	(je)	rend- <i>rais</i>	(je)	sent- <i>irais</i>
(tu)	recev- <i>rais</i> -s	(tu)	rend- <i>rais</i> -s	(tu)	sent- <i>irais</i> -s
(il, elle)	recev- <i>rait</i>	(il, elle)	rend- <i>rait</i>	(il, elle)	sent- <i>irait</i>
(nos)	recev- <i>rions</i>	(nos)	rend- <i>rions</i>	(nos)	sent- <i>irions</i>
(vos)	recev- <i>riez</i>	(vos)	rend- <i>riez</i>	(vos)	sent- <i>iriez</i>
(il, elles)	recev- <i>raient</i>	(il, elles)	rend- <i>raient</i>	(il, elles)	sent- <i>iraient</i>

კავშირებითი კვლეა (Subjonctif)

Présent					
(que)		(que)		(que)	
(je)	receiv	(je)	rende	(je)	sente
(tu)	receiv-s	(tu)	rende-s	(tu)	sente-s
(il, ele)	receiv-t	(il, ele)	rende-t	(il, ele)	sente-t
(nos)	receiv-ons	(nos)	rend-ons	(nos)	senti-ons
(vos)	receiv-ez	(vos)	rend-ez	(vos)	senti-ez
(il, eles)	receiv-ent	(il, eles)	rend-ent	(il, eles)	senti-ent
Imparfait					
(que)		(que)		(que)	
(je)	receu-sse	(je)	rendi-sse	(je)	senti-sse
(tu)	receu-sse-s	(tu)	rendi-sse-s	(tu)	senti-sse-s
(il, ele)	receu-st	(il, ele)	rendi-st	(il, ele)	senti-st
(nos)	receu-ss-ons	(nos)	rendi-ss-ons	(nos)	senti-ss-ons
(vos)	receu-ss-ez	(vos)	rendi-ss-ez	(vos)	senti-ss-ez
(il, eles)	receu-ss-ent	(il, eles)	rendi-ss-ent	(il, eles)	senti-ss-ent

პირობითი კვლეა (Conditionnel)

Présent					
(je)	recev-rais	(je)	rend-rais	(je)	senti-rais
(tu)	recev-rai-s	(tu)	rend-rai-s	(tu)	senti-rai-s
(il, ele)	recev-rait	(il, ele)	rend-rait	(il, ele)	senti-rait
(nos)	recev-r-ions	(nos)	rend-r-ions	(nos)	senti-r-ions
(vos)	recev-r-iez	(vos)	rend-r-iez	(vos)	senti-r-iez
(il, eles)	recev-rai-ent	(il, eles)	rend-rai-ent	(il, eles)	senti-rai-ent

ბრძანებითი კვლეა (Impératif)

recev –	rend –	senti –
recev – ons	rend – ons	senti – ons
recev – ez	rend – ez	senti – ez

უპირისუფრო მუხებო

Infinitif présent		
recev-ir	rend-re	senti-ir
Participe		
Participe présent		
recevanz (recevant)	rendanz (rendant)	sentanz (sentant)
Participe passé		
მამრ. ბქ. receuz (receut)	renduz (rendut)	sentiz (sentit)
მდე. სქ. receue	rendue	sentie

III უღლებების ზმნებს ახასიათებდეთ:

1. Passé simple-ის წარმოება ხშირად rendre-ის ტიპის მსხვედრით, ამ კატეგორიას თავდაპირველად მიეკუთვნებოდა nd (ან მ. უ) ფუძიანი ზმნები, შემდგომ კა Passé simple-ის ახლო ტიპი გავრცელდა -re-ზე დაბოლოებულ სხვა ფუძიან ზოგიერთ ზმნასაც (abatre, rompre და სხვ.).

2. -მ-იანი (წარმოითქ. u) Passé simple, რომელიც იწარმოებოდა I და II უღლების Passé simple-ის ტიპის მსგავსად:

ზმნა valoir (> valoir)

(je)	valûi (ეველგახს წარმოითქ.)	(nos)	valû - mes
(tu)	valû-s	(vos)	valû - stes
(il, ele)	valû-t	(il, eles)	valû-r-ent

ამ ტიპით იწარმოებოდა იმ ზმნების Passé simple, რომელთა ძირეული ფუძე ბოლოფუძეობდა თანხმოვნებით: l, n, r, მავ. morir, doleir, criembre (თანამედ. craindre), pareir და სხვ. მაგრამ აღნიშნულ თანხმოვნებითაც ეველა ზმნა არ მიეკუთვნებოდა ამ კატეგორიას; მაგ., valoir (> -oir) სხვა ტიპის Passé simple-ს აწარმოებდა.

3. Passé simple, რომელიც ხასიათდებოდა ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი ფუძეების მონაცვლეობით მახვილიანი i-თი, აქ ერთიანდება ხაში მსგავსი ტიპი:

ა) Passé simple ზმნებისა, რომლებშიც მონაცვლეობს ერთმარცვლიანი ფუძე მახვილიანი i-თი (I და III პირში მხ. რ. და III პ. მრ. რ.) ორმარცვლიან ფუძესთან, რომელშიც i პირუსს ქმნის უმახვილო e-სთან (II პირში მხ. რ. და I და II პ. მრ. რ.); მაგ.:

ზმნა veir (> venir)

(je)	vi-	(nos)	vei-mes
(tu)	vei-s	(vos)	vei-stes
(il, ele)	vi-t	(il, eles)	vi-r-ent

ბ) Passé simple ზმნებისა, რომლებშიც მონაცვლეობს ერთმარცვლიანი ფუძე i + n-თი ორმარცვლიან ფუძესთან, ხადაც

უმახვილო *e*-სა და მახვილიან *i*-ს შორის ცხვირისმიერი *n* თანხმოვანია;

მაგ:

ზმნა *venir*

(je)	vin-	(nos)	veni-mes
(tu)	veni-s	(vos)	veni-stes
(il, ele)	vin-t	(il, eles)	vin-r-ent

კ) *Passé simple* ზმნებისა, რომლებშიც მონაცვლეობს ერთმარცვლიანი ფუძე *i + s*-თი ორმარცვლიან ფუძესთან, სადაც უმახვილო *e*-სა და მახვილიან *i*-ს შორის *s* თანხმოვანია;

მაგ:

ზმნა *mettre*

(je)	mis-	(nos)	mesi-mes
(tu)	mesi-s	(vos)	mesi-stes
(il, ele)	mis-t	(il, eles)	mis-r-ent

(მოგვიანებით *mir-ent*).

mettre-ს ტიპის მიხედვით *Passé simple*-ს

აწარმოებდნენ ზმნები: *prendre, dire, rire, seoir (> seoir), querre, faire* და ზოგი სხვა.

XII-XIII საუკუნეებში *mis, mesis* ტიპის *Passé simple* გარდაიქმნა *vi, veis* ტიპზე, ანუ დაკარგა ინტერყოკალური *s* მხ. რ. II პირში და მრ. რ. I და II პირში.

s-იანი ფორმები: (*mis, mesis* და ა.შ.) ხანგრძლივი შენარჩუნება ახასიათებდა პიკარულ დიალექტს, სადაც ეს ფორმები XIII, XIV და XV საუკუნეშიც კი გვხვდებოდა.

4. *Passé simple*, რომელსაც ახასიათებდა მახვილიან *ü*-იანი ერთმარცვლიანი და ორმარცვლიანი ფუძეების მონაცვლეობა. მხ. რ. I პირში ერთმარცვლიანი ფუძე წარმოდგენილი იყო *ü* დიფთონგით. ზოგიერთ ზმნაში, ორმარცვლიან ფუძეში, მახვილიანი *ü* ჰიატუსს ქმნიდა უმახვილო *e*-სთან, ზოგიერთში – უმახვილო *ü*-სთან; მაგ:

ზმნა *deveir (> devoir)*

(je)	düi (წარმოითქ. dñi)
(tu)	deü-s
(il, ele)	dü-t

ზმნა *moveir (> movoir)*

(je)	müi (წარმოითქ. müi)
(tu)	moü-s
(il, ele)	mü-t

(nos) deù-mes	(nos) მოწ-mes
(vos) deù-stes	(vos) მოწ-stes
(il, eles) dū-r-ent	(il, eles) თწ-r-ent

deveir-ის ტიპის მსხედვით Passé simple-ს აწარმოებდნენ ზმნები creire (> croire), creistre (> croistre), beivre (> boire), nuisir, gesir, lire და მრავალი სხვ. moveir-ის ტიპის მსხედვით კი – ზმნები conoistre, plovenir, estoveir და სხვ. ძველფრანგული პერიოდის ბოლოს თწ-ს ტიპზე ასიმილაცია გახილავდა ძწ-ს ტიპთან.

5. ზოგიერთ ზმნაში, Passé simple-ის წარმოებისას, ბუნანი ერთმარცველიანი ფუძე მონაცვლეობდა მახვილიან ა-იანი ორმარცველიან ფუძესთან მის წინამდებელ უმახვილო ა-სთან პიატუსის დროს. მხ. რ. I პირის ფუძე წარმოდგენელი იყო ბი დიფთონგით; ახეთია ზმნები: aveir (> avoir), plaisir, saveir (> savoir), taisir, poeir (> poir).

ზმნა aveir

(je) oi (წარმოითქ. oi)	(nos) ou-mes (წარმოითქ. oûmes)
(tu) ou-s (წარმოითქ. oûs)	(vos) ou-s-tes (წარმოითქ. oûstes)
(il, eles) ou-t (წარმოითქ. oût)	(il, eles) ou-r-ent (წარმოითქ. oûrent)

პიკარდულ დიალექტში, ზმნა aveir-ის Passé simple-ის ფორმები იყო: eu, euis, eut, euimes, euistes, eurent, ზმნა deveir, კი იუღლებოდა: du, deuis, diut, deuimes, deuistes, diurent. ვალონურში – oi, oûs ტიპს შეესაბამებოდა ფორმები: au, auis, aut, auimes, auistes, ხოლო dui, deus და ა.შ. ტიპს – იგივე ფორმები, რაც პიკარდულ დიალექტში.

ზმნებს, რომლებიც Passé simple-ს აწარმოებდნენ -ი-იანი ზმნური ფუძით, ჰქონდათ Participe passé-ს ფორმები -û(t), -ûe: deû (t), meû (t), concû (t), eû (t) და სხვ.

როული დროები

სამოკე უღლებს ზმნები ერთსაირად აწარმოებდნენ როულ დროებს, განსხვავებოდნენ მხოლოდ წარსული დროის მიმდევობის ფორმებით. ნიმუშად ნებისმიერი უღლება ვამოდგება; მაგ., I უღლება (porter):

თხრობითი კელი (Indicatif)

Passé composé			Passé antérieur		
(je)	ai	portet (portéç)	(je)	oi	portet (portéç)
(tu)	as	portet (portéç)	(tu)	oits	portet (portéç)
(il, ele)	a	portet (portéç)	(il, ele)	o(ut)	portet (portéç)
(nos)	avons	portet (portéç)	(nos)	oûmes	portet (portéç)
(vos)	avez	portet (portéç)	(vos)	oûstes	portet (portéç)
(il, eles)	ont	portet (portéç)	(il, eles)	ournt	portet (portéç)
Plus-que-parfait			Futur antérieur		
(je)	aveie (> avoie)	portet (portéç)	(je)	avrai	portet (portéç)
(tu)	aveies (> avoies)	portet (portéç)	(tu)	avrás	portet (portéç)
(il, ele)	aveit (> avoit)	portet (portéç)	(il, ele)	avrát	portet (portéç)
(nos)	avons	portet (portéç)	(nos)	avróns	portet (portéç)
(vos)	avez	portet (portéç)	(vos)	avrez	portet (portéç)
(il, eles)	avoient	portet (portéç)	(il, eles)	avrónt	portet (portéç)
კავშირებითი კელი (Subjonctif)					
Passé			Plus-que-parfait		
(je)	aie	portet (portéç)	(je)	oüsse (>eüsse)	portet (portéç)
(tu)	aies	portet (portéç)	(tu)	oüsses (>eüsses)	portet (portéç)
(il, ele)	ait	portet (portéç)	(il, ele)	oúst (>eúst)	portet (portéç)
(nos)	aions	portet (portéç)	(nos)	oüssons (>eüssons)	portet (portéç)
(vos)	aiez	portet (portéç)	(vos)	oüssiez (>eüssiez)	portet (portéç)
(il, eles)	aient	portet (portéç)	(il, eles)	oüssent (>eüssent)	portet (portéç)

პირობითი კელი (Conditionnel)

Passé					
(je)	avroie (>avroie)	portet (portéç)	(je)	avrions	portet (portéç)
(tu)	avroies (>avroies)	portet (portéç)	(tu)	avriez	portet (portéç)
(il, ele)	avroit (>avroit)	portet (portéç)	(il, eles)	avroient (>avroient)	portet (portéç)

უპირო ფორმები

Infinitif passé:

avoir (> avoir) portet

Participe passé:

ayant portet (იშეითად იხმარებოდა)

როულ დროებში დროისა და პირის მამუენებელი იყო დამხმარე ზმნის ფორმა, ლექსიკური მნიშვნელობის მატარებელი კი - Participe passé.

ბუნდურანგულში, როული ზმნური ფორმების მახასიათებელი იყო ის, რომ მათი კომპონენტები ადვილს იცვლიდნენ ერთმანეთის მიმართ: მიმდებობა, შეიძლება,

დამხმარე ზმნის პირიანი ფორმის შემდეგაც მდგარიყო და წინაღ. გარდა ამისა, როცა ფორმის ელემენტებს შორის შეიძლება ჩართულიყო წინადადების სხვადასხვა წევრები, მაგ. დამატებები და გარეშობები.

როგორც ვნახეთ, ჭეუღვრანგულ პერიოდში, ძირითადად, მარტივ და რთულ დროთა იგივე მორფოლოგიური სისტემა იყო, რაც თანამედროვე ყრანგულ ენაში. არ იყო მხოლოდ ზერთული დროები (*temps surcomposés*), რომლებიც XV საუკუნიდან განითარდა.

ამგვარად, ჭეუღვრანგული ზმნა ხახიათლებოდა პირის დაბოლოებათა ერთიანი სისტემით სამივე უღლებსათვის: მხოლოდით რიცხვში - *s*, -*t*, მრავლობით რიცხვში - *-ons*, -*ez*, -*ent*. პირის დაბოლოება, ძირითადად, არ იყო I უღლების მხოლოდითი რიცხვის I პირში (*je port* -, *je chant* - და სხვ.) და II და III უღლების ზმნათა *Passé simple*-ის მხოლოდითი რიცხვის I პირში (II უღლების სოვიერთი ზმნის *Présent indicatif* ის მხოლოდითი რიცხვის I პირში -*c*-*t* არსებობა ფონეტიკური მოვლენაა; როგორც მაგ., *entre < intro*).

ამ სისტემაში არსებობდა სამოკალიბების პროცესში მყოფი ელემენტები: ჯერ კიდევ არ იყო *Présent subjonctif*-ის და ნაწილობრივ *Imparfait subjonctif*-ის განსახვდრული მორფოლოგიური ტიპი.

მნიშვნელოვანი იყო ამ ზმნათა რაოდენობა, რომლებიც ფუნქციის ბგერით სახეს იცვლიდნენ დროთა რიგში; ეს, ძირითადად, III უღლებს ეკება.

ზმნიხედა

ჭეუღვრანგულში, გარდა ლათინურიდან შემკვიდრებით მიღებულითა, არსებობდა ზმნიხედათა დიდი რაოდენობა, რომლებიც წარმოქმნილი იყო სხვადასხვა შეერთებათა საშუალებით:

ა) წინდებულება + არსებითი სახელი: *a devis „à plaisir“*, *a bandon „à volonté, contremont, contrevai, adenz (adens)“* და სხვ.

ბ) წინდებული ზმნი'ხედით: entreant, delez, detres, ensus და სხვ.

გ) წინდებული წინდებუდით: desoz, dedesoz, desor(c), ensur და სხვ.

დ) ნაწილაკები ça, la ზმნი'ხედით: ça jus, çaens, laenz და სხვ.

გაერცელებული იყო ასევე ზმნი'ხედების წარმოება ზედასართავის მდებარეობითი ქსესის ფორმისაგან სუფიქს -ment-ის საშუალებით.

ასევე გამოიყენებოდა არსებითი სახელები (წინდებულების გარეშე) ზმნი'ხედების ფუნქციით: მაგ.: altrier, erscir (= ersoir), main „demain“ და სხვ.

ზმნი'ხედათა ტიპები სხვადასხვა ფუნქციებს ასრულებდნენ:

რაოდენობის ზმნი'ხედები: quant, tant, mult, poi (you, peu), mais, petit (=peu), assez, plus, moins, mie, alques, alquant, si, par და სხვ.

ზმნი'ხედა par გამოიყენებოდა როგორც გამაძლიერებელი ნაწილაკი;

მაგ.: Quant veit li pedre que mais n'avrat amfant
Mais que cel sul que il par amat tant. . . (Al. 8)

ადგილის ზმნი'ხედები: enz, i, o(ou), iluec, avant, arriere, derrere, jus, sus, desoz, desor (c), pres, loinz და სხვ.

დროის ზმნი'ხედები: entreant, dementres, dementiers, atant, aillant, sovent, seintpres, puis, anceis, ainz, or, altrier, ui, encui, main, ja, lues და სხვ.

კითარების ზმნი'ხედები: სუფიქს -ment-ით ნაწარმოებნი, ასევე si, ainsi, mieiz, pis, poruec, coment, come და სხვ.

ზმნი'ხედური ნაწილაკი si განსაკუთრებით ხშირად გამოიყენებოდა და ძალიან შრავალმნიშვნელოვანი იყო: მას ჰქონდა „si, ainsi, tellement, après, pourtant, cependant, jusqu' à ce que“-ს მნიშვნელობები და გარდა ამისა წინადადებების მატებითი კავშირის ფუნქციასაც ასრულებდა.

დასტურისა და უარყოფის ზმნი'ხედები: non (კარიანტი non), si, veir, certes და სხვ.

ს ი ნ ტ ა ქ ს ი სიტყვათშეერთება

ძველფრანგულ ენაში სიტყვათ შორის კავშირის გამოხატვის მრავალი საშუალება არსებობდა; ეს საშუალებები განსაზღვრავდნენ სიტყვათშეერთების სხვადასხვა სახეობებს. სიტყვათა შეერთების ხერხები მორფოლოგიანაზღა დამოკიდებულნი.

თავისუფალი სიტყვათშეერთებები. თითოეულ სიტყვათშეერთებაში გამოიხატებოდა განსაზღვრული გრამატიკული ურთიერთობა, რომლის ნიშნებს შორის აზრობრივი კავშირის განსაზღვრული სახეობა: ასეთი ურთიერთობებია: ა) ქვემდებარესა და შემასმენელს შორის, ბ) შემასმენელსა და დამატებს შორის, გ) ქვემდებარის ან დამატების ფუნქციის მქონე არსებით სახელსა და მის განსაზღვრებას შორის, დ) შემასმენელსა და გარემოებას შორის, ე) ქვემდებარესა და დანართს შორის. აქედან გამომდინარე გამოიყოფა პრედიკატიული, ობიექტური, ატრიბუტული, გარემოებითი და აპოზიტიური სიტყვათშეერთებები.

ატრიბუტული სიტყვათშეერთება, ატრიბუტული ურთიერთობები გამოიხატება სხვადასხვა სიტყვათშეერთებებით: ა) არსებითი სახელი + ზედსართავი სახელი, ბ) არსებითი სახელი (სუბიექტური ბრუნვა) + არსებითი სახელი (ობიექტური ბრუნვა), გ) არსებითი სახელი + წინდებული + არსებითი სახელი, დ) არსებითი სახელი + წინდებული + ინფინიტივი:

Si recevrai la crestiène lei. (Rol. VI)

Morz pelerins. (Al. 71)

Par la franceise gent. (Rol. XXX)

აპოზიტიური სიტყვათშეერთებები. აპოზიტიური სიტყვათშეერთებები შედგებიან ორი არსებითი სახელისაგან, სახელობითი ბრუნვის ფორმით ან არსებითი სახელისა და ზედსართავისაგან, იმავე ბრუნვის ფორმით. ეს სიტყვათშეერთებები შეიცავენ პირის დახასიათებას ან ფიზიკური ნიშნით, ან წოდებით, ან ნათესაური ურთიერთობით, ან მეტსახელით, აპოზიტიური სიტყვათშეერთებები გვხვდება ქალაქების ან ქვეყნების სახელწოდებებთან: Carles li emperere, Guartan le barber, Rome la citet, Espagne la bele, France la lur tere.

ობიექტური სიტყვათშეერთებები. ობიექტური 'ზმნური სიტყვათშეერთებები შედგებიან ზმნისა და დამატებისაგან და გვხვდებიან როგორც თანდებულაით ასევე უთანდებულად: face sun servise, unt merveilus vasselage, orrat de nos paroles.

ძველფრანგული ობიექტური სიტყვათშეერთებების თავისებურებაა არსებითი სახელით გამოხატული დამატების ზმნის წინ მოთავსების შესაძლებლობა; დამატება შეიძლება ჩაერთოს რთული ზმნური ფორმის კომპონენტებს შორის:

Mun seignor ai perdu, ses mains ad juinz.

Plus de cent milie especes i unt traites. (Rol. CCXLV)

გარემოებითი სიტყვათშეერთებები. გარემოებითი სიტყვათშეერთებები შედგებიან ზმნისა და გარემოებითი დამატებისაგან, რომელიც ძველფრანგულში გამოიხატებოდა:

ზმნიზადით.

Se fierent enz, guardet avant, guardet amunt. (Rol.)

არსებითი სახელის წინდებულებიანი კონსტრუქციით:

Cuntre le cil amsdous ses mains ad juinz. (Rol. CLXVI)

იშვითად გერუნდით:

Cantant enportent le cors saint Alexis. (Al. 201)

პრედიკატიული სიტყვათშეერთებები. პრედიკატიული სიტყვათშეერთებები შედგებიან ქვემდებარისა და შემასმენლისაგან და თავიანთი უორზით სხვადასხვაგვარნი არიან. შემასმენლის სახელადი ნაწილი შეიძლება იდგეს შაკავშირებელი ზმნის წინაც და შემდეგაც:

Merveilus hom est Charles. (Rol. XXVIII)

შემასმენლის სახელადი ნაწილი შეიძლება იყოს

ხედსართავი სახელი:

Ed il est dignes d'entrer en paradis. (Al. 35)

მიმღობა:

Ne l'en est rien, issi'st a Deu turnet. (Al. 49)

არსებითი სახელი:

Cist colp est de produme. (Rol. XCIX)

ინფინიტივი:

Après li dist: „Turnet estes a perdre“ (Rol. C)

რიცხვითი სახელი:

Vint milie sunt, ço diënt tuit li Franc. (Rol. CCXX)

მყარი სიტყვათშეერთებები. ხოციერთი: ობიექტური და გარქმობითი სიტყვათშეერთება შეიძლება მყარ სიტყვათშეერთებებს მივაკუთვნოთ. ძირითადი გავრცელებული იყო XI-XIII საუკუნეების სამწერდო-სადიტურატურო ენაში; ენაში მათი ხშირი ხმარება იწყებს იმას, რომ სიტყვათშეერთების კომპონენტები კარგავენ თავიანთი დამოუკიდებელ ლექსიკურ მნიშვნელობას და მთელი სიტყვათშეერთება იღებს ერთიან მნიშვნელობას. მყარი სიტყვათშეერთებები ხასიათდებიან კომპონენტთა თანამიმდევრობის თავისუფალი წყობით.

XI-XIII საუკუნეების მწერალთა ნაწარმოებებში ფართოდ გამოიყენებოდა შემდეგი მყარი სამხური სიტყვათშეერთებები: avoir paour, faire feste, avoir merci, mener joie, faire joie, mener dolor, mener duel, rendre merci და სხვ.

წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ა მარტივი წინადადება

ფორმის მიხედვით არსებობს მარტივი წინადადებათა წერდელი ტიპები: მტკიცებითი, ძახითი, ბრძანებითი, კითხვითი, აკრძალვითი, თხოვნის ან სურვილის გამომხატველი.

მტკიცებითი წინადადების სმნა თხრობით კილოშაა. კითხვებზე ასსუხებში გეხვდება უსმნო წინადადებები:

Ansemble an vapt li dui peüre parler.
Lur dous amfanz volent faire assembler. (Al. 9)

ძახითი წინადადებები ხშირად სამხური შემასმენელის გარეშე გვხვდებიან:

Ha, sire Deus puissanz! (Perc., Bartsch, 125)

ბრძანებითი წინადადების შემასმენელი ბრძანებითი კილოს ფორმის ხმნითაა გამხატვლი:

ნაციონალური სამწერლო-სალიტერატურო ენის ფორმირება შესაძლებელია მხოლოდ განსაზღვრული ისტორიული

პირობების გარემოცვაში; ასეთი ისტორიული პირობები XVI ს.-ის საფრანგეთში ნამდვილად არსებობდა. ფეოდალური საზოგადოების წიაღში ისახებოდა კაპიტალისტური წყობა. იქმნებოდა ხელსაყრელი პირობები ფრანგი ერის, და აქედან გამომდინარე, ფრანგული ნაციონალური სახელმწიფოს, ფრანგული ნაციონალური ენის ფორმირებისათვის.

საფრანგეთის ტერიტორიალური და პოლიტიკური გაერთიანება, დაწყებული ფილიპაუგუსტის დროს და ინტენსიურად მომდინარე ლუდოვიკო XI-ის დროს, ძირითადად, დასრულებული იყო. განხდა ფეოდალური კლასის პოლიტიკური ბატონობის ახალი ფორმა — აბსოლუტური მონარქია. საუბრო კაპიტალის დაგროვებამ ხელი შეუწყო წარმოების ზრდას. იქმნება ბურჟუაზიის კლასი და პროლეტარიატის კლასი. წსდება იდეოლოგიის ახალი ფორმები — კუპანიზმი და რეფორმაციული მიმდინარეობები, რომელთაგან ყველაზე ძლიერი იყო კალვინიზმი. საფუძველი ჩაეყარა ფრანგულ ნაციონალურ კულტურას.

ამგვარად, XVI ს.-ის საფრანგეთში შექმნილმა ისტორიულმა პირობებმა ხელი შეუწყო ფრანგი ერის, ფრანგული ნაციონალური სახელმწიფოსა და ფრანგული ნაციონალური ენის ფორმირებას.

ფონეტიკა

XVI ს.-ში გრძელდება საშუალოფრანგულ პერიოდში დაწყებულ სოფ ფონეტიკურ ცვლილებათა პროცესი; სიტყვის მახვილი იცვლება ფრაზული მახვილით; მახვილიანია არა ცალკეული სიტყვა, არამედ სიტყვათა ჯგუფი. ფრაზული მახვილი უშუალოდ არის ე.წ. liaison-ის (გადაბმის) წარმოშობის ხელშემწყობი; ერთი მახვილის ტემპ გაერთიანებულ სიტყვათა ჯგუფში, ითითეული სიტყვის ბოლოვადური თანხმოვანი უბმის მიმდევრო სიტყვის თავისებურ ხმოვანს (სოგჯერ მფლერდება კადენც) და სიტყვები წარმოითქმის შერწყმულად. თუმც, ყველა თანხმოვანი არ ექვემდებარებოდა ამ სოგად წესს. ეს იმით აისხნებოდა, რომ ფრანგული ენის ევოლუციის პროცესში სოგო თანხმოვანი, გარკვეულ მოხიცოებში, ხეხებით გაქრა წარმოითქმიდან. ყველაზე მეტად თანამიმდევრულად liaison

ხორციულდებოდა ბოლოკიდურ s-თან (ორთ. s, z, x) და t-თან (ორთ. t, ძ) თუქც ამ თანხმონებთაიაც liaison ყოველთვის არ ხდებოდა. XVI ს.-ის გრამატიკოსები აღნიშნავენ, რომ ზოგი სიტყვა სავსებით კარგავს ბოლოკიდურ s-ს; გარდა ამისა, ბოლოკიდურ s ძალიან ხუსტად წარმოითქმოდა დაბოლოებებში -us და -es. ბოლოკიდური t არ წარმოითქმოდა დაბოლოებებში -rt(-rd); არამყარი იყო დაბოლოებებში -and, -end, -ond და -it, აქედან გამომდინარე არც liaison-ში წარმოითქმოდა.

ბოლოკიდური თანხმონების p-ს (ორთ. p და b), k-ს (ორთ. c და g) და f-ს წარმოთქმა მერყევი იყო. როგორც ჩანს, k და f საკმაოდ ხშირად წარმოითქმოდნენ თანხმონების წინაც, მაგრამ -ant, -ant დაბოლოებებში k-ს ჰქონდა ტენდენცია გაქრობისაკენ, თანხმონები p კი არ წარმოითქმოდა დაბოლოებებში -ap, -op, -oup, -amp.

ასეთი იყო ხალიტერატურო წარმოთქმა; არასალიტერატურო წარმოთქმაში კი - ბოლო თანხმონების - t, p, f-ს, განსაკუთრებით t და f-ს დაკარგვის ტენდენცია ძალიან ძლიერი იყო და ურცველდებოდა ბოლოკიდურ თანხმონებზეც კი პაუზაში.

ბოლოკიდურმა -r-მ და -l-მ დაიწყეს დაკარგვა საშუალოფრაზედ პერიოდში. არასალიტერატურო წარმოთქმის გაყვლით, XVII ს.-ის ბოლოს კი - თანდათანობით იწყებენ აღდგენას ხალიტერატურო წარმოთქმაში, მაგრამ ყველგან არა: r წარმოითქმოდა ღია e-ს შემდეგ და არ წარმოითქმოდა დახურული e-ს შემდეგ, მაშასადამე, -er-იან და -ier-იან ინფინიტივებში, ასევე II უღლების -ir-იან სმნებში; ur, -eur, -er-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებში თანხმონები r წარმოითქმოდა, -ir-ზე დაბოლოებულებში კი -r-ს წარმოთქმა მერყეობდა.

ყრახული მახვილი იწყებდა სიტყვა-ერთეულების შეკრებას, ხელს უწყობდა ხმოვანთა შეკრებას პიატუსში და ასევე რუდუცირებული e-ს ჩამოცილებას:

1. XVI ს.-ის ბოლოს დასრულდა ხმონების af-ს, ei-ს შეკრება პიატუსში, ანუ haïne, gaïne, traître, reine ტიპის სიტყვებში ai შეიკრიბა (შეირწვა) e-დ (ღია e-დ).

2. საბოლოოდ იკარგება რედუცირებული & ორ თანხმოვანს შორის, რომელთაგან ერთ-ერთი r ან l-ა: წარმოთქმის b'lotte, sup'lis, p'luche, p'lotte და სხვ. &-ს ვაქრობა ურცულდება იმ პოზიციებშიც, სადაც არც r არის და არც l: მაგ. ch'val, d'ssus, s'pendant.

რედუცირებული & იკარგება პიატუსში წინამდებარე უმსხვილო ხმოვანთან, ანუ pri(e)rai, tu(e)rai, humili(e)ra-ს ტიპის ზმსურ ფორმებში, remu(e)ment-ის ტიპის სიტყვებში, hardie(e)ment, vrai(e)ment, aise(e)ment-ის ტიპის ზმნისებებში და ა.შ. მაგრამ ჯერ კიდევ შეიმჩნევა მკრევეობა წარმოთქმაში: cublisherai-cubliurai, publierai-publirai.

თანდათან ქრება ბოლოკიდური & მახვილიანი ხმოვნის შემდეგ, ანუ ისეთ სიტყვებში, როგორცაა oie, pensee, roue, nue; croient (crwe)-ის ტიპის ზმსურ ფორმებში, venue, tenue, aimee, pensee-ს ტიპის მამდრობებში და სხვ. ამგვარად, &-ს დაკარგვა ხმოვნის შემდეგ, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ცოცხალ მერქმელებში, მიღებულია ხალიტკრატკრო წარმოთქმაში.

ბოლოკიდური &, თანხმოვნის შემდეგ, XVI ს.-ში, იწყებს შესუსტებას და საბოლოოდ იკარგება XVII ს.-ში.

გრძელდება ხმოვანთა იმ შეერთებების დაკარგვა, რომლებიც მიღებულია ძველფრანგული დიფთონგებისა და ტრიფთონგებისაგან. XVI ს.-ში, შეერთება ad (ძვ. ფრ. დიფთონგიდან ày autre-ის ტიპის სიტყვებში) იკუმშება დახურულ o-დ: aotre > otre, aossi > ossi, vaudrai > vodrai, vaot > vot (ორთ. vaut). შეერთება ead (ძვ. ფრანგ. ტრიფთონგიდან eau) იკუმშება ead-დ. ეს წარმოთქმა დასტურდება დაწერილობებით vessew, bew, იმეცა ასოთა, რაც შეინიშნება კლავადის ერთ-ერთ ცნობილ პოეტთან - ბაიფთან.

ეოკალიზმის სფეროში არსებით ცვლილებას წარმოადგენდა ნახალიზებული n(n)-სა და ñ(n)-ის გარდაქმნა ã-ად და ბად, ანუ ცხვირისმიერ ხმოვანთა სისტემის ფორმირების დახრუდება ფრანგულ ენაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნახალიზებული ხმოვნები - au, ou, io, ûn, ძველფრანგულში წარმოადგენდნენ სუფთა ხმოვნების

ვართანტებს ცხვირისსმიერი თანხმოვნების წინ პოზიციას. პ. ფუშე¹ (P. Fouché) მიიხსნევს, რომ ამ პერიოდში, თანამედროვე ენისაგან განსხვავებით, ცხვირისსმიურ ხმოვნებს - *ɛ*-ს, *ɔ*-ს გააჩნდათ დახურული ტემბრი, *ɔ* - გახდა ღია ჯერ კიდევ XIII ს-ის შუახანებში, *ā* კი - წინა წარმოებისა იყო.

გრძელდება ხმოვნების *ɛ*-სა (ღიათ. *é* [] და *ɛ*-ს (ღიათ. *ê*) პოზიციური გადახაწვლება: თანდათანობით დგინდება კავშირი ხმოვან *ɛ*-ს თვისებრიობასა და მარცვლის მახასიათებელს (შიხი დიალბისა და დახურულობის მიხედვით) შორის.

დახურული *ɛ*, დაბოლოებებში -*er* (წარმოთქმადი *ɛ*-თი, მაგ., *cher, mer* ტიპის სიტყვებში), -*el* და -*el*, ღია ხდება, მაგრამ ეს წარმოთქმა ჯერ კიდევ არ არის საბოლოოდ დადგენილი.

დაბოლოებებში -*ierce, -iecle, -iede, -iege, -ieille, -ieme, -iere, -iette, ɛ* დახურული რჩება (პ. ფუშე, ციტ. ნაშრ., გვ. 251). საერთოდ, *ɛ*-ს წარმოთქმა რედუცირებულ *ɛ*-სე დაბოლოებულ სიტყვებში - მერყევია. ეს, შესაძლებელია, დაკავშირებული იყოს წარმოთქმაში *ɛ*-ს მერყეობასთან: თუ *ɛ* არ წარმოითქმოდა, მაშინ ხმოვანი *ɛ* ხყდებოდა დახურულ მარცვალში და იძენდა ღია ტემბრს, ხოლო, თუ *ɛ* წარმოითქმოდა, მაშინ *ɛ* დახურულობას ინარჩუნებდა.

შეერთება *ɛ*-ს *ɛ*-დ გარდაქმნამ (*ɛ* > *ɛ*) გაზარდა დახურული *ɛ*-ს მესვედრადობა.

შესაძინვეო იყო *ɛ*-ს საწარმოთქმი ნორმების მერყეობა *ɛ*-ს წინ და *ɛ*+ თანხმოვნის წინ. ჯერ კიდევ საშუალოერანულ პერიოდში შეინიშნებოდა *ɛ*-ს *ɛ*-დ წარმოთქმის ტენდენცია *ɛ*+თანხმოვნის წინ, ამასთანავე არსებობდა საპირისპირო ტენდენციაც - *ɛ*-ს *ɛ*-დ წარმოთქმა. ეს მერყევი წარმოთქმა შენარჩუნდა XVI საუკუნეშიც; მონაცემულობა სიტყვებში ძირეული *ɛ*-თი: *bizarre - bizerre; catarre - caterre; sarpe - seipe; espargne - espergne; charue - cherrue; charme - chermie*; მონაცემულობა სიტყვებში ძირეული *ɛ*-თი: *merque - marque; dertre - dartre; boulevard- boulevard; cherté - charté* და სხვ.

¹ Fouché P. "Phonétique historique du français", v. II. Les voyelles Paris, 1958, pp. 370, 371, 374.

ანრი ეტიენის აზრით, *a*-ს უღერა *e*-ს ჩაცვლად, როგორც მაგ., *Pierre, guarre, place Maubart*, დამახასიათებელი იყო არახადიოტურატურო წარმოთქმისათვის; *a*-ს შუცვლას *e*-ით (*meri* - *mari*-ს ჩაცვლად, *Peris* - *Paris* ჩაცვლად) ის მიიჩნევს სამეფო კარის წრეებში გავრცელებულად.

საშუაღერანგულ პერიოდში მახვილიანი *o* (ღაი: *au*-დან მიღებული) დაბურული გახდა (*o*) *z*, *v* თანხმოვნებისა და თანხმოვანთ ჯგუფის *vr*-ს წინ, თუვე დაემართა *q* ღიხაც *s* + თანხმოვნის წინ, *s*-ს დაკარგვის შენდგომ, ანუ *to(s)t, prevo(s)t, omo(s)ne* (ორთ. *amosne*) ტიპის სიტყვებში.

დაბურელობისაკენ ტენდენციას ამჟღავნებს მახვილიანი *o* დაბურულ მარცვალში, მრუხედავად იმისა, ის ძირუდად ღია იყო თუ დაბურული. წარმოიშვა შერევე წარმოთქმა *u* - *o* -*ose, -orde, -ode, -off*-იან სიტყვებში. წარმოთქმების *arrose, chose, ose, pentecoste, sanglot, brode* გვერდით არხებობს წარმოთქმები *arrouse, chouse, ouse, pentecouste, sanglout, broude*. მახვილისწინა მარცვლებში მონაცვლეობს - *cousté ~ costé, fousé ~ fossé, arrouser ~ arroser* და ა.შ.

XVI ს.-ის ხმოვანთა სისტემა ახეთი იყო:



თანხმოვანთა სისტემაში არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ურასული მახვილისა და *liaison*-ის გაჩენასთან დაკავშირებით წარმოიშვა თანხმოვანთა მხოლოდ ახალი ვარიანტები განსახვერულ პოზიციებში. მაგ., ბოლოკიდური თანხმოვანი *f* *v*-დ იქცევა მომდევნო ხმოვნის წინ პოზიციაში (ილ *a neuv'ā*), ბოლოკიდური *s* კი, იმავე პოზიციაში, *z*-დ უღერხ: შდრ. *il y en'a dis* და *diz'ames*.

თანხმდებელი ნიშნები X-XI სსსს

წარმოების საშუალების მახდელი	ნიშ- ნი	სა- ბა- რის	სა- ბა- რის	სა- ბა- რის	სა- ბა- რის	სა- ბა- რის
		ნიშ- ნი	ნიშ- ნი	ნიშ- ნი	ნიშ- ნი	ნიშ- ნი
წარმოების აღვივების მახდელი						
ბავშვისთვის	h b					
კბილისთვის						
კბილისთვის	h d					
აღვივარული						
წინაწინისთვის						
შუაწინისთვის						
უკანაწინისთვის	k g					
კუდარული						
სორისთვის						

ორთოგრაფია

წიგნის ბეჭდვის განხორციელებაში მონაწილეობდა საქართველოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტიკის ინსტიტუტის დადგენის საკითხი უფრო ადრე, ვიდრე XIV-XV საუკუნეებში. XVI ს-ის დასაწყისში ენაზე ბეჭდვითი გამოცემების რიცხვი მხატვრული ლიტერატურის ნაწარმოებები (რომანოები, ისტორიული ნაშრომები და მრავალი სხვ.) სტამბაში გამოიყენება დაწერილობაა სხვადასხვა ახეუ სხვადასხევაგვარად იხმარება დიაკრიტიკული ნიშნებით XVI ს-ის გრამატიკოებში მოთხოვნა, ფრანგული ორთოგრაფიის მოწესრიგებას; ჩნდება ორთოგრაფიის რეფორმისადმი მიძღვნილი მრავალი ტრაქტატი.

ფრანგული სამწერლო-ხაღიტერატურო ენის ორთოგრაფიის მოწესრიგების შესახებ წარმოსიშვა ორი თეაღსახრობა. I ორთოგრაფიის მიღეს ხსტემის სრული გარდაქმნა. II ორთოგრაფიის შენარჩუნება, გაუმჯობესების ხელშეწყობა ზოგიერთი ცუდიღების შეტახით. I თეაღსახრობის ერთ-ერთი წარმოსაღვგენელი დუი მკრე (ავტორი ერთ-ერთი პირველი

გრამატიკის) მხოლოდ აკრიტიკებდა მის თანამედროვე ორთოგრაფიას და მიუთითებდა, რომ მისი თანამედროვენი წერდნენ ისე, როგორც არ დაპარაკობდნენ და დაპარაკობდნენ ისე, როგორც არ წერდნენ, მისი აზრით, ორთოგრაფიის არსებითი ნაკლოვანებები იყო:

ა) ასოების ნაკლებობა, ანუ სიტყვაში ასოები უფრო ხაკლები იყო, ვიდრე ბგერები (მცირედ გაურცულებული ნაკლოვანება);

ბ) ზედმეტი ასოების დიდი რაოდენობა, ანუ ასოების, რომელთაც არ შეესაბამებოდა არცერთი ბგერა. მეგრეს მხედველობაში ექონდა ისეთი დაწერილობები, როგორიცაა parfait, dict, fait, ხადაც ახი e ზედმეტია, ან დაწერილობები briefmet, ung, besoiing, escripre-ის ტიპისა, რომლებშიც ასოები f, g, p არ ასახავდნენ წარმოთქმას;

გ) ერთი და იმავე ასოს გამოყენება სხვადასხვა ბგერის აღსანიშნად, მაგ. e ასოთი ბგერა k-ს და ბგერა f-ს გამოხატვა.

მეგრე მიიჩნევდა, რომ ორთოგრაფია უნდა ეფუძნებოდეს ფონეტიკურ პრინციპს, დაწერილობები ზუსტად უნდა ასახავდნენ წარმოთქმას, რამდენი ბგერაცაა – იმდენი ასო უნდა იყოს მათ აღსანიშნად.

რადიკალური აზრებით გამოირჩეოდა გრამატიკოსი რამუსიც. იგი მოითხოვდა, რომ დაწერილობებიდან ამოეღოთ ყველა ზედმეტი ასო, უხარგვდლო ნიშნები, ახეყ ასომეერთებები, რომლებიც მარტო ბგერას გამოხატავდნენ. მისი ორთოგრაფიული სისტემა იმავე ასოებსა და ნიშნებს შეიცავდა, რასაც იყენებდნენ მისი თანამედროვენი, მაგრამ ის მათ ხმარობდა ახალი მნიშვნელობით.

ტრადიციული ორთოგრაფიის შენარჩუნების მომხრენი უფრო მრავალრიცხოვანნი იყვნენ და მათ შორის იმ დროის ცნობილი მოღვაწეები და მწერლები: რობერ და ანრი ეტიენები, პელეტაე დიუ მანი (J. Peletier du Mans), დე ბეზი (Th. de Bèze) და ეტიენ პასკიე (E. Pasquier).

პელეტაე დიუ მანმა მწვავედ გააკრიტიკა მეგრეს ორთოგრაფიული რეფორმა; პელეტაე აღიარებდა ორთოგრაფიის რეფორმის აუცილებლობას, მაგრამ წინააღმდეგი იყო ორთოგრაფიის ფონეტიკური პრინციპისა; მისი აზრით, ხვევების შექცევა არ შეიძლება; ფონეტიკური დაწერილობები არ იძლევა

შესაძლებლობებს, რომ მივაკვლიოთ იმ კავშირებს, რაც არსებობს მარტივ და წარმოებულ სიტყვას შორის; წარმოიქმნა დაფუძნებული ორთოგრაფია მისხობის განსხვავებას შეცნობათა ორთოგრაფიასა და უბრალო ადამიანთა დამწერლობას შორის.

შეგრესა და რამესის შემოთავაზებული ძირეული გარდაქმნები ორთოგრაფიის სფეროში არ განსორციელდა. გაცილებით დიდი მხარდაჭერა მოვა რამბერ ეტიქის შეხედულებებს; რ. ეტიქი წინააღმდეგი იყო ზოგადდარებული და შეტ-ნაკლებად დადგენილი ორთოგრაფიის სრული შეკვლისა, იმ ორთოგრაფიისა, რომელიც მიღებული იყო პარლამენტსა და სახამართლო-აღმინისტრაციულ ინსტიტუტებში, ანუ ოფრიდიულ პრაქტიკაში.

რამბერ ეტიქი თახამიშვევრულად ატარებს ეტიმოლოგიურ პრინციპს ორთოგრაფიაში, იმ შემთხვევების გამოკლებით, როდესაც ეტიმოლოგია მკვეთრად ეწინააღმდეგება ტრადიციას; მაგ., იგი ემხრობა დაწერილობას — *cengle* (< *ლათ. cingula*), მაგრამ ასევე იძლევა ფართოდ გაერცელებულ დაწერილობას — *sangle*. იგი უარს ამბობს ზოგადდარებულ დაწერილობაზე მხოლოდ შაშინ, როდესაც ეს ხელს უშლის სხვადასხვა მნიშვნელობის მქონე სიტყვების დიფერენცირებას; ასე მაგ., იგი გვთავაზობს დაწეროთ *poids*, რადგან ის მას უკავშირდება *pondus*, *poix*-ს (*ლათ. pix*-დან) და *pois* (*ლათ. pisum*-დან), თუმც საივუ ეს სიტყვა ერთხიორად აღერდა. რ. ეტიქი მოიხვეს, რომ დაწერილობა უნდა ახახუდეს იმ სიტყვათა კავშირებს, რომლებიც ერთი ფუძიდან წარმოიშვენ; მისი აზრით, უნდა დაიწეროს და წარმოითქვას *beste*, *bestail*, რათა ჩანდეს ამ სიტყვების კავშირის კვალი ლათინურ ნასესხობა — *bestial*-თან, ხადაც *s* წარმოითქმოდა.

მრავალრიცხოვანი ნაწარმოებები, რომლებიც დაიბეჭდა რამბერ ეტიქის სტამბაში, განსაკუთრებით მისი „ფრანგულ-ლათინური ლექსიკონი“ („*Dictionnaire françois - latin contenant les mots et manieres de parler françois tourmez en latie*“, Paris, Robert Estienne, 1539), მნიშვნელოვნად უწყობდნენ ხელს მის მიერ შემოთავაზებული ორთოგრაფიის გაერცელებას.

ამგვარად, XVI ს.-ში, ჯერ კიდევ არ არსებობს სამწერლო-ხალიტერატურის ენის ხრუდად დადგენილი ორთოგრაფიული ნორმები. ჯერ კიდევ არ არის მიღებული წერაში გახსხვავება ბგერებისა - u (ხმოვანი) და v (თანხმოვანი). ამ მიზნით კვლავ გამოიყენება ასე: u ორთოგრაფიაში ასო i გამოიყენება როგორც ხმოვანი i-ს, ასევე თანხმოვანი j-ს აღხანიშნად. ბგერა s სხვადასხვა ახლებით გამოიხატება - s, ç, ce და t (დაბოლოებაში -tion).

დიაკრიტიკული ნიშნები უკრო, ხშირად იხმარება: ვრცელდება accent aigu-ს გამოყენება, მხოლოდ სიტყვის დასაწყისში, ხდება accent grave, ძირითადად - წინდებული ზ-ით. ხშირად გამოიყენება accent circonflexe, აბოსტროფი და ტრემა.

მ ო რ ფ ო ლ ო გ ი ა არსებითი სახელი

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საშუალოდრანგული პერიოდის მანძილზე, არსებითმა სახელმა საბოლოოდ დაკარგა ბრუნვის ფორმები.

რიცხვის კატეგორია, არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვი კვლავ ფლექსია -s-ით გამოიხატება, მაგრამ შერევი გახდა ამ ბგერის წარმოთქმა, რადგან თანხმოვანით დაწყებული სიტყვის წინ s აღარ წარმოითქმოდა.

ერთი და იმავე არსებითი სახელის სხვადასხვა ფორმები, მხოლოდობისა და მრავლობითი რიცხვში, იშვიათად არის შენარჩუნებული. XVI ს.-ში ასეთი არსებითი სახელები იწვევრნ გათანაბრებას ან მრავლობითი, ან მხოლოდობითი რიცხვის ფორმით. მაგ., oisel - oiseaux ტიპის მონაცვლეობა XVI ს.-ის მწერლებთან იშვიათად გვხვდება; რეკულარული ხდება: oiseau - oiseaux.

მონაცვლეობა შენარჩუნებულია -al-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებში: cheval - chevaux, თუმცა გვხვდება გათანაბრებული ფორმები ამ შემთხვევებში, რომლებშიც თანაბდროვე ენამ შეინარჩუნა მხოლოდობითი და მრავლობითი

რიცხვის ფორმების დაპირისპირება; მაგ., canals (Rabelais); madrigals, vassals, დარეგისტრირებულნი ღანუს ლექსიკონში (O. de La Noue, „Dictionnaire de rimes françaises selon les lettres de l'alphabet“, Genève, 1596); -ai-ზე დაბოლოებულ არსებით სახელებში, მხოლოდითი და მრავლობითი რიცხვის ფორმების უნიფიკაციისადმი ტენდენცია უფრო თანამიმდევრულია; ღანუს ლექსიკონში მოყვანილია ფორმები: bails, soupirails, espouvantails, travaux, gouvernails, portails, atirails, თემც რომსართან გვხვდება ფორმა portaux, დ'ობინიესთან – espouvantaux. ფორმათა მონაცვლეობა შენარჩუნებულია ისეთ სიტყვებში, როგორცაა: ciel - cieux, linceul – linceux, escurel - escureux.

ლიტერატურულ ნაწარმოებებში იშვიათად გვხვდება ძველი, გაუთანაბრებელი ფორმები მხოლოდითი რიცხვისა: chapel (Jean Lemaire de Belges), agnel (Marguerite de Navarre), coutel (Noël du Fail), chastel (d' Aubigné), ასევე oysel და tombel. ასეთ შემთხვევებში უფრო კანონზომიერი იყო მხოლოდითი რიცხვის ფორმების გათანაბრება მრავლობითის მიხედვით: chapeau – chapeaux, agneau – agneaux, chasteau – chasteaux.

სქესის კატეგორია მამრობითი სქესის არსებით სახელებს არ გააჩნიათ სპეციალური დაბოლოება, მდებრობითი სქესის არსებით სახელთა უმეტესობა ბოლოვდება რედუცირებულ ფ-ზე. თავისებურია -eur-ზე დაბოლოებულ არსებითთა მდებრობითი სქესის წარმოება ძველფრანგულის მსგავსად, შეხადლებელია მონაცვლეობა -eur – -eresse: brodeur – broderesse (Palsgrave), menteresse (R. Estienne); მაგრამ უფრო ხშირია მონაცვლეობა -eur – -euse იმიტომ, რომ, XVI ს-ში, ბოლო I არ წარმოითქმოდა. მეგრე მიუთითებს, რომ -eur-ზე დაბოლოებულ არსებით სახელთა მდებრობითი სქესი იწარმოება სუფიქს -euse-ის საშუალებით (tous denominatifs, en -eur, tirés des verbes sont masculins denotants une fréquentation de l'action de verbe: comme frappeur, batteur de frapper et battre, et font leurs féminins en -euse. – Meigret. „Le Tretté...“ Des noms. Ch. V).

სუფიქსი -trice დავრთვის წიგნური წარმოების არსებით სახელთა მდებრობით სქესს: divinatrice (Montaigne), Nécessité fut inventrice d'Eloquence (Rabelais, IV, Prologue).

არტიკლი

სახელობითი ბრუნვის ფორმების დაკარგვის შემდეგ, რასაც ადვილი შეიძლება საშუალოდროულ პერიოდში, არტიკლის ყირიმები იყავა, რაც თანამედროვე ენაში: განსაზღვრულობათის - le, les, la, les; განსაზღვრულობათის - un, des, une, des; პარტიტიულიობათის - du, de la.

განსაზღვრული არტიკლის გამოყენება დამატების ფუნქციისა და ასევე შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციისა არსებითი სახელების წინ ჯერ კიდევ არ იყო ხორმადობებული; მაგ., *Cestuy jour et les deux subsequens ne leurs apparut terre ne chose aultre nouvelle.* (Rabelais, L. IV, ch. II, p. 24).

ღვი მგვრეს მიერ, ნის გრამატიკაში, მოყვანილი ნიმუშების საფუძველზე, შეიძლება დავასკვნათ, რომ განსაზღვრული არტიკლი რეგულარულად იხმარებოდა კონტექსტით განსაზღვრული არსებითი სახელების წინ და ერთეული მცნებების აღმნიშვნელი არსებითი სახელების წინ.

XVI ს-ის ბოლოდან არტიკლი ხშირად იხმარება აბსტრაქტული ცნებების გამოხატველი არსებითი სახელების წინ: თუმცა, ასეთ შემთხვევებში, არტიკლის გამოყენება შერეულია: თანდებულობითი აბსტრაქტული არსებითი სახელი უფრო ხშირად უარტიკლოდ გვხვდება, ვიდრე არტიკლოთ. პრულიკაციებს ფუნქციისა აბსტრაქტული არსებითი სახელებიც, ასევე, იხმარებოდნენ არტიკლითაც და უარტიკლოდაც.

პარტიტიული არტიკლის ხმარება შერეულია. ხშირად, უიულოდობის მნიშვნელობა, რომელიც თანამედროვე ენაში პარტიტიული არტიკლით გადმოიცემა, შეიძლება ადვილმწიფი უარტიკლო არსებითი სახელით; მაგ.:

D'iceux gras beufz avoient fait tuer troys cens soixante - sept nulle et quatorze, pour estre à mardy gras salez, affin qu'en la primavere ilx eussent beuf de saison à tas. (Rabelais, I, ch. IV, p. 14).

ზედსართავი სახელი

რიცხვის კატეგორია. ზედსართავი სახელთა მრავლობითი რიცხვი იმავე წესებით იწარმოება, რადაც არსებით სახელთა მრავლობითი რიცხვი.

ზედსართავთა მორფოლოგიის თავისებურებას წარმოადგენს დუბლეტურ ფორმათა შენარჩუნება, რომელთა გამოყენება არ არის იხე დიფერენცირებული. როგორც თანამედროვე ენაში: beau, bel; mou, mol; fou, fol; vieux, vieil; nouveau, nouvel და სხვა ფორმები იხმარებიან როგორც ხმოვან, ასევე თანხმოვან ბგერაზე დაწებულ სიტყვების წინ: votre beau Euripides (Rabelais); un bel spectacle (Brantôme); je suis bien fol, fol de désir (Marot); le mol filz de Venus (Marot); ton vieil cousteau (Marot); vieil homme (Marot).

სქესის კატეგორია. მრავალრიცხოვანთა იმ ზედსართავთა კატეგორია, რომელთაც არ გააჩნიათ სპეციალური დაბოლოება მამრობით სქესში, მდედრობით სქესს კი აწარმოებენ მამრობითი სქესის ფორმაზე რედუცირებული *ფ-ს* დართვით. XVI ს-ში, ამ ტიპის მიხედვით, საბოლოოდ გარდაიქმნებიან ის ზედსართავები, რომელთაც ერთი და იგივე ფორმა აქვთ მამრობით და მდედრობით სქესში და რომელთა გათანაბრება ვერ დასრულდა ხაშუაღწერანგულ პერიოდში. ასე, მაგალითად, ზედსართავი *vert*-ხატან იწარმოება მდედრობითი სქესის ახალი ფორმა *verte* (რომელიც სპორადიულად გვხვდებოდა ძველწერანგულშიც). მაინც, ცალკეულ შემთხვევებში, ფორმა *vert* გვხვდება მდედრობითი სქესის არსებით სახელუბთან; მაგ. *sur l'herbe vert* (Lemaire), *l'escorce vert* (Marot). მდედრობითი სქესის ძველწერანგული ფორმა *grand* კვლავ გვხვდება, თუმცა ჭარბობს ფორმა *grande*. მდედრობითი სქესის არსებით სახელუბთან ფორმა *grand*, ხვეულებრივ, გამოიყენება პრეპოზიციისაში; მაგ., *ta grand bonté* (Marot), *tes grands merveilles* (d'Aubigné); მაგრამ ასეთივე პოზიციასში გვხვდება *grande*-ც:

Lors il les mena par les grands degrez du chasteau, passant par la seconde salle, en une grande gualerie. (Rabelais).

-ic-ზე დაბოლოებულ ზედსართავებს, რომელთა შორის ჭარბობდა ვლათინური ნასესხობანი, როგორიცაა, მაგ., *domestic*,

poetic, rustic და სხვ. ტენდენცია პქონდათ, რომ სქესის დაბოლოებები ეწარმოებინათ clair, claire ტიპის მიხედვით, ანუ მაშრობია სქესში ბოლოუკებოდნენ -ic-ზე, მდგდრობითში კა -ique-ზე. მხოლოდ ზედსართავი სახელი publique არ იცველებოდა სქესის მიხედვით.

მნიშვნელოვანი მერყეობა შეინიშნებოდა -il-ზე დაბოლოებულ ზედსართავ სახელთა სქესის დაბოლოებების წარმოების დროს. ეტიმოლოგიური მიმართებით კანონზომიერი ფორმები ლათინურიდან ნახესხება ზედსართავებია facile, fertile, habile, hostile, humble, debile, puerile მონაცველებოდნენ სქესის მიხედვით დოფერენცირებულბთან: facil - facile, fertil - fertile, habil - habile, debil - debile, pueril - puerile. მაგრამ სქესის მიხედვით უცვლელი ფორმები, რომლებიც რეგულირებულ ფ-ზე ბოლოუკებოდნენ, მაგ., facile, fertile, უფრო ტიპურნი იყვნენ.

ზედსართავ სახელთა შედარებითი ხარისხები რეგულარულად იწარმოებიან ანალოგიკური ვ'ით, ანუ ზმნიშვლების plus, moins, le (la, les) plus, moins მიერთებით ზედსართავით.

ზედსართავთა შედარებითი ხარისხების სინთესური ფორმები თითქმის ვაქრა და იშვიათად გვხვდება ცალკეულ აუტორებთან. მაგ.:

vient non au plus fort ou greigneur (Rabelais, L. II, ch. XXVII).

ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელები. ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაკარგულა მიცემითი ბრუნვის უმახვილო ფორმა li; მაგ., Je tiens tant de li (Marot).

ზმნური ფორმები, რომელთაც შეინარჩუნეს პირის დაბოლოებები, შეიძლება იხმარებოდნენ პირის ნაცვალსახელთა გარეშე:

Voilà que c'est le bon traitement et la grande familiarité que leurs avez par cy devant tenue vous ont rendu envers eulx contemptible. (Rabelais, L. I, ch. XXXII, p. 99).

საერთოდ სუბიექტურ ნაცვალსახელთა გამოყენება ზმნის პირიან ფორმებთან ნორმად იქცა. ამასთან დაკავშირებით, ნაცვალსახელი ილ უფრო და უფრო ხშირად გვხვდება უპირო ზმნურ კონსტრუქციებთან:

Si non Normand fut faché il ne le fault pas demander.

(Des P. Nouv. récr., VII).

თუმცა გრამატიკული ნორმისზღვიის პროცესი ჯერ კიდევ არ დასრულებულა; ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ XVI ს.-ში, იშვიათად, თუცა მაინც გვხვდება უპირო კონსტრუქციებს პირის ნაცვალსახელ ილ-ის გარეშე მაგ.:

Et lui faschoit d'avoir perdu sa femme si tôt, laquelle estoit encore de bonne emplette. (Des P. Nouv. récr., VIII).

... et si possible est, par engins plus expediens, cauteles et ruses, nous saulverons toutes les ames (Rabelais, L. I, ch. XXIX, p. 92).

XVI ს.-ის მანძილზე ძლიერ იზღუდება პირის სუბიექტურ ნაცვალსახელთა je, tu, il გამოყენებას შესაძლებლობა დამოუკიდებელი ხინტაქსური ფუნქციით. ამ ფუნქციას ახრულებენ პირის ნაცვალსახელთა თბიექტური ფორმები, ისინი შეიძლება კავშირებით იყვნენ შეერთებულნი; მაგ.: *comme toi et moi le ferons, toi et moi irons la. (Meigret, Grammaire, ch. VI).*

დამოუკიდებელი გამოყენების უნარს ინარჩუნებდა ნაცვალსახელი je-ც, რომელიც, შეიძლება, ზმნიდან გამოყოფილი ეოფილიყო ჩართული წინადადებით:

Je, dist frere Jean, ne suis point clerc. (Rabelais, L. I, ch. VIII).

რამდენთან გვხვდებოდა არქაული კონსტრუქციები ილ-ით, რომლებიც გამოიყენებოდა შემასმენლის სახელადი ნაწილის ფუნქციით:

Qui feut bien faché et marry? Ce fut il. (Rabelais, L. I, ch. XII).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები. XVI ს.-ის მანძილზე, ისევე როგორც საშუალოფრანგულ პერიოდში, კუთვნილებითი ნაცვალსახელთა მახვილიანი და უმახვილია ფორმების ფუნქციონალური დიფერენციაციის პროცესი გრძელდება. კუთვნილებითი ნაცვალსახელთა მახვილიანი ფორმები ნაკლებად ხმარებულნი გახდნენ არსებით სახელებთან.

კუთვნილებითი ნაცვალსახელება, როგორც წესი, იხმარებოდნენ არტიკლების le (la, les) თახხლებით.

მაშაადამე, XVI ს-ის ბოლოს, ენაში უკვე არსებობდა კუთვნილებითი ზედსართაყები და კუთვნილებითი ნაცვალსახელება.

კუთვნილებითი ზედსართაყები

ჩხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
I პ. mon, ma, mes	notre (nostre), nos
II პ. ton, ta, tes	votre (vostre), vos
III პ. son, sa, ses	leur, leurs

კუთვნილებითი ნაცვალსახელება

ჩხოლ. რიცხვი	მრავლ. რიცხვი
I პ. le mien, la mienne	les miens, les miennes
II პ. le tien, la tienne	les tiens, les tiennes
III პ. le sien, la sienne	les siens, les siennes

ჩამოთვლისას ან კავშირების საშუალებით რამოდენიმე არსებითი სახელის შეერთებისას, კუთვნილებითი ზედსართაყი თითოეული არსებითი სახელის წინ კი არ იხმარებოდა, არამედ მხოლოდ პირველის წინ:

De mode que les assistans et naucriers ouirent ses cris, soupirs et gémissements. (Rabelais).

აინაღოვიური გამოყენება შეინიშნებოდა იმ შემთხვევებშიც, როდესაც შეერთებული იყო ორი, გრამატიკული სქესის მიხედვით განსხვავებული არსებითი სახელი; მაგ.:

Son maistre et maistresse (Marguerite de Navarre).

კუთვნილებითი ნაცვალსახელება იხმარებოდნენ როგორც არსებითი სახელები, მაგ.:

Et n'y espargneray du mien pour contemperer et amodier, les conditions controverses entre les deux parties. (Rabelais).

კუთვნილებით ზედსართაყებთან არტიკლის გამოყენებაც შეიძლებოდა:

Vous praevoiez et prognostiquez la nostre victoire. (Rabelais).

ჩვენებითი ნაცვალსახელება, საშუალოფრანგულ პერიოდში, მასობითი სქესის მრავლობითი რიცხვის სახელადებითი ბრუნვის ფორმები *eil* *eist* გაქრა; აღარ

იხმარებოდა მხოლოდითი რიცხვის მიცემითი ბრუნებს ფორმა cestuy, ბრადღებითი ბრუნვის (აკუსატივის) ფორმა est. თუმც XVI ს.-ის მანძილზე იყო ცალკეული შემთხვევები ძველი ფორმების და ასევე ძველფრანგული სრული ფორმების ხმარების: icestuy, icelluy, icelle, iceulx. მაგ.:

La ferveur de tes estudes requieroit que de long temps ne te revonnasse de cestuy philosophique repous.

(Rabelais, L. I, ch. XXIX, p. 91).

Ceste sacrée amitié tant a emply ce ciel, que peu de gens sont aujourd' huy habitans par tout le continent et isles de l'Ocean, qui ne ayent ambitieusement aspiré estre receuz en icelle...

(Rabelais, L. I, ch. XXXI, p. 94).

ძალიან იშვიათად გვხვდებოდა მამრობითი სქესის მხოლოდითი რიცხვს სახელობითი ბრუნვის ძველი ფორმა est.

XVIs-ის პოლოს, დასრულდა ჩვენებითი ნაცვალსახელების დიფერენციაცია ჩვენებით ზედსართავებად და ჩვენებით ნაცვალსახელებად, დიფერენციაცია, რომელიც ტიპურია თანამედროვე ფრანგული ენისათვის.

ჩვენებითი ზედსართავები: cet, cette (ceste), ces.

ჩვენებითი ნაცვალსახელები: celluy, celle, ceux, celles; ce, cela, cecy.

ნაცვალსახელი ce იხარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას და იხმარებოდა ყოველგვარ სმნურ ფორმასთან:

Je trouve beau ce... (Rabelais, L. I, ch. XVI, p. 50).

ზოგ შემთხვევაში ნაცვალსახელოვანი ზედსართავის ჩვენებითი მნიშვნელობა შეიძლება გაძლიერებულიყო ზედსართავი სახელით propre:

Ce propre jour, comme Dieu le voulut, arrive un vieil gros et rouge Chiquanous. (Rabelais).

განუსაზღვრელი ზედსართავები და ნაცვალსახელები. Nul, nulle იხმარებოდა როგორც არსებითი სახელის, ასევე ზედსართავი სახელის ფუნქციით. შეიძლება კჰონოდა დადებითი მნიშვნელობაც „რომელიც“ (როგორც ძველფრანგულ ენაში):

Si j'en voy nulle transporter qui se desvoya,

Sus mon col la viens rapporter à bien grand' joie

(Marguerite de Navarre).

Un, uns, une, unes წარმოადგენს ნაცვალსახელს და გვხვდება დამოუკიდებლად:

Les quelles sont unes noires, autres fauves, autres cendrées.
(Rabelais).

Autre, autrui-ს ტენდენცია აქვს, რომ გამოიყენებოდეს ნაცვალსახელოვან ზედსართავად, მაგრამ, ზოგჯერ, გვხვდება ნაცვალსახელის ფუნქციითაც:

Autre que luy n'estoit entré, (Des P).

Chacun, chacune შეიძლება გამოიყენებოდეს როგორც არსებითი სახელის ფუნქციით, ასევე ზედსართავის ფუნქციითაც:

Et chacun personne a son meurtrier derrière avant qu'elle s'estonne. (D. Aubigné).

Pleust à Dieu q'un chacun sceust aussi certainement sa genealogie, depuis l'arche de Noë jusques à cest l'age. (Rabelais, L.I, ch. I, p.5).

Aucun ხშირად იხმარება დადებითი მნიშვნელობით:

Et nonobstant la remontrance d'aucuns de l'Université...

(Rabelais, L. I, ch. XVII, p. 54).

Combien qu'aucuns docteurs scotistes ayent affirmé que sa mère l'alaicta...

(Rabelais, L. I, ch. VII, p. 92).

შიმარებითი და კითხვითი ნაცვალსახელები. მიმართებითი ნაცვალსახელები: qui, que, lequel, lequelz, auquel, à laquelle, auquelz; daquel, de laquelle, desquels.

ნაცვალსახელი lequel (და ყველა მასე ფორმა) ვართოდ იყო გავრცელებული XVI ს.-ში. ის გამოიყენებოდა იმ შემთხვევებში, რომლებშიც თანამედროვე ენაში იხმარება მხოლოდ qui. Lequel, შეიძლება, თავისი მნიშვნელობით, წყნებითი ზედსართავის ექვივალენტურიც ვოფილიყო:

Moiennans lesquelles loys, les femmes vefves pevent franchement jouer du serrecropiere à tous enviz.

(Rabelais, L. I, ch. III, p. 13)

Luy mesmes les disoit par curer, et y fondoit quelques cas pratiques. . . lequelz ils estendoient aucunes fois jusques deuz ou troys heures. (Rabelais, L. I, ch. XXIII, p. 71).

კითხვითი ნაცვაფსახელება: qui, que; quel, quels, quelle, quelles, lequel. ნაცვაფსახელი quel, ამ პერიოდში, დიფერენცირებულია სქესის მიხედვით, ანუ აქვს მდებრობათი სქესის ფორმაც.

ზ მ ნ ა

გრძელდება ზმნური დაბოლოებების ახალოვიური გასწორება – გათანაბრება, რომელიც დაიწყო საშუალო-ურანგულ პერიოდში და უპირატესად ორთოგრაფიული ხასიათის უფროა, ვიდრე წარმოთქმითი.

დაბოლოება -e: ა). თანდათანობით ვრცელდება და აუცილებელი ხდება I უღლების, ხმოვანზე დაბოლოებულ ფუძიანი ზმნების Présent indicatif-ის მხ. რიცხვის I პირში: (je) prie, accomplies, crie, supplie; ბ). გავრცელდა Présent subjunctif-ის მხ. რიცხვის ფორმებში; ძველი ფორმები, e-ს გარეშე, ძირითადად, გვხვდება მყარ სიტყვაშეერთებებში; მაგ: Dieu (te, nous, vous) gard, Dieu pardoint, Dieu doint და სხვ.

დაბოლოება -s: ა). ვრცელდება III უღლების ზმნების Présent indicatif-ის მხ. რიცხვის I პირში; თუმცა, ორთოგრაფიაში იგრძნობა ამ ფორმის მერყეობა – გვხვდება -s-იანი ფორმებიც და მის გარეშეც; მაგ., მაროსთან: je dis, je crois, je bois, j'ecris; ამასთანავე – je dy, je croy, je boy, je te t'escry. XVI ს.-ის ბოლოს, უმეტესად, -s-იანი ფორმები მკვიდრდება; ბ). ვრცელდება Impératif-ის მხ. რიცხვის მე-2 პირში, მაგრამ მონაცემდობენ -s-იანი და მის გარეშე ფორმები (თანაარსებობენ). მეგრე აფიქსირებს vas ფორმის გვერდით va-ს, prens, respons. რაბლესთან გვხვდება -s-ის გარეშე ფორმები:

Passant ici ceste poterne

Garny toy de bouue lanterne. (Rabelais)

tien toy pres de moi. (Rabelais)

გ). ვრცელდება, თანდათანობით, III უღლების ზმნების Passé simple-ის მხ. რიცხვის I პირში; გვხვდება -s-იანი ფორმებიც და მის გარეშეც ტექსტებში თანაარსებობს ორივე

ფორმა; შავ. შაროსთან: je m'assis, dus, souffris, receuz; ასევე receu, adverty, servy, vy და სხვა.

დ) XVI ს.-ის ბოლოს, დასტურდება Imparfait indicatif-ის და Conditionnel présent-ის მხ. რიცხვის I პირში. გვხვდება სამივე დაბოლოება -oy (-oi), -oye (-oie), oys (-ois), ყველაზე იშვიათად -oy(-oi) მეგრეთთან გვხვდება i'eymoe და i'eymoes. ანრო ეტიენი უპირატესობას -ois-ს ანიჭებს და ამას ხინის კეთილხმოვანების მოთხოვნებით.

დაბოლოებები -ions, -iez, რომლებიც გავრცელდა Présent subjunctif-ში ჯერ კიდევ საშუალოფრანგულ პერიოდში, XVI ს.-ის მანძილზე თანაარსებობენ -ions-სა და -ez-თან ერთად.

შსნურ დაბოლოებათა უნიფიკაციაზე გვეყენა მოახდინა რულეცირებულს ც-ს დაკარგვამ შრავლობითი რიცხვის მე-3 პირის დაბოლოებაში -oient (Imparfait indicatif-სა და Conditionnel présent-ში). გრამატიკოსები ამ დაკარგვის შიშინევენ ხალხური სეპარატევივლების მახასიათებლად. ამგვარად, ჩნდება წარმოთქმა etwet, serwet, ნაცვლად etwee(n)t, serwee(n)t-ისა (ორთოგრაფია: étoient, servoient), ასე შრავლობითი რიცხვის მე-3 პირი ემთხვევა მხოლოდობითი რიცხვის მე-3 პირს. ეს ფორმა დეკლესტში ერთმარცველიანია და არა ორმარცველიანი.

XVI ს.-ში, შესნურ დაბოლოებათა ანალოგიური გათანაბრება, არსებითად, გრაფიკული ხასიათისაა. იგი მოწმობს პირის დაბოლოებათა ხსტემის საბოლოო დაშლას (რომელიც ძალიან მეტად იყო ძველფრანგულ პერიოდში). Présent indicatif-ის მხ. რიცხვის I პირში -e-ს გამოწეწამ უნიფიციირებული გახადა მხოლოდობითი რიცხვის სამივე პირის დაბოლოებები, რადგან მე-2 პირის -s და მე-3 პირის -t წარმოთქმიდან გაქრა ჯერ კიდევ საშუალოფრანგული პერიოდის დასაწყისში. ამგვარად, მხოლოდობითი რიცხვის I, II და III პირის ფორმებმა დაიწყეს ერთხორად წარმოთქმა: je prie, tu prie(s), il prie(t).

-s-ს გავრცელება Présent indicatif-ის, Passé simple-ის, Imparfait indicatif-ის, Conditionnel présent-ის I პირზე, ხელს უწყობს იმ მოვლენას, რომ -s აღად იყოს მხოლოდობითი რიცხვის II პირის მახეწებელი (შარ.: Certes la flexion avait perdu beaucoup de son caractère primitif par l'amuissement partiel de s; elle devenait en grande

partie orthographique. Il n'en est pas moins vrai qu'ajouter s, c'était faire un pas de plus dans l'assimilation des diverses formes personnelles, et par suite détruire un reste de la flexion verbale. (Brunot F., „Histoire de la langue française“, t. 2, p. 325).

II უღლებების ზმნების Présent indicatif-ში დაბოლოება -s, გაქრა რა მხოლოდითი რიცხეის წარმოთქმიდან, იქცევა მრავლობითი რიცხეის მახეულებლად: ი-იანი ფუძეები მხოლოდითი რიცხვში მონაცვლელობენ -s-იან ფუძეებთან მრავლობითი რიცხვში:

je fini - (s)	nous finiss - on(s)
tu fini - (s)	vous finiss - e(z)
il fini - (t)	ils finiss - ent

ამგვარად, XVI ს-ში, ზმნის მორფოლოგიური განვითარება ხასიათდება პირის დაბოლოებათა საბოლოო გაქრობით წარმოთქმიდან, გარდა მრავლობითი რიცხვის I და II პირისა პირის ნაცვალსახელთა უმახვილო ფორმები იქცნენ პირის ზმნური კატეგორიის გამოხატვის ძირითად ხაშუადებად. მათი გამოყენება ზმნის პირიან ფორმებთან ნორმა გახდა; გამოჩნდის შუადგენდნენ შინაგან ფლექსიიანი ზმნურა ფორმები, რომლებშიც პირის კატეგორია გამოიხატებოდა ფუძის სპეციფიკური ცვლილებებით: suis, puis და სხვ.

რიგი ზმნების დროთა მორფოლოგიური ტიპები დეკრ კიდევ არ იყო დადგენილი.

I უღლებების ზმნების Passé simple-ის მორფოლოგიური ტიპი არ იყო სრულად სტაბილური. სამწერლო-საღვთისმეტყველო ენაში, I უღლებაში, ერცვლდება -ი-იანი ფორმები: demandis, troviz, montistes და სხვ. ეს ფორმები ხალხური მეტყველებიდან მოდიოდა და გრამატიკოსები შეკაცრად აკრიტიკებდნენ. მეგრე ამგვარი ფორმების ხმარების წინააღმდეგი იყო და აღნიშნავდა, რომ მათი წარმოშობა შეცდომისა და უმეტრების შედეგაო.

II და III უღლებების სოვიერთ ზმნაში -ი-იანი ფორმები კონკურირებს -ა-იან ფორმებთან. ეს უკანასკნელი იმარჯვებს იმ შემთხვევაში, თუ მას ვნებითი გვარის მძღუობაშიც -ა-იანი ფორმა აქვს. ჩნდება vescut vesquit-ის გვერდით, volsis ადგილს უთმობს volus-ს და ა.შ.

I უღლების ზმნების მრავლობითი რიცხვის III პირში გვხვდება ფორმა -arent-ით, ანუ თემატურ -a ხმოვნანის ანალოგიური ფორმა. ჩაცვლილ -erent-სა. ამ ფორმას ხშირად იყენებს დიუ ბელე თავისი წიგნის «ღაცვა და განდიდება ფრანგული ენისა» I გამოცემაში.

ასევე შეინიშნება ანალოგიური გათანაბრებისაქენ ტენდენცია, ინფინიტივის ფორმის პოხედეთ, Futur-ში; პარადეღურად იხმარება ძველი და ანალოგიური ფორმები: assaudray და assailliray, faudray და failiray, verrai და voirray, aray და avray, dorray და donneray და სხვ.

კავშირებით კიდევშიც იგივე ანალოგიური გათანაბრების პროცესი მიმდინარეობს. Présent subjonctif-ში, რომლის მორფოლოგიური ტიპი ყველა უღლების ზმნებისათვის ოდიოტანვე მერყევა იყო, ეთარდება შესაგანა ფლექსია, რომელიც, გარკვეულწოდად, წარმოადგენს კიდოს კატეგორიის გამოხატვის გრამატიკულ საშუალებას; მაგ.: tiens - tienne, veux - veuille, prens - preigne და სხვ.

Imparfait subjonctif-ში, ისევე როგორც საშუაღურანგულ პერიოდში, I უღლებაში, მრავლობითი რიცხვის I და II პირში, უპირატესად, შემდეგი ტიპის ფორმები: aimissions, aimissiez; ფორმები aimassions, aimassiez იშვიათად გამოიყენება.

-u იანი Passé simple-ის გავრცელება ხელს უწყობდა -u იანი Imparfait subjonctif-ის ანალოგიური ტიპის შექმნას: faulsiſt, veusiſt ტიპის ფორმებთან ერთად იხმარებოდა faſu(s)t, valu(s)t, voulsu(s)t-თან ერთად - voulusse. ეს ფორმები კონკურირებდნენ.

დროთა რთული ფორმები. ინდიკატივის რთულ ფორმათა კომპონენტები უფრო მოძრავნი იყვნენ, ვიდრე თანამედროვე ენაში. დამხმარე ზმნასა და წარსული დროის მიხედვობას შორის უფრო მეტი ჩანართების შესაძლებლობა იყო, ვიდრე დღევანდელ ენაში:

Depuys certaines années ilz ont avecques leurs estudes adjoinct saintes Bibles. (Rabelais).

რთული ფორმის კომპონენტების განცალკევების შემთხვევები განსაკუთრებით ხშირია პოეზიაში:

ont d'avirons ja couvertes les eaux. . . (Ronsard)

დადგინდა მიმღეობის დამატებასთან შეთანხმების
წესები, რომლებიც შენარჩუნებულია თანამედროვე ენაში.
მაგრამ, XVI ს-ში, გრამატიკოსთა ნაწილი არ იცავდა ამ
წესებს.

როგორც ზმნურ ფორმებში, მიმღეობათა შეთანხმების
წესები გადმოსცა პოეტმა კლემან მარომ (Clément Marot):

Enfants, oyez une leçon
Nostre langue a ceste façon
Que le terme qui va devant
Voluntiers regist le suyvant.
Les vieulx exemples je suyvray
Pour le mieulx: car à dire vray
La chanson fut bien ordonnée
Qui dit: - M'amour vous ay donnée,
Et du bateau est estonné
Qui dit: M'amour vous ay donné
Voilà la force que possède
Le femenin quand il precede,
Or prouveray par bons tesmoings
Que tous pluries n'en font pas moins;
Il faut dire en termes parfaictz:
Dieu en ce monde nous a faictz;
Fault dire en parolles parfaites
Dieu en ce monde les a faictes;
Et ne fault point dire en effect:
Dieu en ce monde les a faict,
Ne nous a faict parcelllement,
Mais nous a faictz tout rondement.
L'italien, dont la faconde
Passe les vulgaires du monde,
Son langage a ainsi basty,
En disant: Dio noi a fatti.
Pourquoy quand me suis advisé,
On mes juges ont mal visé,
Ou en cela n'ont grand science
Ou ils ont dure conscience.

(Marot, OEuvres, III, 3).

უმწერ სისტემაში ფორმათა ისეთი თანაფარდობა ჩამოყალიბდა, რომელიც შენარჩუნებულ იქნა შემდგომშიც.

თხრობითი კლასი

მარტივი დროები

Passé simple Présent

je vins

je viens

Imparfait

je venois

Futur Passé antérieur

je viendrai

je fus venu

Plus-que-parfait

j'étois venu

რთული დროები

Passé composé

je suis venu

Futur antérieur

je serai venu

პირობითი კლასი

მარტივი დროები

Présent

je viendrois

რთული დროები

Passé

je seroys venu

კავშირებითი კლასი

Présent

je vieigne

Imparfait

je vinsse

Passé

je sois venu

Plus-que-parfait

je fusse venu

დროთა ხმარება. ძირითადი განსხვავება ზინის თანამედროვე სისტემისაგან მდგომარეობდა ცალკეულ დროთა ფორმათა მხაშხედობაში. XVI ს-ში, რთულ დროთა ფორმები ფლობდნენ უფრო ნათლად გამოხატულ სახეობით მახასიათებლებს, ვიდრე თანამედროვე ენაში. რთულ ფორმებს შეეძლოთ გამოეჩაბათ წინამდებლობა მარტყე ფორმათა მისართებით, მაგრამ, მრავალ შემთხვევაში, ისინი იხარჩუნებდნენ მოქმედების დასრულებულობის ელფერს.

De là partans, arriverent au pont du moulin, et trouverent tout le gué couvert de corps mors, en telle foulle qu'ilz avoient enguorgé le cours du moulin : et c'estoient ceulx qui estoient peritz au deluge urinal de la jument.

(Rabelais, L. I, ch. XXVI, p. 110)

ამ მაგალითში avoient enguorgé არ გამოხატავს წინამდებლობას ფორმა trouverent-ის მიმართ, რადგან avoient enguorgé გამოხატავს შედეგს მთავარი წინადადების მიმართ,

რომელიც შეიცავს ფორმას trouverent. ამ შემთხვევაში ფორმა avaient enguorgé გადმოსცემს დასრულებულობას, მოქმედების რეალიზაციის სისრულეს: “საგსებით დაანაგვიანეს”.

ფორმა Futur antérieur თითქმის ყოველთვის მიუთითებს მოქმედების დასრულებულობას:

et seize cens elephans lequels aurez pris à une chasse.

(Rabelais, L. I, ch. XXXIII)

Passé composé შეიძლება გამოიყენებულ იქნეს ორი მნიშვნელობით:

ა). იმ მოქმედების აღსანიშნავად, რომელიც შესრულდა წარსულში, მაგრამ რომლის შედეგები არსებობს ახლაც (ანუ აწმყოხთან კავშირში):

ilz vicnnet a confronter ce qu'ilz en ont trouvé. (Des P., Cymb.)

ბ). ისტორიული წარსულის მნიშვნელობით, როგორც Passé simple-ის ექვივალენტი, რომელიც იხმარება სასაუბრო ენაში:

Il est bien vray qu'il m'a commandé que je luy feisse
relier ce livre tout à neuf. (Des. P., Cymb.)

Passé composé-ს მნიშვნელობიდან მიხედვით, გამოიყენება დროთა შეთანხმების სხვადასხვა წესები. თუ Passé composé გამოიყენება წარსული მოქმედების შედეგის მისათითებლად, რომელიც არსებობს აწმყოშიც, მაშინ დამოკიდებულ წინადადებაში შეიძლება ვიხმაროთ კავშირებითი კილოს აწმყო დრო:

...m'a donné charge en passant que je luy apporte quelque ceincture
à la nouvelle façon. (Des P., Cymb.)

Passé composé-ს პრეტერიალური მნიშვნელობის შემთხვევაში, დამოკიდებულ წინადადებაში გამოიყენება კავშირებითი კილოს წარსული დროები.

დროთა ხმარება ყოველთვის არ შეესაბამებოდა დროთა შეთანხმების თანამედროვე წესებს; მაგ., რთულ ქვეწყობილ წინადადებაში Plus-que-parfait შეიძლება შეეფარებოდეს Présent-ს:

ainsi fuyaient ces gens de sens desproveuz, sans scavoir cause de
fuyr: tant seulement les poursuit une terreur panice laquelle avoient
concue en leurs ames (Rabelais, L. I, ch. XLIV, p. 130).

Imparfait, სვეულებრივ, იხმარებოდა თანადროულობის გამოსახატავად, წარსულის მიმართ (Présent dans le passé).

Ce pendent Grandgousier interrogeoit les pelerins de quel pays ilz estoient, dont ilz venoient et où ilz alloient.

(Rabelais, L. I, ch. XLV, p. 132)

იმ შემთხვევებში, როდესაც როელ წინადადებაში Imparfait იხმარება Présent-თან ერთად, ეს უკანასკნელი მიუთითებს იმ მოქმედებაზე, რომელიც ღროში არ არის შეხდელული, Imparfait კი – იხარუხუნებს თავის მნიშვნელობას – Présent dans le passé. Imparfait-ს ამგვარი გამოყენება თანამედროვე ფრანგულშიც არსებობს.

Alexandre seiourna quelque temps en la Cilicie, pour une maladie, laquelle aucuns disent luy estre advenue de travail, les autres pour s'estre baignée en la riviere de Cydnus, qui estoit froide comme glace (Amyot).

სოც შემთხვევაში, Imparfait-ს ფორმაში, მნიშვნელობა Présent dans le passé შეიკავსებულა ხახვობით მნიშვნელობასთან; მაგა:

ilz estoient advertis des tordz que luy faisoit Picrochol.

(Rabelais, L. I, ch. XI.VII, p. 137).

ფორმა faisoit არ არის გამოყენებული Présent dans le passé-ს მნიშვნელობით, რადგან faisoit-ს მოქმედების რეალური დრო არ ემთხვევა estoient advertis-ს დროს – იგი მიუთითებს მოქმედების გამჟღერებას ისიხი გაფრთხილებულნი აყენენ იმ ხარაღის შესახებ, რომელსაც მუდმივად აყენებდათ პიკროშოლი.

დამოუკიდებელ წინადადებებში imparfait, სვეულებრივ, მიუთითებს განგრძობით, დაუხრულებელ მოქმედებას:

D'une main le guidoit de l'autre s'escrimoit avec un gran aviron. (Rabelais, L. I, ch. XXIII, p. 74).

პირობითი კედოს ეველა დრო იხმარება, ძირითადად, როგორც შესაძლებლობის ან ვარაუდის გამოხატვეული ფორმები.

Diriez vous qu'une mouche y eust beu?

(Rabelais, L. I, ch. V, p. 19)

Ce seroit à nous une grande vertu et gloire. (Des P., Cymb.)

შეფარდებითი მომავალი, როგორც ურამატოკული კატეგორია, ჯერ კიდევ არ იყო საბოლოოდ ფორმირებული და ვეხედებოდა იშვიათად.

Maistre Jy belin party de la maison, consulta Grandgousier avecques le viceroy quel precepteur l'on luy pourroit baillet, et feut avisé entre eulx que à cest office seroit mis Ponocrates pedaguoguc de Eudemon, et que tous ensemble iroient à Paris, pour cognoistre quel estoit l'estude des jouvenceaulx de France pour icelluy temps. (Rabelais, L. I, ch. XV, p. 48).

რაბლესთან კარგად ჩანს, რომ ღრითი ფორმების შეთანხმება ანალოგიურია თანამედროვე ფრანგული ენისა, ასევე Futur dans le passé-ს გამოყენებაც.

პირობითი კილოს რთული ფორმები შეიძლება იხმარებოდნენ მოქმედების დახრულეულობის გამოსახატად:

Je ne sçay si l'on auroit point faict outrage à ses iouaciens.

(Rabelais, L. 1).

კეშირებითი კილოს გამოყენება, არ ხვდითად, არ განსხვავდება თანამედროვესაგან. XVI ს-ში გაერცვლებული იყო Plus-que-parfait subjunctif-ის ფორმები რთულ წინადადებაში სავარაუდო, არარეალუზებადი მოქმედების გამოსახატად:

Aux jours festés plustost fussent morts nos bons pères qu'ilz n'eussent ammasé toutes leurs bribes (Noël du F., 1)

Car quand j'eusse eu affaire d'argent, je n'eusse faict que transmuer mon visage. (Des. P., Cymb.)

უპირო ფორმები

გერუნდივი. სამწერლო-სალიტერატურო ენაში ვხვდება ზმნა aller-ს პირიანი ფორმის შეერთებები გერუნდივთან, რაც გამოხატავს განვითარებად, დაუსრულებულ მოქმედებას:

Je vay le jour me refusant

Lorsque le jour je te refuse. (D'Aubigné. Les tragiques, p. 31).

ეს შეერთებები ფართოდ იყო გაერცვლებული ძველფრანგულ ენაში და შემდგომში, თანდათანობით, ხმარებიდან გამოვიდნენ. ამ შეერთებათა ნაწილი, რომელიც შენარჩუნდა თანამედროვე ენაში, წარმოადგენს

ლექსიკალიზებულ მყარ სიტყვაშეერთებებს: *va empirant, va s'améliorant* და ა.შ.

ასეთი სიტყვაშეერთებების კომპონენტთა მიმდევრობის წყობა გამოირჩეოდა დიდი თავისუფლებით, ზმნის პირიან ფორმასა და გერუნდივს შორის შეიძლებოდა დამატებების მოთავსება.

Je preste à vos courroux le fiel de mes paroles,
En attendant le jour que l'ange delivrant
Vous aile les portaux du paradis ouvrant.
(D'Aubigné, Les tragiques, p. 112).

XVI ს-ის სამწერლო-ხალიტკრატურთა უნის დამახასიათებელი მოვლენა იყო აბსოლუტური კონსტრუქციები გერუნდივით, ანუ გერუნდივის ისეთი გამოყენება, რომლის დროსაც გერუნდივის ფორმით გამოხატული მოქმედების მწარმოებელი არ უმთხევეა ქვეშედებარეს.

Ignorant sa débilité, je l'ai fait tenir debout devant moi,
et en la chapitant, s'est évanouie comme vous voyez.

(Marguerite de Navarre. Heptameron, XXVI)

შიმდეობა. მოქმედებითი გვარის შიმდეობა კვლავ უთანხმდება რიცხვში არსებით სახელს ან ნაცვალსახელს. მოქმედებითი გვარის შიმდეობა, ე.წ. Participe Présent, მორფოლოგიურად განსხვავდება ფორმალურად იერუნდოვისაგან, რომელიც შეიძლება იხმარებოდეს en-ით ან მის გარეშე.

ზმნიზედა

XVI ს-ში გაიზარდა -ment-ით წარმოებულ ზმნიზედათა რაოდენობა. მწერლები, ძირითადად რაბლე, თავისუფლად ქმნიდნენ ზმნიზედებს, სუფიქსი -ment-ით, თვისებითი და მიმართებითი ზედსართავებისაგან:

absurdément, artistement, aveuglement, bizarrement, brusquement, bestiallement, blanchement, bonnement, cathégoriquement, contrairement, diablement, grièvement, malaisément, malignement, massivement, prestement, résolument, salement და სხვ.

პროდუქტიული იყო ზმნიხედური გამოხატვაშეების წარმოების ხერხი a n de წინდებულისანი კონსტრუქციებით:

ains croire que en moins de un tour d'oeil vous peult oster. . .

(Noël du F. I, I).

brodé à l'entour de belles vignettes (Rabelais, L. I, ch. 8).

იხმარებოდა აგრეთვე შედგენილი ზმნიხედები: à jamais, de pied en cap, du tout, d'aventure, de travers, de coutume. ზოგიერთი მათგანი აღრიდანვე იყო ცნობილი; ასეთი იყო, მაგალითად, ძველფრანგულში დიდად გავრცელებულია tant:

A tant (მაშინ) son père aperceut que vrayment il estudioit très bien et y mettoit tout son temps. (Rabelais, L. I, ch. 15).

Quoy! et d'aucunes fois à peu près ilz n'attendoient.

(Noël du F., I).

ს ი ნ ტ ა ქ ს ი სიტყვათშეერთება

მორფოლოგიური ცვლილებები, თანდათანობით, აისახება სიტყვათ-შეერთებების ფორმებზე. არსებითი სახელის ბრუნვითი ფორმების დაკარგვამ გამოიწვია ის, რომ ირიბბრუნვიანი (ბრალდებითი), სახელიანი სიტყვათშეერთებები, ძველფრანგულში სიტყვათშეერთების li rei gunfannoniers („მეფის მეზარადე“) ტიპისა, შენარჩუნდნენ მხოლოდ მეკარი კონსტრუქციების სახით.

სუბსტანტივირებული ინფინიტივის ბრუნვითი ფორმების დაკარგვას მაშინვე არ გამოუწვევია დამატებისფუნქციიანი ინფინიტივთან წინდებულის განენა:

Il nous convient evader. (Rabelais, L. IV, ch. XXIII, p. 86).

ყარაოდ ვრცელდება წინდებულისანი სიტყვათ-შეერთებები. წინდებულთა როლი განსაკუთრებით დიდია ატრიბუტულ (le gonfannonier du roi), ობიექტურ (დამატებით) და აბოზიტიურ (Ville de Rome, შდრ. ძვ. ფრანგ. Romme la cite) სიტყვათშეერთებებში.

ატრიბუტული სიტყვათშეერთებები. წინდებული à იშვიათად იხმარება ატრიბუტულ სიტყვათშეერთებებში. ამ ფუნქციით თანდებულა de დომინირებს.

ატრიბუტული სიტყვათშეერთებები, მათი ხმარების მიხედვით, შეიძლება ვთვალოდეთ ზედსართავთა ადექატურად:

Il avoit trois filles belles et de bonne grace. (Des P., Nouv. récr., V)
სახელიან ატრიბუტულ სიტყვათშეერთებებს,

კომპონენტთა მნიშვნელობისდა მიხედვით, შეიძლება გამოვსაზღვროთ გარემოებითი ან დამატებითი (ობიექტური) მიმართებები:

Et pour s'esbattre comme les petitz enfans du pays, luy
feirent un beau virollet. (Rabelais, L. I, ch. XI, p. 36).

ობიექტური (დამატებითი) სიტყვათშეერთებები, ობიექტურ სიტყვათშეერთებათა სტრუქტურა ემთხვევა შესაბამის სიტყვათშეერთებათა სტრუქტურას ანალოგიურ ენაში.

დაინტერესებულნი პირის მნიშვნელობა გადმოიცემა წინდებული ან საშუალებით:

Par laquelle blancheur lumineuse donnoit entendre à ses troys
apostres l'idée et figure des joyes éternelles.

(Rabelais, L. I, ch. X., p. 32).

შექმედების ობიექტის მნიშვნელობა, წვეულებრივ, გამოხატებულია უწინდებულად: manger chair, battre le fer; თბევ მნიშვნელობა გადმოიცემოდა de წინდებულისი სიტყვათშეერთებითაც: D'un cas vous advertis... (Rabelais, L. I, ch. VIII, p. 26).

გარემოებითი სიტყვათშეერთებები, გარემოებითი მიმართებების გამოხატვის საშუალებები იყო სიტყვათშეერთებები სხვადასხვა წინდებულებით. ეს სიტყვათშეერთებები სხვადასხვაგვარია თავიანთი სემანტიკისდა მიხედვით. მათ შეიძლება აქონდეთ:

იარაღის ანუ საშუალების მნიშვნელობა:

Et luy mesmes ce dressoit en dodelinant de la teste.

(Rabelais, L. I, ch. VII, p. 24).

უთარების მნიშვნელობა:

Soubdain vindrent à tas saiges femmes de tous coustez.

(Rabelais, L. I, ch. VI, p. 21).

აგენტის მნიშვნელობა:

Et fut veu de tout le monde en grande admiration.

(Rabelais, L. I, ch. XXIII).

მისეხის მნიშვნელობა:

Pantagruel soy complaignoit de ceste guerre.

(Rabelais, L. IV, ch. XLII, p. 144).

მიზნის მნიშვნელობა:

O pour Dieu, estrillons – le à profit de mesnaige.

(Rabelais, L. I, ch. V, p. 18).

მიმართულების, ადგილსამყოფელის და საწყისი პუნქტის მნიშვნელობა:

Allons premierement aux arcines, et puis après je te le diray. (Des P., Cymb.)

დროის მნიშვნელობა:

საერთო სალიტერატურო ენაზე XVII ს.-ის პოეზია, 1694წ. გამოქვეყნდა აკადემიის დექსიკონის პირველი გამოცემა, რომელიც ვერ ასახავდა ფრანგული ნაციონალური ენის მთელ დექსიკურ სიმდიდრეს; მასში მოცემული იყო მხოლოდ იმ სიტყვათა მარაგი, რომელთაც იყენებდა პარიზის არისტოკრატიული წრე.

„არისტოკრატიული პურიზმის“ წინააღმდეგ გამოვიდა აკადემიის ერთ-ერთი წევრი – ანტუან ფურეტიერი (A. Furetière); იგი მისწევდა, რომ აკადემიის მიერ გამოცემული დექსიკონი უნდა ასახავდეს ფრანგული ნაციონალური ენის დექსიკონის მთელ სიმდიდრეს. ფურეტიერი შეუდგა უნივერსალური დექსიკონის შედგენას და მიხი გუგმა განსახილველად აკადემიას გადასცა აკადემიაში ცხარე დებატები გაიმართა ამ საკითხის გამო და, საბოლოოდ, ფურეტერი გარიცხეს აკადემიიდან; მას აუკრიძელეს თავისი დექსიკონის გამოცემა საფრანგეთში. ა. ფურეტეირის დექსიკონი „Dictionnaire universel, contenant généralement tous les mots françois tant vieux, que modernes“ მისმა მეგობრებმა გამოსცეს ქ. პაგაში (პოლანდია), მისი გარდაცვალების შემდეგ.

აკადემიის მცდელობამ, რომ „გაეწმინდა“ ხელიტერატურო ენის დექსიკური შემადგენლობა, ფართო გამოსმაურება პიოვა პარიზის არისტოკრატიული ხალხობების წრეებში. განნდა მისწრაფება შეექმნათ „ენა“, რომელიც განსხვავებული იქნებოდა ხალხის „ენისაგან“. ამან გამოიწვია კლასობრივი ეარგონის შექმნა და ლიტერატურაში ეწ. პრეციოზული (précieux-„ნატიფი, დახვეწილი“) სტილის დამკვიდრება. პრაქტიკულად ეს ბორციელდებოდა განსაკუთრებული გამოთქმების, პერიფრაზების, მეტაფორების და მსგავსთა გამოყენებით; მაგ.: l'ongle-ის ნაცვლად ხმარობდნენ: „Le plaisir innocent de la chair“, les dents-ის ნაცვლად - „L'ameublement de bouche“, l'eau-ს ნაცვლად - „l'élément liquide“ და ა.შ. ამ მიშართულების აბსურდულობა XVII საუკუნეშივე გაამახსრა მთლიურმა თავის კომუდიაში „Les précieuses ridicules“.

აკადემიის დექსიკოგრაფიულმა თეორიებმა ასახვა ვერ პიოვა XVII ს.-ის კლასიკოს მწერალთა ნაწარმოებებში.

რაც შეეხება საერთო სალიტერატურო ენის საწარმოოქმო და გრამატიკული ნორმების დადგენასა და ფიქსაციას, აკადემიამ არა მარტო მიიღო მადგურბის პრინციპები, არამედ მის თეორიულ საფუძველს შემდგომი განვითარებაც მიხცა ეხის ცნობილი თეორეტიკოსის კლოდ ვოკლას მოძღვრების სახით. ვოკლასთვის სალიტერატურო ენის ნორმირება იყო მთავარი მიზანი; მიხთვის ძირითადი და ერთადერთი კრიტერიუმი, რომლითაც უნდა მომხდარიყო სანიმუშო ნორმის დადგენა, იყო „bon usage“, ანუ ენის სწორად გამოყენება; ვოკლას ასრით, ენის მანორმირებელი ევრაეითარი წესები ვერ დადგინდება, თუ ისინი არ იქნებიან დაცუქმებული თვით ენობრივ ფაქტებზე; ამიტომაც, იგი თავისი შრომის „Remarques sur la langue françoise“ წინასიტყვაობაში წერს, რომ ის არ ამარებს საკუთარი წესების დამყარებას, არც რეფორმის გაცარებას, არც ხიტყვების შექმნას ან მოხმობას, იგი ცდაიღობს შიუთითოს სიტყვების სწორ გამოყენებაზე და დაადგინოს ის, რაც სწორია: *Ce ne sont pas icy des Loix que je fais pour nostre Langue de mon autorité privée... Mon dessein n'est pas de reformer nostre Langue, ny d'abolir des mots, ny d'en faire, mais seulement de monstuer le bon usage de ceux qui sont faits, et s'il est douteux ou inconnu, de l'esclairer et de le faire connoistre* (Vaugelas Cl., „Remarques sur la langue françoise“, Paris, 1647, Préface).

ენის სანიმუშო გამოყენებას, ანუ „bon usage“-ს, ვოკლა, უპირველეს გოვლისა, არისტოკრატული საზოგადოებოს განათლებულ ადამიანთა სასაუბრო სალიტერატურო მეტყველებაში და საუკეთესო შწერაღლა ნაწარმოებებში ხედავს: „la façon de parler de la plus saine partie de la Cour, conformément à la façon d'écrire de la plus saine partie des Autheurs du temps“ (ციტ. შრ., Préface).

კლ. ვოკლა მიიხნედა, რომ „bon usage“ დადგინდება მხოლოდ სალიტერატურო ენის უკმარი და წერითი ფორმების შეპირისპირებით: „Toutefois quelque avantage que nous donnions à la Cour, elle n'est pas suffisante toute seule de servir de regle, il faut que la Cour et les bons Autheurs y concourent, et ce n'est que de cette conformité qui se trouve entre les deux, que l'Usage s'estable“ (ციტ. შრ., Préface).

პაროზსა და სხვა ქალაქებშიც იქმნებოდა სალონები, სადაც განიხილებოდა ენისა და ლიტერატურის საკითხები, რაც ხელს უწყობდა სალიტერატურო მეტყველების ნორმათა უნიფიკაციას.

ენობრივი თეორიების შემდგომ განვითარებაზე დიდი გავლენა მოახდინა დეკარტის (R. Descartes, 1596-1650) რაციონალისტურმა ფილოსოფიამ. დეკარტი მიიხსენებდა, რომ ყოველგვარი ცოდნის საფუძველი გონებაა; მისი ამოსავალი დებულება იყო: „cogito ergo sum“, ანუ „აზროვნებ, მაშასადამე ვარსებობ“. დეკარტის მიხედვით, ჭეშმარიტება მოიღწევა გონებით და დასტურდება ცნებათა გარკვეულობით და არა გამოცდილებითა და პრაქტიკით. დეკარტი იდეალისტი იყო; აზროვნებისა და ვოფიერების ურთიერთობებში, იგი აღიარებდა ვოფიერებისაგან აზროვნების დაწოკუდილობას; მაგრამ დეკარტის რაციონალისტური ფილოსოფია იმ ეპოქისათვის პროგრესული იყო, რადგან მან საბოლოოდ დაამსხვრია სქოლასტიკური ფილოსოფია.

რაციონალისტური ფილოსოფიის დებულებებმა გამოიხადო კოვეს გრამატიკული თეორიის შემუშავებაში 1660წ. გამოქვეყნდა ფრანგული ენის გრამატიკა — „Grammaire générale et raisonnée“, რომელმაც მაშინვე მიიპყრო საყოველთაო ყურადღება. გრამატიკის ავტორები იყვნენ მეცნიერები ლანსლო (C. Lancelot, 1615-1695) და არნო (A. Arnauld, 1612-1694). გრამატიკას უწოდეს „générale“ იმიტომ, რომ ავტორები უკრძლობოდნენ იმ ზოგად პრინციპებს, რომლებიც გამოდგებოდნენ არა მარტო ფრანგულისათვის, არამედ ყველა სხვა ენებისთვისაც; „raisonnée“ უწოდეს იმიტომ, რომ ისინი არა მარტო აღწერდნენ ენობრივ მოვლენებს, არამედ მათ ახსნა-განმარტებებსაც იძლეოდნენ. დეკარტის ფილოსოფიის ძირითად დებულებაზე დაყრდნობით, არნო ვაძნებდა აქენებს წინა პლანზე და ამბობს, რომ, რადგან ნებისმიერი ენა აზრის გადმოცემას ემსახურება, უპირველეს ყოვლისა, ამოსავალ წერტილად უნდა მიიხსენიოს აზროვნების განვითარებას კანონები, ანუ ლოგიკის კანონები; ეს კანონები უცვლელია და საყოველთაო და მათ ექვემდებარება ყველა ენა. არნოს და ლანსლოს გრამატიკის ბოლო თავი ვძღვნება სინტაქსს, რაც

ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან გრამატიკაში პირველად განხილვება მოძღვრება წინადადების შესახებ.

XVII ს-ის ბოლოს საფრანგეთში შეიმჩნევა აბსოლუტური მანარქიის დაცემა. ვითარდება კაბიტადისში და ძლიერდება ბურჟუაზიის პოლიტიკური გავლენა, რასაც მოჰყვება ახალი, ამ დროისათვის პროგრესული იდეოლოგია. ამ იდეოლოგიის გამოშატველნი იყვნენ განმანათლებლები. XVIII ს. ახალი ეტაპი იყო საფრანგეთის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში, რომელსაც განმანათლებლობის ეპოქა ეწოდა. ლიტერატურაში გაძლიერდა არსებული წყობის კრიტიკა. ფრანგულს განმანათლებლობის უდიდესი წარმომადგენლები იყვნენ ვოლტერი (F. - M. Voltaire, 1694-1778), მონტესკიე (Ch. Montesquieu, 1689-1755), რუსო (J. - J. Rousseau, 1712-1778), დიდრო (D. Diderot, 1713-1784). მათი ინტერესების სფერო უადრესად მრავალმხრივი იყო; ასინი იყვნენ მწერლები, ფილანთროფოსები, პუბლიცისტები. მორალისტები, სოციალოგები, პოლიტიკოსები.

XVIII ს-ის ენის თეორეტიკოსები - დიუკლო (Ch. Duclos), ფრომანი (Ch. Fromant), დ'ოლივე (P. - J. D'Olivet), დიუმარე (C. Dumarsais) და სხვ. აგრძელებდნენ სამწერლო-საღაღატურო ენის ნორმების დაზუსტებაზე მუშაობას. განმტკიცდა აზრი, რომ კლასიკური ლიტერატურის ნაწარმოებებში ფრანგულმა ენამ მოაღწია სრულყოფილებას და აუცილებელია მისი შენარსუნება მიღწეულ დონეზე; ენაში მიმდინარე ყოველი ცვლილება განახილებოდა როგორც დაცემისაკენ მიმართული; ამიტომ აკადემიამ მიზნად დაისახა პრაქტიკულად დაუფიქსირებინა სალიტერატურო ენის ნორმები მწერალ-კლასიკოსთა ნაწარმოებების მიხედვით. გადაწყვიტეს ხელახლა გამოეცათ ეს ნაწარმოებები და მათთვის დაერთოთ შესაბამისი კომენტარები და მითითებები ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სფეროში. ეს სამუშაო დაიწყო. მაგრამ ბოლოსდე ვერ მიიყვანეს, რადგან, მუშაობის პროცესში, გამოვლინდა, რომ მრავალი სიტყვა, სოციურთი კონსტრუქცია და ფორმა, რომელთაც იყენებდნენ XVII ს-ის კლასიკოსი მწერლები, უკვე მოცელებული იყო.

აკადემიის ლექსიკოგრაფიულ მუშაობაში დიდი ცვლილებები მოხდა: შემცირდა სამწერლო-სალიტერატურო

ენის ლექსიკური შემადგენლობის 'შეხლედეა, რაც უკავშირდებოდა რაციონალისტურ მიმართულებას, რომლის მიხედვითაც ყოველი სიტყვა, წარმოადგენდა რა აზრის ზუსტი გადმოცემის საშუალებას, დასაშვები იყო სალიტერატურო ენაში. ვოლტერი, დაღამბერი (Jean Le Rond d'Alembert), მარმონტელი (J. -F. Marmontel) და აკადემიის სხვა წევრები ემხრობოდნენ ნეოლოგიზმების შექმნას, სამწერლო-სალიტერატურო ენაში სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინების გამოყენებას. 1762 წელს აკადემიის მიერ გამოცემულ ლექსიკონში დამატებული იყო 5217 ახალი სიტყვა.

დიდროსა და ცნობილი ფრანგი მათემატიკოსის დაღამბერის ინიციატივით გამოიცა ფრანგული ენციკლოპედია, რომელშიც შევიდა როგორც ახალი, ისევე ძველი ტერმინები. მხოლოდ ლიტერატურული სტილების შესახებ მოძღვრების სფეროში შენარჩუნდა „არისტოკრატიული პერიზმის“ ტენდენცია; აღიარებდნენ 3 ძირითად სტილს: მაღალი სტილი (élevé ou sublime), საშუალო სტილი (moyen ou médiocre) და უბრალო სტილი (simple ou burlesque). ცდილობდნენ, რომ „უბრალო“ ანუ „დაბალი“ სტილის სიტყვები შეეცვალათ „კეთილშობილი“ სიტყვებით ან პერიფრაზებით.

XVIII ს.-ში იზრდება სალიტერატურო ენის გავრცელების სფერო. ლათინური ენა უკვე აღარ იხმარება პოეზიაში; უნივერსიტეტში ცდილობენ, რომ, ლათინურის ნაცვლად, ფრანგული ენა დაამკვიდრონ სასწავლო ენად. ფრანგული სალიტერატურო ენა ვრცელდება საფრანგეთის საზღვრებს გარეთ, რაც უკავშირდება საფრანგეთის კულტურული და კონომიური გავლენის გაძლიერებას ევროპის სხვა ქვეყნებზე. ფრანგული სალიტერატურო ენა ხდება საერთაშორისო დიპლომატიისა და ეაჭრობის ენა. ფრანგული ენის ცოდნა სხვადასხვა ქვეყნების საზოგადოების პრივილეგირებული ფენების მაღალი კულტურის ნიშნად ითვლება.

1789 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის იდეოლოგიამ გავლენა იქონია ენობრივ თეორიებზეც. უკუგაბრუნდნენ იქნა „არისტოკრატიული პერიზმის“ თეორია და სამწერლო-სალიტერატურო ენა საბოლოოდ განთავისუფლდა ლექსიკური შემადგენლობის ყოველგვარი შეხლედეებისაგან. 1798წ.

აკადემიის მიერ გამოცემულ ლექსიკონში შევიდა რევოლუციის პერიოდში შექმნილი 336 ახალი სიტყვა.

ბურჟუაზიული რევოლუციის შემდგომ, ნაციონალური ენობრივი პოლიტიკის გატარების შედეგად, ნაციონალურ უმცირესობათა ენები (პროვანსალური, ბასკური, ბრეტონული), თანდათანობით, აღვიდს უთმობენ ფრანგულ ენას.

ფონეტიკა

გოკალიზში, XVII ს.-ში, ხმოვანთა სისტემის ხფეროში, შეინიშნებოდა შემდეგი ტენდენციები: მონოფთონგიზაციის პროცესის დასრულება; რედუცირებული *e*-ს [ə] დაკარგვის ტენდენცია; ხმოვანთა დენაზალიზაცია წარმოთქმადი ცხვირისმიერი თანხმოვნის წინ; ხმოვანთა თვისების შეცვლა სიტყვაში მათი მდებარეობისა და მიხედვით.

მონოფთონგიზაციისაკენ ტენდენცია გამოხატუროდა იმით, რომ ტრისფთონგი *eau*, რომელიც XVI ს.-ში *e-ou* იქცა, XVII ს.-ში შეიცვალა მონოფთონგ *o-დ*, მისი წარმოთქმა კი თანდათანობით დგინდებოდა. არასაღიჭრატურ ენაში *eau* მონოფთონგ *o-დაც* წარმოითქმოდა და, პიკარული დასაღვქტის გაეღენით, *io-დაც* (მაგ. *biau, marciau, fardiau*).

ენის თეორეტიკოსთა შრომების ნიხედვით, საღიჭრატურო მეტყველებაშიც მერყეობა იყო, როგორც XVII, ასევე XVIII ს.-ში; არნოსა და ლანსლოს გრამატიკაში (1660წ.) *eau*-ს წარმოთქმა მოცემულია დიფთონგ *e-ou-ს* სახით. XVII ს.-ის სხვა გრამატიკოსებთან მითითებულია *eau*-ს სხვადასხვაგვარი წარმოთქმა სიტყვებისა და მიხედვით; მაგ., სიტყვებში *chapeau, bezu, nouveau* - *eau* წარმოითქმოდა როგორც *o*, სიტყვებში *bateau, couteau* კი - როგორც *e-ou*.

აკადემია, თავისი ლექსიკონის I გამოცემაში (1694წ.), სიტყვა *eau*-ს ასე ახახიათებს: „*l' e se prononce un peu, bien que ce mot ne soit que d'une syllabe*“; II გამოცემაში (1718წ.) ეს განმარტება შენარჩუნებულია და მხოლოდ III გამოცემაში (1740წ.) აღარ გვხვდება *eau*-ს წარმოთქმის ამგვარი

დახახიანება. XVIII ს.-ის ბოლოს წარმოთქმა [ɔ] საბოლოოდ
მკვიდრდება სალიტერატურო მეტყველებაში.

არანაკლები შერყეობა იყო შუერთება აქ-ს
წარმოთქმაში, რომელიც XIII ს.-დან მოყოლებული
წარმოითქმოდა როგორც [wɛtɔ] და როგორც მონოფთონგი [ɛ-
tɔ]; წარმოთქმა [ɛ] დამკვიდრდა Imparfait-სა და Conditionnel-ის
ხმურ დაბოლოებებში და მთელ რიგ სიტყვებში, მაგრამ
ყართოდ არ გაერცვლებოდა, რადგან თეორეტიკოსები ნორმად
მიიჩნევდნენ წარმოთქმა [wɛtɔ]. XVII ს.-ის შუა ხახებაამდე
სიტყვა français წარმოითქმოდა აქ-თი [frãswɛ], მაგრამ შემდეგ
დამკვიდრდა ფ-თი [frãsfɛ]; ასევე წარმოითქმოდა სიტყვა anglais
და სხვ., მაგრამ ახეთივე, ანალოგიურ დაბოლოებიან სიტყვებში
Danois, Genevois, შენარჩუნებული იყო წარმოთქმა აქ (თანამედ.
wa).

XVIII ს.-ის ბოლოს საბოლოოდ დაფიქსირდა იმ
სიტყვათა წარმოთქმა, რომლებშიც აქ წარმოითქმოდა ფ-დ; მათი
რაოდენობა დიდი არ იყო. XIX ს.-ში, უველა ამ სიტყვაში
დაწერილობა იქ შეიცვალა ai-თი: français – français, faible – faible,
je dormais – je dormais და სხვ.

XVII ს.-ში კვლავ გრძელდებოდა რედუცირებული [ə]-ს
წარმოთქმის დაკარგვის ტენდენცია, როგორც ბოლოკიდურ
პოზიციაში, ასევე სიტყვის შუაში თანხმოვნებს შორის.
სალიტერატურო მეტყველებაში, ბოლოკიდური რედუცირებული
[ə] აღარ წარმოითქმოდა, სიტყვის შუაში კი – [ə] უფრო
მკვეთი აღმოჩნდა, ძირითადად, ორთოგრაფიის გავლენით და
ასევე ნასესხებ სიტყვათა წარმოთქმის გავლენით. ნასესხებ და
წიგნურ ლათინურ სიტყვათა გავლენით, სალიტერატურო
მეტყველების მრავალ სიტყვაში, დახურულმა e-მ განდევნა [ə]:
séduire, trésor, métal, férir, dérir, hésir, pélican და სხვ. ასეთივე
გავლენას ახდენდნენ წიგნური პრეფიქსებიც – dé- და ré-,
აქვევდნენ რა წარმოთქმებს – [dɛ]-სა და [rɛ]-ს: décevoir, débattre,
découper, défendre, réduire, réconforter და შრ. სხვ. მრავალ
ნაწარმოებ სიტყვაში [ə] ასევე იძენდა დახურულობის ან
ღიაობის ხარისხს: chérir, lévrier, grênetier, crémer და სხვ.

თანხმოვნებს შორის [ə]-ს წარმოთქმის მერყეობა
გრძელდებოდა. სოგმა სიტყვამ საერთოდ დაკარგა [ə], მაგ.

belouse, felon, peluche, pelouse, pelote, pelure წარმოთქმოდნენ როგორც blouse, lion, pluche, plouse, plote, plure; სიტყვა belitre წარმოთქმოდა სხვადასხვაგვარად – bēlitre, bliire, belitre [balitra].

სალიტერატურო მეტყველების იმ სიტყვებში, რომლებშიც [ა] შეხარჩუნდა, მისი წარმოთქმა არამყარი იყო და სიტყვათა უმეტესობაში არ წარმოთქმოდა, განსაკუთრებით არაოფიციალურ მეტყველებაში: j'veux – je veux-ს ნაცვლად და ა.შ.

წიგნური, ანუ ვ.წ. „სამეცნიერო“ სიტყვების (mots savants) გამოყენება, რომლებიც, XV ს.-დან მოყოლებული, ფართოდ გაერცვლდნენ სალიტერატურო მეტყველებაში, ხელს უწყობდნენ მახვილისწინა ou-ს [u] წარმოთქმაში მერყეობას. მრავალ სიტყვაში, მახვილისწინა ou (ლათინური o-დან ან o-დან) წარმოთქმოდა როგორც [o] იმ წიგნურ სიტყვათა გავლენით, რომლებშიც ანალოგიურ პოზიციაში იყო [o].

XVII ს.-ში, თეორეტკოსები ცდილობდნენ ou-ს წარმოთქმის დაფიქსირებას და XVII ს.-ის ბოლოს ეს მცდელობა ou-ს წარმოთქმის სტაბილიზაციით დახრულდა: ზოგ სიტყვაში შეხარჩუნდა წარმოთქმა ou [u], მაგ. fournaise, fourniture, goulet, sauis, couleuvre, moulin, couronne, douleur, tourner, fourni, ასეთი სიტყვები დიდი რაოდენობით იყო, მაგრამ ზოგ სიტყვაში წარმოთქმა [o]-მ ხელდა: arroser, colorer, fromage, ormeau, colombe, colonne, provende, corvée, novembre, volonté, volume, fossé, côté და სხვ. (თუმც ხალხურ მეტყველებაში გვხვდება – foussé, côté და სხვ.)

XVII ს.-ში ფართოდ გაერცვლდა ხმოვანთა ცხვირისმიერი წარმოთქმის დაკარგვის ტენდენცია წარმოთქმადი ცხვირისმიერი თანხმოვნების წინა მდებარეობაში. XVII ს.-ის ბოლოს, ცხვირისმიერი ხმოვნების – [ჰ]-სა და [ნ]-ს – დენაზალიზაცია საბოლოოდ დაშველდრდა: paysanne [peizan], courtisanne [kurtizan], personne [person], homme [om] და სხვ.

რაც შეეხება ცხვირისმიერ ხმოვნების [მ < ი] და [მ < ი]-ს დენაზალიზაციას წარმოთქმადი ცხვირისმიერი თანხმოვნების წინა პოზიციაში, შეინიშნებოდა მერყეობა: ცხვირისმიერი ხმოვანი [მ] ან ინარჩუნებდა ცხვირისმიერ წარმოთქმას, ან

წარმოითქმოდა როგორც ხმოვანი i: *immuable* [ĩmuabl] ან [ĩmuabl]; ასევე ცხვირისხმიერი ხმოვნის [ĩ < u]-ს წარმოითქმაც მერყეობდა წარმოითქმად ცხვირისხმიერი თანხმოვნების წინ: ეს ხმოვანი ან ინარჩუნებდა თავის ცხვირისხმიერ წარმოთქმას, ან დენახალიზაციას განიცდიდა და წარმოითქმოდა როგორც [ĩ] ან როგორც [u]; მაგ., არტიკლი *un* მომდევნო სიტყვის თავიდანური ხმოვნის წინა პოზიციაში ყოველთვის წარმოითქმოდა როგორც [ĩn] ნახალიზაციის გარეშე (*un abus* [ĩn abũ]), გარდა ერთი შემთხვევისა, სადაც იგი (*un*) ინარჩუნებდა ცხვირისხმიერ წარმოთქმას – *un ami* [ũn ami]. მდებრებითი სქესის განუსაზღვრელი არტიკლი *-une* ასევე ნახალიზაციის გარეშე წარმოითქმის: *une heureuse fin* [ũn őrũz Ɣ].

ხმოვან e-ს ღია ვარიანტი, წარმოითქმადი თანხმოვნის წინ, დამკვიდრდა XVII ს.-ში: *ma prière* [ma priør]; *père et mère* [pør e mør]; *la terre* [la tør]; *ouvert* [uør] და სხვ.

სიტყვის ბოლოში და ღია მარცვლებში, ხმოვანი e, ჩვეულებრივ, ღია ვარიანტით წარმოგვიდგებოდა: *reposer* [r(a) pozør]; *user* [ũzør]; *vous avez* [vũz avør]; *de tous ces péchés* [de tu sør pørø]. და სხვ.

ფონეტიკოსები მიუთითებდნენ ხმოვან e-ს ღია წარმოთქმას -ai, -ey, -et, -è, -és-ზე დაბოდივებულ სიტყვებში, რაც დამკვიდრებული იყო წარმოთქმაში: *en paix* [ã pør]; *des secrets* [dø sgrør]; *d'autres effets* [d'otr øfør]; *le progrès* [lø progrør]; *des procès* [dø prose]; *succès* [sũksør] და სხვ.

ხმოვანთა რაოდენობითი განსხვავებები (გრძობა და სიმოკლე) ცხადად აღიქმებოდა; თეორეტიკოსები ამ საკითხს ღიდ ყურადღებას უთმობდნენ, დაწვრილებით აღრიცხავდნენ ვრძელი ან მოკლე ხმოვნების გამოყენების დადგენილ შემთხვევებს. ხმოვნის ვრძლობა, ჩვეულებრივ, დამოკიდებულია ხმოვნის ღიობასთან, სიმოკლე კი – დახურულობასთან, თუმცა ეს საკითხი მაინც ბოლომდე შესწავლილი არ იყო.

არნოსა და ღანსლოს გრამატიკაში, ხმოვანთა სისტემა წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

- a – თვისებრივი განსხვავების გარეშე;
- è (*ouvert*) – *mer, abîmer*;

e (fermé) – neutelé, ferré;

i – თვისებრივი განსხვავების გარეშე;

o(ouvert) – coste, hoste

o(fermé) – cote, hote

(თანამედროვე წარმოთქმის საპირისპიროდ)

eu

ou

u

e muet

თვისებრივი განსხვავების გარეშე

ცვლილებები, რომლებიც მოხდა XVII-XVIII

საუკუნეებში. სალიტერატურო მეტყველების ხმოვანთა

წარმოთქმაში:

1. შეერთება eo (< ტრიფთონგი eau) აქცია მონოფთონგი o-დ და ეს წარმოთქმა საბოლოოდ დაიკვიდრდა XVIII ს.-ის მეორე ნახევარში;

2. შეერთება [w] ან იქცა [f]-დ და, XVIII ს.-ში, ეს წარმოთქმა საბოლოოდ დაიკვიდრდა რიგ სიტყვებში; ან, იმ სიტყვებში, რომლებშიც [f]-დ გარდაიქმნა არ მოხდა, [w] გარდაიქმნა [wa]-დ;

3. რეკუციონებული [a] აღარ წარმოითქმოდა სიტყვის ბოლოკიდურ პოსიციასში თანხმოვნების შემდეგ. სიტყვების შუაში [a]-ს დაკარგვის ტენდენცია არ გავრცელდა ორთოგრაფიის, ნახევრებ სიტყვათა წარმოთქმისა და თეორეტიკოსთა მიერ დადგენილი საწარმოთქმო ნორმების გავლენით; ამასთან დაკავშირებით, მრავალ სიტყვაში [a] ხდება დახურული ან ღია.

4. ხმოვნები ä და ö დენაზალიზაციას განიცდიან წარმოთქმადი თანხმოვნის წინამდებარე პოსიციასში (äi > ai, öi > oi) და ეს წარმოთქმა მკვიდრდება XVII ს.-ში; e-სა და ö-ის (ei > in, öi > in) დენაზალიზაციის პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს და საბოლოოდ მკვიდრდება XVIII ს.-ის ბოლოს.

5. ზოგიერთი ხმოვნის თვისებრიობა ჩამოვალიბების პროცესშია და საბოლოოდ სტაბილიზდება XIX ს.-ში.

კონსონანტიზმი. ბოლოკიდურ თანხმოვანთა დაკარგვის ტენდენცია გრძელდებოდა არახალიტერატურო მეტყველებაში, ბოლოკიდურ თანხმოვანთა დაკარგვა ფართოდ გავრცელდა; სალიტერატურო მეტყველებაში კი, თეორეტიკოსთა ნაშრომების

გავლენით, აგრეთვე ნახესხებ წიგნურ სიტყვათა წარმოთქმისა და ორთოგრაფიის გავლენით, სოგიურთ ბოლოკიდურ თანხმოვანთა წარმოთქმა აღდგა, მაგ., ბოლოკიდური თანხმოვნები *l, k, l, r* აღდგა სიტყვათა უმეტესობაში, ბოლოკიდური თანხმოვნები *p, s, t* კი აღარ წარმოითქმოდნენ სალიტერატურო მეტყველებაში, რახაკვირველია, წარმოთქმის ნორმების საბოლოო დადგენამდე (XVIII ს.), ბოლოკიდურ თანხმოვანთა წარმოთქმაში შეინიშნებოდა მერყეობა.

ბოლოკიდური *p, t, s* თანხმოვნებზე თითქმის ყველა სიტყვაში დაიკარგა; შენარჩუნდა მხოლოდ ნახესხებ და წიგნურ სიტყვათა მცირე რაოდენობაში; მაგ., -*p* აღარ წარმოითქმოდა ისეთ სიტყვებში, როგორცაა *coup, drap, trop, beaucoup* და სხვ., მაგრამ წარმოითქმოდა სიტყვებში *coup* (იხვლ. ნახესხ.), *stop* (იხვლ. ნახესხ.) და სხვ. ბოლოკიდური -*t* აღარ წარმოითქმოდა თითქმის ყველა სიტყვაში - *fruit, tout, état, enfant, chat* და სხვ., მაგრამ წარმოითქმოდა ისეთ სიტყვებში, როგორცაა *fat* (წიგნ. სიტყ.), *brut* (წიგნ. სიტყ.) და სხვ. ბოლოკიდური -*s*-ც აღარ წარმოითქმოდა სიტყვათა უმეტესობაში: *dos, succès, gros* და სხვ., ხოლო ისეთ სიტყვებში, როგორცაა *atlas* (წიგნ. სიტყ.), *gratis* (წიგნ. სიტყ.), *maïs* (ესპ. ნახესხ.), *rébus* (წიგნ. სიტყ.) -*s* წარმოითქმოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის წინა პოზიციაში, ყველა ეს ბოლოკიდური თანხმოვანი, ჩვეულებრივ, წარმოითქმოდა: *trop ennemi* [trop enmi]; *il faut être* [i fot ɛtr]; *ne peut-on?* [nə pøt ɔ̃]; *qui ont été sauvés* [ki ɔ̃t ɛtɛ sovɛ]; მაგრამ ზოგჯერ არ წარმოითქმოდა: *c'est une formule* [s'ɛ ɔ̃n formül]; *qui nous ont offensés* [ki nuz ɔ̃ ofɛsɛ]; *qui n'a point été* [ki n'a pwɛ̃ ɛtɛ] და სხვ.

თანხმოვანი -*s*, მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის წინ *z*-დ წარმოითქმოდა: *qui nous ont offensés* [ki nuz ɔ̃ ofɛsɛ]; *par les ordres* [par lez ɔrdʁ] და სხვ.; მაგრამ ბევრ შემთხვევაში -*s* არ წარმოითქმოდა მომდევნო სიტყვის თავკიდური ხმოვნის წინ: *de ne le plus offenser* [dɛ n(ə) lə plɥ̃ ofɛsɛ]; სიტყვაში *fiis*, -*s* არ წარმოითქმოდა ხმოვნის წინა პოზიციაშიც კი: *fiis unique* [ni̯unik]. ყველა ეს მერყეობა *haison*-ის ჯერ კიდევ დაუღებველ ნორმებზე მეტყველებს.

რადგან არასადიგტრატური მეტყველებაში ბოლო-
კიდურ თანხმოვანთა დაკარგვა უფრო ნათლად გამოვლინდა,
ამიტომ ბოლოკიდური თანხმოვნები, უმეტეს წილად, აღარ
წარმოითქმოდნენ მომდევნო სიტყვის ხმოვნის წინაც, რაც
იწვევდა liaison-ის, როგორც ფონეტიკურ-მორფოლოგიური
მოვლენის საბოლოო დაკარგვას; თუმც, მიატუხის თაყიდან
ეცილების მიზნით, ხალხურ მეტყველებაში ჩნდება s-ს ან t-ს იქ
გამოყენება, ხადაც ისინი ეტიმოლოგიურად არ არსებობდნენ
(fausses liaisons): j'ai -z-été, je l'ai vu-z-aussi, voyez-t-un peu და ა.შ.
უნის თეორეტიკოსები ასეთი წარმოთქმების სადიატრატურ
ენაში შედწევის წინააღმდეგნი იყვნენ.

წიგნურ სიტყვათა წარმოთქმისა და ორთოგრაფიის
გაველენით, დიდი მერყეობა შეინიშნებოდა ბოლოკიდური
თანხმოვნების - f, k, l, r-ს წარმოთქმაში; ამ ბოლოკიდურ
თანხმოვანთა წარმოთქმის არახტადიღურობას უურადღებას
აქცევდნენ თეორეტიკოსებიც; ბოლოკიდური -f არ
წარმოითქმოდა სიტყვებში joli(f), cle (f) და სხვ., მაგრამ მრავალ
სიტყვაში წარმოითქმოდა: snif, juif, sauf, nef, grief და სხვ. ზოგ
სიტყვაში წარმოთქმა მერყეობდა: cerf, boeuf, nef და სხვ., ასევე
თანხმოვანი k არ წარმოითქმოდა სიტყვებში broc, blanc, clerc,
marc და სხვ., მაგრამ წარმოითქმოდა სიტყვებში sec, choc, croc,
bec და ა.შ. სიტყვაში avec წარმოთქმა მერყეობდა და,
უმეტესწილად, -k წარმოითქმოდა მხოლოდ მომდევნო სიტყვის
ხმოვნის წინ: avec votre grâce [avɛ not gras], მაგრამ - avec une
souveraine autorité [avek ün svvrɛn otorité].

ბოლო -r-ს წარმოთქმაში უფრო მეტი მერყეობა იყო, I
და II ჯგუფის ზმნათა ინფინიტივურ ფორმებში ბოლოკიდური -
r არ წარმოითქმოდა: donner [done]; monter [mõtɛ]; parler [parlɛ];
ასევე: fuir [fwi]; retenir [r(ə)ti]; obéir [obei] და მრ. სხვ.; III
ჯგუფის ზმნებში, როგორც წესი, -r წარმოითქმოდა: pouvoir
[puvwer]; avoir [avwer]; faire [fɛr]; peindre [pɛdr] და მრ. სხვ.,
ერთმარცვლიან სიტყვებში -r ასევე წარმოითქმოდა: char [ʃar];
chair [ʃɛr]; jour [zur]; coeur [kœr] და სხვ.; სიტყვა sur-ის წარმოთქმა
მერყეობდა, თუმც ვაჟლა მოითხოვდა ბოლოკიდური -r-ს
წარმოთქმას.

- **sur** დაბოლოებაში **r** აღდგა: **sauveur** [sovör]; **douceur** [dushör] და სხვ.

- **ir-**დაბოლოებიან არსებით სახეულებში ბოლოკიდური **-r** უფრო ხშირად არ წარმოითქმოდა: **plaisir** [plezi]; **avenir** [avni]; **souvenir** [suvni]; სიტყვაში **désir** **-r** ყოველთვის წარმოითქმოდა.

სიტყვაში **toujours** **-r** უფრო ხშირად არ წარმოითქმოდა, მაგრამ ზოგჯერ წარმოითქმოდა მთმდგენო სიტყვის ხმოვნის წინ: **que je sois toujours attaché** [ka ž(a) swę tužur - atašę], მაგრამ - **avoir toujours une conscience droite** [avwę tužu ün küsyäs drwęt].

ზეცხართავეებში - **notre, votre, leur** - **r** არ წარმოითქმოდა, მაგრამ ნაცვალსახელეში - **nôtre, vôtre, leur** - წარმოითქმოდა: **avec votre grâce** [avę vot gras]; **notre archevêque** [not arš(ə)vęk]; **leur langue** [lę lęg], მაგრამ **le leur** [la lör], **avec les nôtres** [avę lę notr] და სხვ.

ბოლოკიდური **-l**, მრავალრიცხოვან წიგნურ და სახესხებ სიტყვათა გავლენით, ან მუდამ წარმოითქმოდა, ან აღდგებოდა ხალიტერატურო მეტყველების წარმოთქმაში: **profil, exil, fil, mortel, sel, quel** და მრ. სხვ., მაგრამ იყო სიტყვები, რომლებშიც **-l** არ წარმოითქმოდა: **sourcil**(l), **gentil**(l), **fusil**(l), ასევე ნაცვალსახელი **il**, რომელშიც **l** წარმოითქმოდა მხოლოდ ხმოვნისწინა პოზიციაში: **combien y en a-t-il?** [kobyę y än at-il]; **lorsqu'il passe** [lor k'i pas]; **qui sont-ils?** [ki söt-i], მაგრამ **il est vrai** [il ę vrę] და სხვ.

XVIII ს.-ში აღდგა ბოლოკიდური **-r**-ს წარმოთქმა II ჯგუფის ზმნათა ინფინიტიურ ფორმებში (**finir, fuir** და ა.შ.), ასევე ბოლოკიდური **-l** ნაცვალსახელ **il**-ში და სხვ.

ზემოთ მითითებულ მიზეზთა გავლენით, ხალიტერატურო მეტყველების მრავალ სიტყვაში აღდგა თანხმოვანთა ჯგუფების წარმოთქმა; მაგ., ისეთ სიტყვებში, როგორცაა **presque, puisque, jusque, lorsque** აღდგა **s**-ს წარმოთქმა თანხმოვნის წინ, რომელიც დაკარგული იყო XIII საუკუნიდან.

XVII-XVIII საუკუნეების თანხმოვანთა სიტყვისათვის დამახასიათებელი იყო ასომეგრთების **il, ill, cil**-ის რბილ **l**-ე წარმოთქმა, თანამედროვე წარმოთქმისაგან განსხვავებით. არნოსა და ლანხლოს გრამატიკაში (1660წ.) მოცემულია რბილი **l**-ს წარმოთქმის აღწერა; ავტორები მას აღიარებენ ეპიანური **l**-ს

წარმოთქმას ისეთ ხიტყვებში, როგორცაა *llama, llorar* და იტალიურ *l-ს* სიტყვაში *egli*. დიუკლოც (1754წ.) ასევე მიუთითებს *l-ს* რბილ წარმოთქმაზე. ამასვე ადასტურებენ XVIII ს-ის სხვა გრამატიკოსებიც.

რბილი *l-ს* წარმოთქმა შენარჩუნდა მთელი XVIII ს-ის მანძილზე: არასალიტერატურო მეტყველებაში, უმეტესად, დასტურდებოდა [l']-ს წარმოთქმა [y]-დ. მაგ. *file* [fily] და არა [fl']¹. ამგვარმა წარმოთქმამ, თანდათანობით, შეადწია სალიტერატურო მეტყველებაში, რასაც თეორეტიკოსები უარყოფდნენ, რადგან მიიხსენებდნენ არასალიტერატუროდ. XIX ს-ში, [l']-ს წარმოთქმა [y]-დ იმდენად გაერყვებოდა სალიტერატურო მეტყველებაში, რომ აღიარებულ იქნა სალიტერატურო ნორმად.

ამგვარად, XVII-XVIII საუკუნეების მანძილზე, სალიტერატურო მეტყველების თანხმობანთა წარმოთქმაში მოხდა შემდეგი ცვლილებები:

1. ბოლოკიდური თანხმოვნების -p, -t, -s-ს დაკარგვა სტაბილური ხდება (იმარჯვებს ენის ბგერითი სიტემის განვითარება, რომელიც მიისწრაყვის ბოლოკიდურ თანხმოვანთა დაკარგვისაკენ).

2. სიტყვათა უმეტესობაში აღდგა ბოლო თანხმოვნები -f, -k, -l, -r (იმარჯვებს სალიტერატურო ენის ნორმათა გავლენა).

3. ერყვდება [l']-ს [y]-დ წარმოთქმა და ეს წარმოთქმა XVIII ს-ის ბოლომდე მიიხსენიება არასალიტერატუროდ; XIX ს-ში კი – სალიტერატურო ნორმად დასტურდება.

ბოლოკიდური თანხმოვნების წარმოთქმა მომდევნო სიტყვის ხმოენისწინა პოზიციაში (*liaisons* და *enchaînements*) ჯერ კიდევ არ არის სტაბილიზებული ამ პერიოდში.

სალიტერატურო ენის ბგერითი წყობის განვითარებას მიმოხილვამ გვჩვენა, რომ ენის არასალიტერატურო და სალიტერატურო ფორმები მუდმივად ერთიერთქმედებენ: სალიტერატურო ენა მანორმირებულ გავლენას ახდენს არასალიტერატურო მეტყველებაზე და თვით სალიტერატურო ენა ფართოვდება და ვითარდება არასალიტერატურო მეტყველების ბაზაზე.

აკადემიამ, ლექსიკონის პირველივე გამოცემაში (1694წ.), ზუსტად განსაზღვრა და დააფიქსირა თავისი პოზიცია ორთოგრაფიის საკითხთან დაკავშირებით: არაერთარი ცვლადებები არ უნდა იქნეს შეტანილი სიტყვათა დაწერილობაში იმ მოხაზრებით, რომ, რაც არ უნდა რთული იყოს ორთოგრაფია, ის მაინც უნდა ასახავდეს სიტყვას წარმოშობსა და განვითარების ისტორიას. აკადემიის წევრებს შორის, ორთოგრაფიის პრობლემასთან დაკავშირებით, 2 მიმართულება წარმოიშვა – ერთი მხარს უჭერდნენ ტრადიციის შენარჩუნებას, მეორენი კი – „usage“-ს. ლექსიკონის I გამოცემაში ასახვა კპოვა ორივე მიმართულებამ; რამდენადაც, ლექსიკონზე მუშაობისას, უმეტესად, განიხილებოდა არა სიტყვათა ბუდეები, არამედ ცადკეული სიტყვები, ამდენად, ასეთი ქმედება ძალაუნებურად იწვევდა იმას, რომ ერთი ბუდის სიტყვები სხვადასხვა დაწერილობას იღებდნენ. მაგ., dessiller, მაგრამ cil და ciller, რის გამოც ორთოგრაფია კიდევ უფრო გართულდა.

აკადემიამ უარყო თავის პროგრესულ წევრთა (P. Corneille, P. Richelet) მოკრძალებული მოთხოვნები: ჩამოეცილებინათ წარმოუთქმადი ახერ ა (teste > tète), გაუმარტივებინათ ორმაგი თანხმოვნები (difficile > difficile) და ა.შ. ამიტომაც, ლექსიკონის როგორც I (1694წ.), ასევე II გამოცემაში (1718წ.) არაერთარი არსებითი ორთოგრაფიული ცვლილება არ შესულა.

XVIII ს.-ში განსაკუთრებით მწვავედ დადგა ორთოგრაფიის რეფორმის საკითხი. ორთოგრაფიის სირთულის გამო, მრავალი ხასწავდო დაწესებულება თვითონ ქმნიდა ორთოგრაფიის საკუთარ სისტემას, რაც კიდევ უფრო მეტ მოუწესრავებლობას იწვევდა სიტყვების დაწერილობაში. აკადემიის ზოგიერთი წევრი ემხრობოდა ორთოგრაფიის წარმოთქმასთან მიხედვების აზრს.

ლექსიკონის III გამოცემაში (1740წ.) შეტანილ იქნა ზოგი არსებითი ცვლილება: გამარტივდა ორმაგი თანხმოვნები (agraffer > agraffer); დაიკარგა ეტიმოლოგიური ახლები (faict > fait;

devoir > de voir; advocat > avo cat და სხვ.) დასკარვა თანხმობის წინ წარმოუთქმადი ანო S (teste > tête), დასკარვა წარმოუთქმადი ხმოვანი ასოები (meu > mûr; veur > voir და სხვ.); ასო y შეიცვალა ი-თი ქველა იმ შემთხვევაში, ხადაც იგი არ აღნიშნავდა ორმაგ წარმოთქმის (cecy > ceci, moy > moi, gay > gai და სხვ.). ასევე მოხდა სხვადასხვა accents-ების გამოყენების ურიფიკაცია.

ფრეხიკონის IV გამოცემაში (1762წ.) შეტანილ იქნა დამატებითი ორთოგრაფიული ცვლილებები: 18000 სიტყვიდან 5000 სიტყვამ რეფორმა განიცადა; თუმც უნდა აღინიშნოს, რომ ეს რეფორმა არც ისე გულისხმადგახედ და საბამინდევრულად ხატარდა; მაგ., მრავალი სიტყვის დაწერილობაში ეტიმოლოგიური ასოები კვლავ ფიგურირებდა (doigt, nid, obscure, sept, pied და სხვ.); ზმნა avoir-ის Participe passé-სა და Passé simple-ის ფორმებში დაწერილობაში შენარჩუნდა წარმოუთქმადი ასო e (j'eus, eu); მრავალ სიტყვაში შენარჩუნდა ორმაგი თანხმოვნები და ა.შ.

ამგვარად, თანამედროვე ფრანგული ორთოგრაფია ასახავს 4 ორთოგრაფიულ პრინციპს: ფონეტიკურს (mur, co.), ისტორიულს (fleur, eau, j'eus), ეტიმოლოგიურს (hier, nid, doigt) და მორფოლოგიურს (tiens, trap).

მორფოლოგია არსებითი სახელი

რიცხვის კატეგორია. XVII-XVIII საუკუნეებში, რიცხვის კატეგორიის ძირითადი მახეუნებლები არიან არტიკლი და ნაცვადსახელოვანი ზედსართავები. სამწერლო-სადიტიერატურო ენაში შენარჩუნებულია გადმონაშთური ფორმება cheval - chevauz, travail - travaux ტიპისა, მაგრამ ამგვარფორმიანი სიტყვები ცოტა იყო; არახადიტიერატურო მტკველებაში, ასეთი სიტყვები, მრავლობით რიცხვში, უუძეუცველულად იხმარებოდნენ: le mal - les malz (malz-ი ნაცვლად).

ზოგი არსებითი სახელის, განსაკუთრებით რთული სიტყვების, რიცხვის კატეგორიის გაფორმებაში, მერყეობა

შეინიშნებოდა, ორი არსებითი სახელისაგან შედგენილ რთულ სიტყვებში, უმეტესად, ორივე კომპონენტი იღებდა s-ს (ან x-ს): les choux-fleurs, les loups - garous და სხვ.; თუ სიტყვა იყო ხაწარმოები სიტყვათშეერთებით ზედსართავს + არსებითი სახელი, ასეთ შემთხვევაში შეინიშნებოდა მერყეობა: les vertgalants, les clairvoies, les courte - pointes, ასევე les hauts - bois, les plattes - formes, les biensfaits და სხვ.

ასეთივე მერყეობა იყო წინდებულების ხაწუალებით ხაწარმოებ რთულ სიტყვებშიც: coups de maître, valets-de-pied, ასევე les corne de cerfs ან les jets d'eau, les poules d'Indes, ან les ciel de lit - les ciels de lit-ს თანაბრად და სხვ. ამ მერყეობას აღნიშნავენ გრამატიკოსებიც; მერვე წერდა, რომ arc-en-ciel-ის მრავლობითი რიცხვი უნდა იყოს arc-en-ciels და არა arc-en-cieux ან arcs-en-ciels და ა.შ.

სქესის კატეგორია. -eur სუფიქსიარ არსებით სახელებში (menteur, moqueur, penseur, farceur და სხვ.) ბოლოკიდური -r აღარ წარმოითქმოდა XVI ს.-დან და მდევრობითი სქესის ფორმების წარმოება ხდებოდა ზედსართავეების - heureux(x)-heureus(e) ტიპის მსგავსად; ამგვარად, არსებითი სახელი moqueu(r)-ის მდ. სქესის ფორმა იყო moqueuse, penseu(r) - penseuse და ა.შ. XVII ს.-ში ენის თეორეტიკოსებმა, ამ დაბოლოებებში, აღადგინეს r-ს წარმოთქმა, -eur-ზე დაბოლოებულთ, წიგნური წარმოშობის სიტყვების (inférieur, postérieur, supérieur, ultérieur და სხვ.) ანალოგიით; ზაგრამ მდევრობითი სქესის ფორმებში შენარჩუნდა დაბოლოება -eusc: moqueur - moqueuse, menteur - menteuse და სხვ.

მრავალი არსებითი სახელის, ძირითადად, ნასესხები სიტყვების ხმარებისას შეინიშნებოდა მერყეობა სქესის კატეგორიის გამოხატვის მხრივ; ენის თეორეტიკოსები აზუსტებდნენ და აფიქსირებდნენ არსებით სახელთა სქესის კატეგორიას; მაგ., მალურბის აზრით, სიტყვაivoire (ivoire) იყო მამრობითი სქესის, ვოელა და მენაჟი (G. Ménage) კი - მიიხვედნენ, რომivoire იყო მდევრობითი სქესის. სიტყვები rencontre, èbène, épithète, équivoque, ვოელას აზრით, მდევრობითი სქესის იყო, მენაჟის მიხედვით კი - მამრობითი სქესის. ვოელას მიხედვით, არსებითი სახელები foudre, aigle, fourmi,

épisode შეიძლება ერთხანად გამოყენებულიყო როგორც მამრობით, ასევე მდედრობით სქესში. შენაყო თვლიდა, რომ episode მამრობითი სქესის იყო.

არტიკლი

თუმც არტიკლის გამოყენება უკვე უახლოვებოდა თანამედროვე ნორმებს, მაინც, XVII ს.-ში, რიგ შემთხვევებში, შეინიშნებოდა არტიკლის გამოყენების ადრეული სტადიის ამსახველი მერყეობა; მაგ., არტიკლი, ხშირად, არ იხმარებოდა აბსტრაქტული არსებითი სახელების წინ, იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც არსებითი სახელი არ იყო პერსონიფიცირებული (ანუ არ იხმარებოდა საკუთარი სახელის მნიშვნელობით): *Est-ce haine, est-ce amour qui l'inspire* (Racine); *Hasard donne les pensées, et hasard les ôte* (Pascal). ასევე არტიკლი არ იხმარებოდა იმ არსებით სახედებთან, რომლებსაც ერთვოდა ნაცვალ-სახელოვანი ზედსართავი *tout*: *Entre eux il faut que toute nuit je demeure couchée* (La Fontaine); *Tous gens sont ainsi faits* (La Fontaine). ეს შესარჩენებელია სოც თანამედროვე გამონათქვამში; მაგ., *de tous côtés, à tous propos, de toutes parts* და სხვ. არცთუ იშვიათად, არტიკლი არ იხმარებოდა ნაცვალ-სახელოვანი ზედსართავის *même*-ის წინ: *Chacun d'eux fit même réponse* (La Fontaine); *Si sa bouche dit vrai, nous avons même sort* (Molière).

ხშირად არტიკლი არ ახდდა ზმნური შესიტყვების შესიდეგნლობაში მყოფ არსებით სახელს: *dire vérité, ouïr messe, prendre loi, avoir temps, couper chemin* და სხვ.

ყოფდა მიუთითებდა, რომ, ორი არსებითი სახელის არსებობის შემთხვევაში, ორივე არსებითი სახელი უნდა იხმარებოდეს არტიკლით: არ შეიძლება – *les faveurs et grâces*, სწორია – *les faveurs et les grâces*; თუმც ყოფდა იმ შემთხვევაში მიაშინჯდა არტიკლის არ გამოვლენას დასაშვებად, როდესაც არსებითი სახელები ძალიან ახლოს იდგნენ ერთმანეთთან მნიშვნელობის მხრივ: XVII ს.-ის ბოლოს დაკანონდა არტიკლის აუცილებელი გამოვლენა ნებისმიერი მნიშვნელობის არსებით სახელთან.

XVII ს.-ში, აღმატებითა ხარისხის კონსტრუქციებში, plus ის წინ არტიკლი არ იხმარებოდა: Vous leur dérobez leurs conquêtes plus belles (Molière); თუმცა გრამატიკოსები გამოძღვენ ასეთ ფაქტებს.

განუსაზღვრელი არტიკლის გამოყენებაც ახლო იყო თანამედროვე ნორმებთან, თუმცა შეინიშნებოდა მისი გამოტოვების შემთხვევები აბსტრაქტული არსებითი სახელების წინ, c'est-იან კონსტრუქციებში: C'est crime qu'euvers lui se vouloir excuser (Corneille); Tu vois si c'est mensonge (Molière).

განუსაზღვრელი არტიკლი არ იხმარებოდა იმ არსებითი სახელების წინ, რომლებიც განსაზღვრულნი იყვნენ ხიტყვებით: autre, tel, demi; მაგ.: Auriez-vous autre pensée en tête? (Molière);... qu'il est incapable de telle sottise (Pascal).

XVII ს.-ში მოხდა პარტიტიული არტიკლის ხმარების ნორმალიზაცია.

XVIII ს.-ის ბოლოს, განსაზღვრული, განუსაზღვრელი და პარტიტიული არტიკლების ხმარების ნორმების სტაბილიზაცია საბოლოოდ განხორციელდა და დამკვიდრდა.

ზედსართავი სახელი

ბოლოკიდური რედუცირებული [ა]-ს დაკარგვამ გამოიწვია სქესის განმასხვავებელი ნიშნის გაქრობა მრავალ ზედსართავ სახელში: cruel – cruell(e), cher – chér(e), mortel-mortell(e), mûr – mûr(e), nul – null(e), public – publicu(e) და მრავალი სხვა.

ხმოვანზე დაბოლოებული ფუძის მქონე ზედსართავეები იწარჩუნებდნენ სქესის განსხვავებას, რადგან ბოლოკიდური [ა]-ს დაკარგვამ გამოიწვია ხმოვანთა დაგრძელება და ბოლოკიდურ გრძელ ხმოვანს, მდედრობითი სქესის ფორმაში, ქქონდა მორფოლოგიური მნიშვნელობა: joli – joli(e) [ჟოლი]; aigu – aigu(e) [ეჟი]; bleu – bleu(c) [ბი] და სხვ. სქესში განმასხვავებელი ნიშნები შეუწარჩუნდა იმ ზედსართავეებსაც, რომლებსაც, მამრობითი სქესის ფორმაში, აღარ ქქონდათ წარმოთქმადი ბოლო თანხმოვანი: gran(d) – grand(e), gri(s) – gris(e), lon(g) –

longu(e), dou(x) – douc(e), fort) – fort(e) და სხვ., ასევე იმ ზედსართავებზეც, რომლებშიც, მდებარეობით სქესის ყორმაში, ცხვირისმძიერი ხმოვანი დენაზალიზდებოდა: bon [bɔ̃] – bon(e) [bɔ̃n]; plein [plɛ̃] – plein(e) [plɛ̃n] და სხვ.

ზოგიერთმა ზედსართავმა შეინარსუნა სქესის კატეგორიის გამოხატვის გადმონაშთური ყორმა: vif – viv(e), sec – sèch(e), blan(c) – blanch(e) და სხვ.

ზოგიერთი ზედსართავი სახელის შედარებით ხარისხის სინთეზური ფორმები, როგორცაა meilleur, pire, moindre, ზოგჯერ იცვლებოდნენ ანალიტიკური ფორმებით – plus bon, plus mauvais, plus petit, ამ მოუღუნახ ხსნიდნენ იმით, რომ ამ ზედსართავთა სინთეზური ფორმები გამოხატავდნენ ხარისხობრივ მიმართებას, ანალიტიკურისა კი – რაოდენობრივს; მაგ., le moindre homme – „ყველაზე ცუდი ადამიანი“, ხოლო le plus petit homme – „ყველაზე პატარა ადამიანი“.

შეინიშნებოდა შერყეობა ზედსართავთა ფორმების გამოყენებაში; არ იყო ფიქსირებული მათი შეთანხმება არსებით სახელებთან და მათი ადგილი წინადადებაში, ისეთი ზედსართავების ხმარება, როგორცაა vieil – vieux, bel – beau და სხვ., რომელთაც 2 ფორმა აქვთ მხოლოდობით რიცხვში, XVII საუკუნეში, ჯერ კიდევ არ იყო დადგენილი საბოლოოდ; ეოვლა მიუთითებდა, რომ ფორმები bel, nouvel, vieil უნდა იხმარებოდნენ მხოლოდ ხმოვნით დაწყებული არსებითი სახელების წინ, მაგრამ არ შეიძლება მათი გამოყენება ხმოვნით დაწყებული სხვა მეტყველების ნაწილის წინ, მაგ., არ შეიძლება – il est bel en tout temps. ზუსტდებოდა ზედსართავთა შეთანხმება; მაგ., იმ შემთხვევებში, როდესაც ზედსართავი ეხებოდა სხვადასხვა სქესის 2 არსებით სახელს, ის უნდა შეთანხმებოდა ბოლო არსებით სახელს – ce peuple a le coeur et la bouche ouverte à vos louanges.

ფიქსირდებოდა ზედსართავ სახელთა ადგილიც; ისეთი ზედსართავები, როგორცაა bon, mauvais, beau, grand, petit და სოფი სხვ., ეოველთვის უნდა იხმარებოდნენ არსებითი სახელის წინ, მაგ., ეოვლა მიიხსენებდა, რომ არ შეიძლება ითქვას un homme bon, უნდა ითქვას – un bon homme; ეს მიუთითებს იმაზე,

რომ ჯერ კიდევ არ აღიქმებოდა, ზედსართავის ადგილისდა მსხედვით, მნიშვნელობათა სხვაობა.

ზედსართავით: განიხარებული განსაზღვრების ადგილი განისაზღვრებოდა არა იმდენად ზედსართავის მნიშვნელობით, რამდენადაც მისი ფორმით: მრავალმარცვლიანი ზედსართავები, უმეტესად, პოსტპოზიციური იყვნენ.

როგორც XVII, ასევე XVIII საუკუნეების თეორეტიკოსები გამოთქვამდნენ აზრს, რომ ზედსართავთა უმეტესობის ადგილის ფიქსირება შეუძლებელია, ისინი შეიძლება იხმარებოდნენ არსებითი სახელის წინაც და შემდეგაც და, რომ მათი სწორი გამოყენება დამოკიდებულია იქით მოფაპარაკის ან მწერლის ენობრივ ადღოზე.

ნაცვალსახელები

პირის ნაცვალსახელები. პირის ნაცვალსახელთა დამოკიდებული ფორმების ზმნებთან ხმარებისას შეიმჩნეოდა მერყეობა და, ზოგ შემთხვევაში, პირის ნაცვალსახელების გარეშე გვხვდებოდა პირიანფორმიანი ზმნები: *J'ai bien jugé que vous voulez quereller (Voiture); Mangez-vous bien, monsieur? Oui, et bois encore mieux (Molière).* იმ შემთხვევებში, როდესაც პირის ნაცვალსახელი განცალკევებული იყო ზმნისაგან, უმახიფლო ფორმა ზმნასთან, წყულებრივ, არ მეორდებოდა: *Moi, qui écris ceci il peut être cette envie...* (Pascal); ზოგჯერ გამოიტოვებოდა პირდაპირი დამატების ფუნქციიანი *le, la, les* ნაცვალსახელები: *Je le garde pour lui montrer quelque jour (Voiture), ნაცვლ. le lui montrer-* სი.

ოვლა აფიქსირებდა *le, la, les* ნაცვალსახელების გამოყენების ზუსტ წესებს: ეს ნაცვალსახელები არ უნდა გამოიტოვებოდნენ გამოკრების დროსაც კი, მაგ.: *pour l'aimer et le chérir,* და, ირიბი დამატების ფუნქციიანი სხვა ნაცვალსახელის არსებობის შემთხვევაშიც, ისინი უნდა იხმარებოდნენ უშუალოდ ზმნის წინ, მაგ.: *je vous le promets;* ეს წესები დადასტურდა აკადემიის მიერ XVIII ს.-ში (ირიბი დამატება *lui-*

ს წინ le-ს თანამედროვე გამოყენება /je le lui donne/ დამკვიდრდა
ზაცილებით გვიან).

შეინიშნებოდა ნაცვალსახელ il-ის გამოტოვების
ცალკეული შემთხვევები უპირო კონსტრუქციებში: Mais y a tant
de gloire (Malherbe); Suffit qu'ils soient reçus (Racine); Ainsi fut dit, ainsi
fut fait (La Fontaine). დამახასიათებელია ნაცვალსახელ y-ს
გამოყენება à წინდებუდიანი მახვიდიანი ფორმების ხაცვლად
(à moi, à toi და ა.შ.), ასევე ნაცვალსახელ en-ის გამოყენება de
წინდებუდიანი პირის ნაცვალსახელების ნაცვლად (de moi, de toi
და ა.შ.): M'obligerai à un méchant? Si je m'y oblige. . . (Malherbe),
სადაც y – à lui; ან: En public, en secret contre vous déclarée, j'ai voulu
par des mers en être séparée (Racine), სადაც en = de vous; XVII ს.-ში
ახუთი კონსტრუქციები უარყოფილი იყო, ასევე უარყოფილი
იყო à წინდებუდიანი მახვიდიანი ფორმების გამოყენება
შესაბამისი უწინდებულო, უმახვილო ფორმების ნაცვლად, მაგ.
სწორია – vous m'écrivez და არა – vous écrivez à moi.
წინდებუდიანი მახვიდიანი ფორმების გამოყენება
შესაძლებელი იყო parler და attacher ზმნებთან: A quel dessein vient-
il parler à moi (Corneille); Les chefs des troupes sont attachés à lui.
(Fénelon).

პირის განუხანდურელი ნაცვალსახელის en-ის
გამოყენება, XVII ს.-ში, ძლიერ გაფართოვდა და დამკვიდრდა
როგორც სორმა საუკუნის პოლოს, მან შეცვალა
ნაცვალსახელი ils, რომლის სმარებაც ჯერ კიდევ
შეინიშნებოდა; მაგ. ვოვლახთან: Ils disent par exemple au chapitre
neuf (ნაცვლ. on dit-სა).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები, თუმც კუთვნილებით
ნაცვალსახელთა ფუნქციონალური დიფერენციაცია ძირითადად
მოხდა XVI ს.-ში, XVII ს.-ში მთავრად ხდებოდა ფორმებისა და
კონსტრუქციების არქაული გამოყენება. ვოვლა მიუთითებდა,
რომ სმოვნით ან h muet-ით დაწვებული. მდებარებითა სქესის
არსებითი სახელების წინ უნდა იხმარებოდეს ფორმები mon,
ton, son და არა – ma, ta, sa, მაგ., mon âme, mon envie, რადგანაც
ახუთი გამოყენება უკვე დადასტურდა სალიტერატურო
მერკველებაში; ფორმები m'amour, m'amic, ვოვლას ნიხედვით,
შეიძლება იხმარებოდეს მხოლოდ მისმართებსა და ფამილიარულ

მეტწილად. ჯერ კიდევ შეინიშნებოდა mien, tien, sien ნაცვალსახელების გამოყენება ზედსართავის ფუნქციით ზოგ ხალიტერატურო ჟანრში (კომედიებში, იგაფ-არაკებში და სხვ.): Deux siens voisins (La Fontaine); Un sien fils écologiste... (Molière). ვოულა უარყოფდა და არასალიტერატურო ფორმად მიიხსენებდა ასეთ გამოყენებას: არ უნდა იხმარებოდეს un mien frère, უნდა იხმარებოდეს – un de mes frères ან mon frère, ეს ნორმა საბოლოოდ დადგინდა XVIII ს.-ში.

ჩვენებითი ნაცვალსახელები, ჩვენებითი ნაცვალსახელების ce, cette, ces-ს ზედსართავების ფუნქციით გამოყენების და celui, celle, ceux, celles-ის ნაცვალსახელების ფუნქციით გამოყენების დიფერენციაცია დამკვიდრდა, თუმც იგაფ-არაკებსა და კომედიებში მაინც იხმარებოდა გადმონაშთური კონსტრუქციები და ფორმები, რომლებიც არქაულად მიიხსნოდნენ; მაგ., ლაფონტენთან: Cestui Richard était juge dans Pise, ან: A cestui votre humble captif და სხვ.

მიმართებითი ნაცვალსახელები. მიმართებითი ნაცვალსახელებისათვის დამახასიათებელი იყო qui-ს გამოყენება თახდებულთან ერთად, რომელიც ცვლიდა აბსტრაქტულ არსებით სახელს, მაგ.: Ce sont les nouvelles pour qui... (G. Balzac); Des bassesses à qui... (Molière); ...la paix pour qui... (Racine) და მრავალი სხვა. XVII ს.-ში, ასეთ კონსტრუქციებს, როგორც გადმონაშთებს, თეორეტიკოსები უარყოფდნენ.

გავრცელებული იყო იმ-ს გამოყენება მიმართებითი ნაცვალსახელის ფუნქციით, როგორც ხაზის მიმართ, ასევე პიროვნების მიმართ: Ce fils où la vertu reluit si vivement (Malherbe); Il ne reste que moi où l'on découvre encore les vestiges d'un roi (Racine). ვოულა ემხრობოდა იმ-ს გამოყენებას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა ის არ ეხებოდა პიროვნებებს: le mauvais estat où je vous ay laissé. XVIII ს.-ში, აკადემიამ დაადასტურა ეს წესი.

ზ მ ნ ა

XVII ს.-ში დაიწყო უღლების ტიპებში ფორმათა ხისტემის სტაბილიზაციის პროცესი; მაგ., დაიკარგა აწმყო დროის ფორმა treuve, რომელიც ადრე იხმარებოდა trouve-თან

ერთად; შეიცვალა I პირის ფორმა *vas* (თანამედრ. *vais*);
 კავშირებითი კილოს აწმყო დროის I პირის ფორმები *vale, die*
 შეიცვალა ფორმებით *vaille, disc*; Passé simple-ის ფორმები *vindrent*
 და *tindrent* შეიცვალა ფორმებით *virent* და *liurent*; ორი
 დუბლეტური ფორმიდან – *vescut* და *vesquit* – შემორჩა ფორმა
vescut (თანამედრ. *vécut*); ასევე მოხდა მიმდევრბათა დუბლეტურ
 ფორმებშიც: *mordu*-მ განდევნა *mors, torde*-მ კი – *tors*.

დასრულდა დაბოლოებათა უნიფიკაციის პროცესი;
 დაბოლოებებს, ამ პერიოდისთვის, უპირატესად ორთოგრა-
 ფიული ფუნქციას აკონდათ; -s და -t არ ასრულებდნენ
 მორფოლოგიურ ფუნქციას ამ შემთხვევებშიც კი, როდესაც
 ისინი, ხინტაქსური ფონეტიკის წესების მიხედვით (*liaison*),
 წარმოითქმოდნენ; მხოლოდობით რიცხვის ფორმებსა და
 მრავლობითი რიცხვის მე-3 პირში, პირის კატეგორიის
 გამოხატვის ძირითად საშუალებას პირის ნაცვალსახელები
 წარმოადგენდნენ.

III ჯგუფის ზმნების აწმყო დროის I პირის ფორმების
 დაწერილობაში დამკვიდრდა -s; ასევე *Imparfait*-სა და
Conditionnel-ის I პირის ფორმებშიც დაკანონდა -s.
 ორთოგრაფიული s, რომელიც, *liaison*-ის წესების მიხედვით,
 წარმოითქმაშიც გაისმოდა, აუცილებელი გახდა იმპერატივის
 მხოლოდობით რიცხვში.

I ჯგუფის ზმნების *Futur*-ისა და *Conditionnel*-ის
 წარმოება შეიცვალა, ინფინიტივის ბოლოკიდური -r-ს
 დაყრუებისა და პროტონიკურ პოზიციაში ფუძისეული c-ს
 ცვლილების გამო; ამ ფორმების წარმოება განხორციელდა
 აწმყო დროის ძლიერ ფუძეზე დაბოლოებების -rai, -rais-ს
 დართვით: *jetterai, mènerai, appellerai; jetterais, mènerais, appellerais*.

ამავე პერიოდშივე სტაბილური გახდა მომავალი დროის
 ის ფორმები, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ ხოგად წესს:
enverrai (ნაკველ. *envoyerais*-ს) (შუამღება *verrai*-ს ანალოგიით),
recevrai, devrai (*recevois, doiverai*-ს ნაკველად).

დაზუსტდა როდესაც ანალიტიკურ ფორმთა წარმოება;
 ნაცვალსახელოვანი ზმნებისა და გარდაუვაელ ზმნათა
 უმეტესობისათვის დამხმარე ზმნა იყო *être*, გარდამავალი
 ზმნებისათვის – *avoir*.

გამოიყო ზმნათა ჯგუფი, რომელთა უღლება, სხვადასხვა მნიშვნელობის გადმოხატვამად, შესაძლებელი იყო être-თაც და avoir-თაც. ამ ჯგუფის ზმნების რთული, être-იანი ფორმები გამოხატავენ მდგომარეობას, avoir-იანი ფორმები კი – მოქმედებას; მაგ., La flotte des Indes est abordée en Espagne (Furetière) და Nous avons abordé; ასევე être sorti, avoir sorti; être descendu, avoir descendu; être cessé, avoir cessé და სხვა.

ახალიტიკური ზმნური ფორმების წარმოების ტენდენცია პროდუქტიული გახდა. ეს გამოიხატა იმით, რომ სამწვერიანი (ე.წ. ზერთული) ფორმები (temps surcomposés) ქმნიდნენ პარალელურ რიგებს ორწვერა ფორმებთან:

J'ai fini – J'ai eu fini
 J'avois fini – J'avois eu fini
 J'eus fini – J'eus eu fini
 J'aurai fini – J'aurai eu fini
 J'aurois fini – J'aurois eu fini
 Que j'aie fini – Que j'aie eu fini.

ეს ფორმები, როგორც წინამდებობისა და მოქმედების დასრულებულობის გამოხატვის საშუალებანი, აღინიშნებოდა ამ პერიოდის, XVII-XVIII საუკუნეების გრამატიკოსების მიერ (Ménage, Dangeau, d'Affais); – On dit qu'il a eu fait dans deux heures de temps; - Il a eu diné avant que nous ayons pu nous rendre chez lui.

შერყეობა იყო გარდამავალი და გარდაუვალი ზმნების გამოყენებაში: Cependant gardez vous d'approcher ce rivage (La Fontaine); ან: Ses pleures... Ressemblent un torrent. უფედა უარყოფდა ამ ბოლო კონსტრუქციას, მოიხვედა რა, რომ ზმნა ressembler ითხოვდა წინდებულ à-ს, რაც, საბოლოოდ, ჩორმად დამკვიდრდა. არ იყო დაზუსტებული ნაცვაფსახელოვან ზმნათა ხმარებაც; ზოგიერთი მათგანი იხმარებოდა ნაცვაფსახელოვან და მის გარეშეც. მნიშვნელობის შეცვლის გარეშე, მაგ., ზმნები abîmer, arrêter, calmer, évanouir, prononcer და სხვ.: Une onde que toujours quelque vent empêche de calmer (Malherbe); Nous ne voulons point arrêter (Bossuet); Il avoit pensé évanouir (La Rochefoucauld) და სხვ. XVIII ს.-ში ამ ზმნათა ხმარება ზუსტდება.

ადსანიშნაყა ზმნის ქვემდებარესთან შეთანხმების თავისებურებანი; მაგ., მიმართებითი დამოკიდებული წინადადების ზმნა, ხშირად, უთანხმდებოდა მიმართებით ნაცვადსახედს და არა მის ანტიკვადენტს (როგორც თანამედროვე ენაში): Je ne vois que vous, qui le sache faire (Voiture); Il n'y avoit que moi, qui la pût informer (La Rochefoucauld); ან, თუ წინადადებაში იყო რამოდენიმე ქვემდებარე, შეკრთებული ხატეუბთ: avec, comme, ainsi, que, ზმნა, ჩუქულდებრივ, იხმარებოდა მრავლობით რიცხვში: Une absence continue avec la tendresse que j'ai pour vous, ne composent pas une paix bien profonde (Mme de Sévigné); ან, თუ ქვემდებარეები დაკავშირებულნი იყვნენ კავშირი et-ით, მაშინ ზმნა, ჩუქულდებრივ, მხოლოდით რიცხვში იყო: Les délices et la prouesse lui ôt le mouvement (Malherbe).

დროთა ხმარება.

